

# თვარჯღრი სხთვრება

საქართველოს  
საბავთრობის  
სამსახური



F567  
-1991



1

0

0

1



756  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
1991

# თეატრი და ცხოვრება



საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი

რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი  
სარედაქციო კოლეგია  
ია გამრეკელი,  
ეთერ გუგუშვილი,  
ნოდარ გურაბანიძე,  
ოთარ ევაძე,  
ვასილ კიკნაძე,  
ლილი ლომთათიძე,  
გიგა ლორთქიფანიძე,  
როგერტ ხტურუა,  
ერეკია ქარელიშვილი,  
ვასტანო ქართველიშვილი,  
ნინო შვანდირაძე,  
თეიმურ ჩხეიძე,  
გიორგი ციციშვილი,  
გიორგი ცჳიტიშვილი  
(გასუხისმგებელი მდივანი)  
თამაზ ზილაძე,  
დირიჟორი ჯანელიძე.

1

1991

იანვარი

1910—1926 „თეატრი და ცხოვრება“  
1956—1990 „თეატრალური მოამბე“

## შინაარსი

|  |    |
|--|----|
| საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს<br>პირველი სესია . . . . .                     | 3  |
| ზვიად გამსახურდია . . . . .  | 7  |
| ვაჟა-ფშაველა — რა არის თავისუფლება? . . .  | 8  |
| გაიოზ იმედაშვილი — „იოსებ იმედაშვილის ცხოვ-<br>რების გზებზე“ (ნაწყვეტი წიგნიდან) . . . | 12 |
| კობა იმედაშვილი — იქნებ, ახლა მიანც? . . .   | 12 |

### საქმობალები

|  |    |
|--|----|
| მაია კობახიძე — შილერის პერსონაჟები დახშულ<br>სივრცეში . . . . .                     | 15 |
| ფიქრია ყუშიტაშვილი — მე სიმარტოვემ შემქმნა<br>ამგვარი . . . . .                      | 21 |
| გიორგი ბასიშვილი: ჩემი თეატრის სიკეთე მინდა<br>(ჩაიწერა ხათუნა ბასიშვილმა) . . . . . | 26 |
| ნათელა ურუშაძე — ვასწავლოთ სათეატრო ხე-<br>ლოვნება სკოლაში . . . . .                 | 29 |
| გიორგი ჩართოლანი — ვის დაუბრუნებენ თე-<br>ატრს? (ლიტერული შთაბეჭდილებანი) . . .      | 35 |
| გიორგი გაჩეჩილაძე — ისტორიულ გზაჯვარე-<br>დინზე . . . . .                            | 47 |
| დიმიტრი შალიკაშვილი — საქართველოს წარმო-<br>მადგენლობა 1921 წელს თურქეთში . . .      | 55 |
| ავგუსტ სტრინდბერგი — ფრეკენ იულია (პიესა)  | 77 |





14 ნომბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის პირველი მოწვევის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი სესია. ახალ დეპუტატთა კორპუსთან ერთად, რომელიც გასაბჭოების შემდეგ პირველად იქნა არჩეული მრავალპარტიულობის საფუძველზე, ამ მოწვეული იყვნენ არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ხელმძღვანელები.

სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. პატრიარქმა დეპუტატებს დაულოცა საქართველოს ერთობისა და დამოუკიდებლობის სასიკეთო მოღვაწეობის გზა, აღავლენა ლოცვა და ახალ უზენაეს საბჭოს საჩუქრად უძღვნა ბიბლია და იერუსალიმიდან ჩამოსვენებული „აღდგომის“ ხატი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

შემდეგ სესია მუშაობას შეუდგა. იგი გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი უორდანიამ.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი.

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ახლადარჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დეპუტატ ნოდარ კითანავას, რომელმაც განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს წინაშე.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.
2. დეკლარაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საპროგრამო განცხადებასთან დაკავშირებით.
3. გარდამავალი პერიოდის და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის კანონი.
4. მიმართვა მსოფლიოს ხალხებს.
5. მიმართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს.
6. მიმართვა სრულიად საქართველოს.
7. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა.
8. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დაწესება.
9. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
10. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
11. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები.
12. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა.
13. აღმინანის უფლებათა დაცვა და მართლწესრიგის განმტკიცება.
14. შესაბამისი მუდმივი კომისიების მიერ უპირველესი კანონებისა და დადგენილებების შემუშავება.

85657

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო წინადადებით გამოკვდა დეპუტატების **მუხრან მაჭავარიანი**, გამოხატა რა დეპუტატებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის უპრავლესობის ნება, მან წამოაყენა წინადადება, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიონ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის სპიკერი ზვიად გამსახურდია.

სხვა კანდიდატურები ამ პოსტზე არ დაუსახელებიათ.

გამოცხადდა შესვენება, რომლის შემდეგ სიტყვა ეძლევა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატ ვახტანგ ჭითავას, რომელმაც გამოაცხადა შესვენების დროს გამართული კენჭისყრის შედეგები.

ფართული კენჭისყრის შედეგად, ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ერთხმად, დარბაზის ტაშის გრიალში მტკიცდება ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონის პროექტის საკითხის განხილვას.

უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონი, შეიტანა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის კანონი, ამიერიდან მას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდება.

სახელმწიფო გერბის, დროშის, რესპუბლიკის ჰიმნის კანონპროექტები დამსწრეთ გააცნო დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრაბუტკია.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვები: მსოფლიოს ხალხებისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნებს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი, სრულიად საქართველოსადმი.

ქართველ ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების სახელით, სესიის მონაწილეებს მიესალმა ამ გაერთიანებას შტაბის უფროსი დურუ ჭითანვა.

ამდღევლად გაისმა ვაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორის პაატა ნაცვლიშვილის გამოსვლა. მან სესიის დეპუტატებს გააცნო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის — ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი. ქართველმა ხალხმა სულ რამდენიმე დღის წინ მიაბარა მიწას დიდი მამულაშვილის ნეშტი, რომელიც 66 წელიწადს იყო უცხოეთს გადახვეწილი. მან დატოვა ანუერძი, რომ ქაქუცას დროშა ახლადარჩეულ პარლამენტს მიეღო. მადლიერმა შთამომავლებმა შეასრულეს დიდებული წინაპრის დანაბარება. პატარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზის ტაშის გრიალში შემაჯავნეს საქართველოს რესპუბლიკისა და ქაქუცას დროშები.

საზეიმოდ ეძღოა კოტე ფოცხვერაშვილის „დაღება“, ხველანა ღვინზე დგებიან.

15 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მიუღველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა განაგრძო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე შემოთავაზებული იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის

თავმჯდომარის, „მრგვალი მაგიდის“ წევრის, დეპუტატ აკაკი ასათიანის კანდიდატურა.

სესიაზე გამოსულმა აკაკი ასათიანმა დეპუტატებს გააცნო თავისი ბიოგრაფია, უპასუხა კითხვებზე.

სესიამ დეპუტატი აკაკი ასათიანი ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ.

ამ თანამდებობაზე შემოთავაზებული იყო „მრგვალი მაგიდის“ წევრის, დეპუტატ ნემო ბურჭულაძის კანდიდატურა.

სესიამ დეპუტატი ნემო ბურჭულაძე ერთხმად აირჩია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის განხილვას.

ამ პოსტზე შემოთავაზებული იყო „მრგვალი მაგიდის“ წევრის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, დეპუტატ თენგიზ სიგუას კანდიდატურა.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატმა თენგიზ სიგუამ გააცეთა საპროგრამო განცხადება, უპასუხა კითხვებზე.

უზენაესმა საბჭომ დეპუტატი თენგიზ სიგუა ერთხმად დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მას დაევალა წარუდგინოს უზენაეს საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

სესიაზე, მორიგი სხდომის დაწყების წინ, დეპუტატებმა წუთიერი ღუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ხსოვნას.

ტრაბუნაზე მოწვეული გმირის დედა ოლა დემურია-კოსტავა, გულთბილად მიესალმა ახალი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და დალოცა ისინი:

— დღეს დიდი დღეა, — თქვა მან, — ახლა ზვიადისა და მერაბის — დიდი კონსტანტინეს სულიერი შვილების ოცნება. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება და სიძნელეა, რომლებიც უნდა დავძლიოთ. მაგრამ, ჩვენთან არს ღმერთი. ერთსულოვნება ახლა ყველაზე მთავარია. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

შემდეგ საიტყვა მიეცა დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას ვაჟს, რეკვებ ჟორდანიას, რომელმაც, კერძოდ, თქვა:

— მე დავიბადე საფრანგეთში, მაგრამ ყოველთვის ვიცოდა, რომ ჩემი სამშობლო საქართველოა. დარწმუნებული ვარ, მალე დადგება დრო, როცა ხელს ჩამოვართმევ თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის მომავალ პრეზიდენტს.

ამის შემდეგ, სესია შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების საკითხის განხილვას.

შემოვიდა წინადადება შეიქმნას 9 ასეთი კომისია.

კახეთის მთელ რიგ რაიონებში წარმოშობილი რთული ოპერატიული ვითარების შესახებ საგანგებო ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსი გრაგოლ შონია.

ახალი პარლამენტის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმო-

მადგენლებსაგან სესიამ ჩამოაყალიბა დეპუტატთა ჯგუფი, შექმნილი სიტუაციის ოპერატიული განხილვისათვის.

შემდეგ გაგრძელდა მუდმივი კომისიების საკითხის განხილვა.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ, აირჩიეს ამ კომისიის თავმჯდომარეები.

აირჩიეს თავმჯდომარეები კომისიებისა:

კანონმდებლობის და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ნუგზარ მოლო-  
 დინაშვილი;

საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი ტარიელ გელანთია;

ეკონომიკური რეფორმისა — დეპუტატი გივი თაქთაქიშვილი;

ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა — დეპუტატი რობერტ პეტრიაშვილი;  
 მრეწველობის, ენერჯეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმუ-  
 ლობისა — დეპუტატი ბაკურ გულუა;

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიისა — დეპუტატი  
 ირაკლი ჩხეიძე;

საერთაშორისო ურთიერთობებისა — დეპუტატი თედო პატაშვილი;

საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების დაცვისა — დეპუ-  
 ტატი ვაჟა აღამია;

კულტურის, განათლების და მეცნიერებისა — დეპუტატი თემურ ქორიძე.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს დაევალათ, წარმოადგინონ წინადადება-  
 ნი მათი კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ. უზენაესი საბჭოს  
 მუდმივ კომისიებს დაევალათ შეიმუშაონ პირველი რიგის კანონებისა და დადგე-  
 ნილებების პროექტები.

მიღებულია დადგენილება ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელთა  
 კომისიის შექმნის შესახებ, ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ პარტიებს დაე-  
 ვალათ, წარმოადგინონ წინადადებანი ამ კომისიის პერსონალური შემადგენლობის  
 თაობაზე.

შემდეგ დეპუტატმა თამაზ ოზგიძემ სესიის მონაწილეებს გააცნო აღამიანის  
 უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ საქართველოს  
 რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი, რომელიც ერთხმად  
 მიიღეს.

სესიამ განიხილა და მიიღო კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილი  
 სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების თაობაზე.

სესიაზე გამოვიდნენ ქართველ შევარდნთა ლეგიონის მეთაური ელგუჯა წიკ-  
 ლაური, კონსტანტინე ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეც-  
 სკოლა-ინტერნატის კურსანტი კახაბერ ნაკანი.

გამოცხადდა გადაწყვეტილება, შეიქმნას უზენაესი საბჭოს პრესცენტრი და  
 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ჩამოყალიბდეს ინფორმაციისა  
 და პროგნოზირების ცენტრი.

კახეთის მთელ რიგ რაიონებში რთულ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავში-  
 რებით შექმნილი დეპუტატთა ჯგუფის სახელით გამოვიდა დეპუტატი არჩილ მინ-  
 დიაშვილი. მან დამსწრეთ გააცნო ამ ჯგუფის მუშაობის პირველი შედეგები, გა-  
 მოთქვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი. უზენაესმა საბჭომ დეპუტატთა  
 ჯგუფს დააეღა, განაგრძოს დაწყებული მუშაობა, გამოთქვა რწმენა, რომ წარ-

მოპოვებული კონფლიქტური სიტუაცია მოწესრიგდება კონსტრუქციული დიალოგის გზით.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურა ტრანსფორმების სხვადასხვა საკითხსა და პრობლემასთან დაკავშირებით გამოვიდნენ დეპუტატები: გურამ პეტრიაშვილი, ვიქტორ დომუხოვსკი, ალიკო ქობულაშვილი, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზაალ კახიანი, გელა ჩორგოლაშვილი, ალექსანდრე ულენტი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს წინა დღით გარდაცვლილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანის, „მრგვალი მაგიდას“ წევრის, პოლიო გოგელაის ხსოვნას.

### ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას შვილია: დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ბეღეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც, ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-79-იან და 80-იან წლებში, ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-დამომცემელი. 70-იან წლებში გამოხუტა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს შობამემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის უველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977—1979 წლებში, ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკურა მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

ნს მისმა მძულვარებამ მგლებისა-  
 დმი უციდურესობამდე მიაღწია.  
 თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა,  
 მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღ-  
 არ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად  
 იქნება თავი დასდოს თავისუფლე-  
 ბისათვის და გამარჯვებაც უსათუ-  
 ლა. ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება  
 უყვარს და უნდა მისი დამყარება  
 ქვეყნად, ჭერ უპირველეს ყოვლისა,  
 უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით,  
 გულით და გონებით მტარვალნი და  
 მტარვალთა. ეს არის მხოლოდ საშუალება,  
 რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან  
 მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს  
 სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად...  
 და რა არის ეს თავისუფლება, რატომ  
 არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები,  
 რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს  
 სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის  
 მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა.  
 ბედნიერებაწართმეულს რა პრჩება უბედურობის  
 მეტი? — არაფერი. კიდევ იმიტომ არის,  
 რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს  
 ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული  
 ერი და პიროვნება. წამართმეველნი  
 სარგებლობენ ამ ნაყარადარის ბედნიერებით  
 მხოლოდ ცოტახანს. რადგან ცხოვრების  
 ლოდიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული  
 ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად  
 ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს  
 და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ,  
 რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს  
 იმას, რაც წართვეს და წართმეული  
 გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება  
 წამართმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული  
 მღერის, მხიარუ-

ლობს, რადგან დანაკარგს პოულობს.  
 წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების  
 ქურდები ბოლო უამს მუღამ დასჭიან.  
 როდისა დგება ეს ბოლო უამი? — სწორედ  
 მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს,  
 როცა თავის ყოფა-მდგომარეობის  
 აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს,  
 გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც  
 წართვეს ბედნიერება, — სძულს  
 ისინი უსაზღვროდ; სწორედ  
 მაშინ ცდილობს შემუსროს თავის  
 დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან?  
 როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი  
 ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი  
 უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფა-  
 ქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით  
 უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი  
 მოქმედება უნდა იყოს მიმართული  
 ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა  
 არ იქნება ადამიანისაგან დაცული,  
 მაშინ მისი მოქმედება იქნება  
 ავაზაკური, ვინაიდან ყოველი  
 ავაზაკი თავისუფლად იქცევა  
 მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის.  
 მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ  
 გამოიხატება თავისუფლება, რაც  
 ვნებავს ის ილაპარაკო, სწერო,  
 აკეთო, — არა! უნდა ყოველს  
 სიტყვას და მოქმედებას საერთო,  
 საზოგადო ბედნიერება ედვას  
 სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო  
 არა, სამავნებლო, საზარალო  
 მანც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის,  
 ყველა ჩვენგანი, ხალხისათვის  
 მოტაცებული თავისუფლება  
 მტაცებელთა ხელში როდია  
 თავისუფლება იგი იქცევა  
 მტარვალთად. ამ თავისუფლებისას  
 მტარვალნი ათასნაირს  
 ჯაჭვბორკილებს სჭედენ,  
 ხაფანგებს, გაუებს, თავში  
 სცემენ კვერბებს და საღრჩობელის  
 ბოძებს



სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლები-  
სისაგან შეზავებულს შხამ-ნაღვე-  
ლს, საწამლავს უმწადებენ და იმას  
აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩე-  
ბიან მოწამლულნი. ისტორია ამის  
მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი  
იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხა-  
ლხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო  
მტარვალთა გული მიწაზე ერთხო-  
ბა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა,  
თავისუფლების წართმევა უფრო  
იმათ ჰვენებს, ვინც თავისუფლებას  
ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს  
იმით მარტო თავად ისარგებლოს.  
თავისუფლების მტაცებლებზეა სწ-  
ორედ ზედ გამოჭრილი ქართული  
ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და  
იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც  
თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელ-  
ნიც ამ უადრესს უგუნურებას ჰშ-  
ვებიან და ხალხის მონებად გადა-  
ქცევას ცდილობენ, გარდა იმისა,  
რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან  
ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხ-  
საც აფუჭებენ. დამონებული ერი  
მუდამ ბეჩავია შინაურობაში და  
რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი  
გარეშე მტერთან საბრძოლველად.  
ამის დამამტკიცებელი მაგალითი

დღევანდელი რუსეთია, რომელიც  
პატარა იაპონიას დაეტაკა და რქე-  
ბი შემოიმტვრია.

მაშასადამე, თავისუფალი უნ-  
და იყოს არა რომელიმე ერთი  
წოდება, არამედ მთელი ერი. ქვე-  
ყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედ-  
ნიერი, როცა მოისპობა წოდებრი-  
ვი უპირატესობანი, ყველა წოდება  
იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედ-  
ნიერი. თავისუფლება და ბედნიე-  
რება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას,  
სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვ-  
ლად წოდებრივი განსხვავება აქვს  
დადებული, საცა ყველას განურჩე-  
ვლად წოდებისა და გვარიშვილო-  
ბისა, არ ეძლევა საშუალება პა-  
ტიოსანი შრომით მოიპოვოს პუ-  
რი არსებისა, საცა შრომა ღირსე-  
ულად არ ფასდება, საცა არ არის  
თანასწორად განაწილებული ცოდ-  
ნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველ-  
ყოფა არ არის გარანტია, ერმა შე-  
ინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ  
მას თან არ ახლავს ერის საერთო  
გონებრივი სიმწიფე, განათლება  
და ცოდნა.







# „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე“

გაიოზ იმედაშვილი

(ნაწყვეტები წიგნიდან)

1910 წელს, 2 იანვარს დაიწყო ყოველკვირეული სალიტერატურო-სათეატრო ჟურნალის „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა, რომლის ერთპიროვნული რედაქტორ-გამომცემელიც იყო გაიოზ იმედაშვილი მისი არსებობის დასასრულამდე — 1926 წლამდე. ერთი კაცის მიერ ყოველად წარმოუდგენელი ჩანს ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემის ორგანიზაცია, მით უმეტეს, მაშინდელ პირობებში. როდესაც ყველაფერი კერძო იყო, საყიდელი, საშოვარი და იმედაშვილმა საკუთარი ინიციატივით თითქოს შეუძლებელი გააკეთა და ჟურნალის მართოდ გამოცემის ძნელ საქმეშიც, იძულებით ინტერვალს თუ არ ჩავთვლით, თავისი პერიოდულობით, ხალხურობითა და შინაარსითაც. ყოველგვარი გასაქირის დაძლევაში „თეატრმა და ცხოვრებამ“, როგორც კერძო ჟურნალმა თხუთმეტი წელი იარსება.

\* \* \*

„თეატრი და ცხოვრებას“ 1915 წლის 18 ნოემბრის მეთაურში „ეროვნული თავისუფლება“, იმედაშვილი პირდაპირ აცხადებდა: „როცა ერს ბატონის ხუნდები აძევს, ვერასოდეს განვითარდება სულიერად და ხორციელად... ჩვენი სამშობლო მწერლობის, თეატრისა და საზოგადოდ კულტურის აღორძინება-განვითარება მხოლოდ ეროვნული თავისუფლებით შეიძლება“. მეთაურში „სამშობლო კერა“ ამ აზრს კიდევ უფრო აკონკრეტებდა: „ჩვენი კულტურის სიკვდილი — ჩვენი ეროვნული სიკვდილი იქნება, მოისპო ქართული სული, ქართული მეტყველება, მოისპო ქართულიც“ (1915, 20 VI, № 25).

კობა  
იმედაშვილი

იქნებ,  
ახლა მაინც...

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ კვლავ გამოჩნდა ჩვენი კულტურის ასპარეზზე, იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრების“ პირველი ნომრის ოთხმოცდაერთი წლისთავზე.

მე მიხარია სხვა დროსა და სხვა რედაქტორის ხელში ამ სათაურის გაცოცხლება.

მაგრამ გულიც მწყდება — ის ჟურნალი, ჩემი გულჩათხრობილი ბავშვობის უტყვი მეგობარი, ერ-



\* \* \*

განა შეიძლება ესლაც განცვიფრების გარეშე გავისხენოთ „თუ ატრი და ცხოვრებას“ რედაქტირება-გამოცემის საქმიანობა, რასაც მხოლოდ ერთი კაცი უძღვებოდა? იოსებ იმედაშვილს დამხმარე არავინ ჰყოლია, ვიდრე ჩემი უფროსი ძმა და მე გავიზრდებოდით, რომ ჯერ ასოთაწყობა და უურნალის დაკეცვა გვესწავლა, კორექტურის სწორებას შევჩვეოდით, შემდეგ კი საუურნალო მასალის დასაბეჭდად მომზადება თუ ავტორებთან დამოკიდებულება შეგვძლებოდა. მაგრამ ესეც მაინც საქმის ერთი მხარე იყო. დიდი გასაჭირი იყო ისიც, რომ უურნალის პატარა ტირაჟი, რაც ხშირად ათასს არ აღემატებოდა, ძლივს ჰყოფნიდა ფაქტიურ ხარჯებს, ისე, რომ ყოველი ნომრის გამოსვლისას საჭირო იყო ნაღდი ფულის გადახდა ქალაქის შესაძენად და სტამბის ხარჯების დასაფარავად, რაც ყოველთვის არა გვქონდა. რაღა ითქვას რედაქციის ბინის ქირაზე, ხელმომწერთათვის უურნალის დროით გაგზავნაზე, ჰონორარის გაცემაზე, რასაც აგრეთვე ძლივს ავუღიოდით.

\* \* \*

იოსებ იმედაშვილის რედაქტორული მუშაობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს სწორედ მაშინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთაგან მუდმივ თანამშრომელთა ბირთვის შემოკრება „თეატრი და ცხოვრებას“ ირგვლივ. მისი ხელისშეწყობითა და წაქეზებით გამოიზარდნენ უურნალისათვის საჭირო არა მხოლოდ კორესპონდენტები და რეცენზენტები, არამედ მომწიფდნენ და დავაუკაცდნენ შემდგომად სახელმწიფოებრივი კრიტიკოსები, დრამატურგები თუ მწერლებიცა და პოეტებიც. ამ მხრივ თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ იმედაშვილმა უურნალს დააკავშირა ეროვნული სახელის მქონე, ჩვენი მწერლობის ისეთი ქურუმები, როგორც იყვნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, აგრეთვე XIX საუკუნიდან გადმოდწეული მოღვაწენი ქართული კულტურისა, რომელთა გვერდით უკვე სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი შანშიაშვილს, გრიშაშვილს, აბაშელს და მათ შორის განსხვავებული პოეტური სიტყვით უკვე ჩანდა, რომ თავისი ადგილი უნდა დაეჭირა გალაკტიონ ტაბიძეს.

თადერთი დარჩა ჩემთვის. ის წარსულშია...

თუმცა... ჩაიკითხეთ იქ იოსებ იმედაშვილის მოწინავენი და წერილები, თვალი გაადევნეთ პოლიტიკურ ვნებებს, ყურადღება მიჰქციეთ ერის სატკივარს... თითქოს არაფერი შეცვლილა, თითქოს ისტორიის საათი გაჩერდა და ისევ იქ ვართ, სადაც ქართული მიწა იყი-

დება, ქართული ენა ირყვება, ქართული ზნეობა ეცემა, გარე და შიგა მტრები გვჯიჯვნიან... პარტიები კი ერთმანეთთან ანგარიშსწორებით არიან დაკავებულნი.

იოსებ იმედაშვილი მოუწოდებს პარტიებს საქართველოს ინტერესები დააყენონ უზენაეს ყოვლის, თავისუფალი საქართველოს და თავისუფალი ხელოვნების ინტერე-

\* \* \*

იმედაშვილის სეხნია, მეგობარი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე იოსებ გრიშაშვილი იხსენებდა: „იმედაშვილი ყველა ახალგაზრდას აძლევდა ფართო გზას. არ ყოფილა არც ერთი თვალსაჩინო პოეტი, რომლის პირველი სიხარული მისი უშურნალი „თეატრი და ცხოვრება“ არა ყოფილიყო“ (1925, № 12).

\* \* \*

ამასთანავე, აქ მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ „თეატრი და ცხოვრება“ მხოლოდ წმინდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ორგანო არა ყოფილა და როგორც უპარტიო უშურნალი, გამოხატავდა მთელი ჩვენი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებას, ფართო მასების პოლიტიკურ-სოციალურ ზრახვებს, მის კულტურულ ინტერესებს დევიზით „თავისუფალი ხელოვნება თავისუფალ საქართველოში“ (1918). იგი თანაბრად ემსახურებოდა ქართველი საზოგადოების ფართო ფენებს, ინტელიგენციას, მოსწავლე ახალგაზრდობისა თუ გათვითცნობიერებას დაწაფებულ მუშებისა და გლეხების სულიერი აღზრდის საქმეს, ქართული კრიტიკული აზრის შემუშავებას.

\* \* \*

მთელი ქართული საზოგადოების თანადგომა „თეატრი და ცხოვრებასთან“ თავისთავად იმაშიაც იყო გამოხატული, რომ უშურნალობა თანამშრომლობდნენ, პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ მიმართულებათა მიუხედავად, კულტურის ყველა დარგისა და რანგის წარმომადგენელი.

სები. მისი ლოზუნგია: „გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში“.

ყველაფერი ეს იყო 1910-1926 წლებში, მაგრამ ეს მაინც არაა წარსული, ეს ყველაფერი დღევანდელია, რადგან ქართული ტკივილი ისევ ქართულ ტკივილად რჩება. ქართული ხასიათი — ქართულ ხასიათად, ქართველის ბედი — ქართველის ბედად.

და მაინც... ახალი „თეატრი და ცხოვრება“ ახალ საზოგადოებაში აგრძელებს ცხოვრებას. მას სხვა რედაქტორი და სხვა მკითხველი ჰყავს, რომლებიც პაპაჩემს იოსებ იმედაშვილს, იმ „თეატრი და ცხო-

ვრების“ გამომცემელ-რედაქტორს, შვილიშვილებად ერგებიან.

ცხოვრებას აქვს თავისი კანონი — პაპების ოცნებას შვილიშვილებმა უნდა შეასხან ხორცი...

იოსებ იმედაშვილსა და მის უშურნალსაც ჰქონდა ერთი წმინდა ოცნება: თავისუფალი ხელოვნება თავისუფალ საქართველოში.

ღმერთმა ქნას, ახალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ თავისი წვლილი შეიტანოს თავისუფალი საქართველოს თავისუფალი ხელოვნების დადგენებაში.

მაშინ ამ სახელის გაცოცხლებას გამართლება ექნება.

# საკმაკლები

მანია კობახიძე

## შილერის კარსონაჟები დახშულ სივრცეში

დღეს უკვე აღარავინ კამათობს იმის თაობაზე, რამდენად დასაშვებია კლასიკის ინტერპრეტაცია, ან სად ძეგს ინტერპრეტირების სავარაუდო საზღვრები. ალბათ, გაცილებით საინტერესოა, დავადგინოთ, თუ რას წარმოადგენს თავად ინტერპრეტაცია. ისიც დასადგენია, სად არის მიჯნა ჭეშმარიტ ინტერპრეტაციასა და კონიუნქტურას შორის. და კიდევ: აქვს თუ არა რაიმე საერთო ესთეტიურ ტკობასთან იმ წამიერ კმაყოფილებას, რომელსაც ანიჭებს ზოგჯერ მაყურებელს კლასიკური გმირის სცენურ სახეში დაშიფრული აქლო წარსულის ან თანამედროვეობის ცნობილ პოლიტიკურ ლიდერებზე მინიშნების ამოცნობა.

ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის სცენაზე თემურ ჩხეიძის მიერ განხორციელებულ ფრიდრიხ შილერის „ვერაგობასა და სიყვარულს“. პოლიტიკური თეატრის მიმართ პოლემიკურად ნაპდვილად ვერ მივიჩნევთ. საერთოდ, თ. ჩხეიძეს არ სჩვევია საკუთარი პოზიციის „მებრძოლი“ ფორმით დამკვიდრება, მაგრამ ამჯერად რეჟისორი, შესაძლოა, უნებურადაც, შედეგს სწორედ ზემოაღნიშნული გზით აღწევს. თავად სპექტაკლიც თითქოს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას შეგვახსენებს, რომ ხე-

ლოვნება თავისთავად, მშვენიერების საუფლოა, პოლიტიკური იდეებით სპეკულაცია კი ხელოვანმა ისევ პოლიტიკოსებს უნდა გადაულოცოს. ჩვენთვის უკვე ჩვეულ ალუზიურ აზროვნებას, ამკარა ტენდენციურობას (როცა ყოველივე ნათელი და ამოხსნილია), აქ იმგვარი თეატრალური ლექსიკა ენაცვლება, რომლის მიზანია ადამიანის ცხოვრების მრავალნიშნადი, მოცულობითი სურათის შექმნა.

ალბათ, სწორედ ამგვარი პოზიცია განსაზღვრავს შილერის ამ პიესის ჩხეიძისეულ ინტერპრეტაციას და მასში გარკვეული კუბიურების შეტანასაც. აქედან გამომდინარე, რამდენადმე შერბილებულია შტიურმერული ჰიესის ტენდენციურობაც. მისი შინაგანი ფაქტურის გამდიდრება ხდება გვიანდელი, ვაიმარის პერიოდის შილერის მსოფლმხედველობის ევოლუციის გათვალისწინებით. ეს გარემოება, თავისთავად, იმასაც განაპირობებს, რომ სპექტაკლი იაზრება როგორც არა მხოლოდ ძველი პიესის ახლებური მნიშვნელობის შემოთავაზება, არამედ გენიალური ავტორის პიროვნების არსის წვდომის ცდაც. თითქოს თვით შილერმა გადაიკითხა პიესა მას შემდეგ, რაც დაწერა „გუ-

ლუბრყვილო და სენტიმენტალუ-  
რი პოეზიის შესახებ“, „იმ სია-  
მოვნების შესახებ, რომელსაც  
ტრაგიკული საგნები გვანიჭებენ“,  
„წერილები ესთეტიკური აღზრდის  
შესახებ“ და შეუძინეველი კუბიუ-  
რები გააკეთა მასში. ყოველივე  
ამან, თავის მხრივ, ახალი გამომ-  
სახველობითი საშუალებები მო-  
ითხოვა, დაიჩრდილა შტიურმერ-  
თა მიერ პროპაგანდირებული რუ-  
სოიზმის იდეები, განელდა მოწო-  
დება ბუნებრივ მდგომარეობაში  
დაბრუნებისკენ. შესუსტდა მსო-  
ფლმხედველობის ერთგვარი ქაო-  
ტურობა, ანარქიული ბუნტი და  
დაბალი ფენების რაღაც განსა-  
კუთრებული ზნეობრიობის ზღვარ-  
გადასული განდიდების მოთხოვნა.  
პიროვნების ტრადიციულად გა-  
გებული თავისუფლებიდან აქცენ-  
ტები შინაგან თავისუფლებაზე  
(როგორც უმაღლეს მიზანზე) გა-  
დანაცვლდა. ხელოვნებაც გაიმიჯ-  
ნა პრაქტიკული მორალისაგან —  
გვიანდელი შილერის ამ მოსაზ-  
რებათა გაუთვალისწინებლად, შე-  
უძლებელია თემურ ჩხეიძის სპექ-  
ტაკლის აღქმა.

ამასთანავე, წარმოდგენაში შე-  
ნარჩუნებული და თავისებურად  
გააზრებულია შილერის მხატვრუ-  
ლი მეთოდის ისეთი უცვლელი  
მხარეები, როგორიცაა ფილოსო-  
ფიური იდეების ღრმად გამოცდი-  
რი ფორმით გამოხატვა, ამაღლე-  
ბული პათეტიკა, ზეაწიეული ტო-  
ნის შეხამება, ჩვეულებრივი ადა-  
მიანური განცდების გადმოცემას-  
თან, კონკრეტულად ამ „მეშჩანუ-  
რი ტრაგედისთვის“ დამახასია-  
თებელი ტრაგიკული სენტიმენტა-  
ლურობა.

გოეთეს აზრით, შილერის შე-  
მოქმედებას არ ახასიათებს ახსნა-

განმარტება ან მოტივირება<sup>არაფაქტობრივი</sup>  
სწორედ ამიტომაც ახდენენ მისი  
პიესები განსაკუთრებულ შთაბეჭ-  
დილებას სცენაზე. შილერისეუ-  
ლი ფილოსოფიური და პოეტური  
აბსტრაქციების სფეროს გათავი-  
სება, ერთი მხრივ, შესაძლოა, გარ-  
კვეთულ სირთულეებსაც უქმნიდა  
დიდი დრამატული თეატრის (ფსი-  
ქოლოგიზმის პრინციპების მიმდევ-  
არი თეატრის) მსახიობებს. მე-  
ორე მხრივ კი, ყოველივე ეს, თა-  
ნამედროვე თეატრის იდეურ-მხა-  
ტვრული ნოვაციების, მეოცე საუ-  
კუნის ხელოვნების გამოცდილე-  
ბის კონტექსტში ორ კულტურას  
შორის ძალზე საინტერესო დია-  
ლოგის პირობებს ქმნიდა.

სპექტაკლის სამყარო დახშული  
და ყრუა, პერსონაჟთა ყოფა —  
მძიმე და უსიხარულო. ისინი ხში-  
რად ვერც ამჩნევენ ერთმანეთს.  
თითოეული მათგანი საკუთარი და  
მხოლოდ საკუთარი ბედით, ანუ  
თავისი სიუჟეტური ხაზითაა გა-  
ტაცებული. გიორგი ალექსი-მეს-  
ხიშვილის მიერ შექმნილი სცენუ-  
რი გარემოს ჰერმეტიზმი იშვია-  
თად ირღვევა და თუ ეს ხდება,  
დარღვევა მოჩვენებითია. სცენის  
სიღრმეში გარედან განათებული  
კარი ვერც ერთ პერსონაჟს ვერ  
აპოვნინებს გამოსაჯალს ამ სამყა-  
როდან. ერთადერთი გაბედული  
საქციელი, რომელიც მათ შეიძლე-  
ბა ჩაიღინონ — თვითმკვლელობაა  
(ვერთერის მსგავსად). მარმარი-  
ლოს მძიმე ლოდები სპექტაკლში  
ამ გამოუვალობის განცდას კიდევ  
უფრო ამძაფრებენ. აქაურობას  
ვერაგინ დააღწეეს თავს (პიესის-  
გან განსხვავებით, აქვე სამუდა-  
მოდ დატყვევებული რჩება ლედი  
მილფორდიც, რომლის წამიერი  
აჯანყება უშედეგოდ მთავრდება).



საპრობლეში, ამ თავისებურ  
„ჩიის ტომარაშია“ მოქცეული  
სპექტაკლის განუჩივლად ყველა  
ამირი, თუმცა, მაგანთა ცხოვრება  
მეტე თოფუნებით გამოირჩევა,  
დანაჩინებისა კი იძულებითი ას-  
კეტიზმის პირობებში მიედიდება.  
ზოგი მალალი ითვებით იტყუებს  
თავს, ზოგი — მარადიული სიყვარ-  
ლოით, ზოგიც — პატრემოყვარე  
ზრახვებით, „ხალხში“ ახსტრაქ-  
ტულად გაგებულნი ზრუნვით ან,  
უბრალოდ, მხიარული დროსტარე-  
ბის ორთმტრიალში ეშვება. მაგ-  
რამ ამაოდ, განგებას ყველა გაუ-  
წირავს ადამიანებს აქ ერთიმეო-  
რის თანახვაც არ შეუძლიათ, ურ-  
თიაროსწრათვის გააგებაზე ხომ  
ლაპარაკი ზედმეტია, მათი ცხოვ-  
რება ხათანგში მოხვედრილი არ-  
სიბის უანაქანილ წლოებს მოგვა-  
გონებს, არსიბისა, რომელმაც  
ჯარ არ იცის, სათ არის, მაგრამ  
არქნობს რათთან შიზოფრენულია  
მისი ბუნებრივი მდგომარეობა და  
ინსტინქტორათ ლამობს თავის  
დაღწევას, ამით კიდევ უფრო ახს-  
ლოვებს თავის აოსასრულს.

თუ პიესის ჩრისტომათიოლი გა-  
აზრება აქოლსხმობდა პერსონაჟთა  
დაყოთას (მსხვარპობად თა ჯა-  
ლათიბად), პატრემოყვარობისა და  
ანარაბის „ვირაჯი“ სამყაროს და-  
პირისპირებას რუსოისტულ ტერ-  
მინებში გააზრებულ, ამალღებულ  
თა ბუნებრივ „სიყვარულთან“,  
სპექტაკლში კონტრასტები სა-  
არქნობლად შარბილებულია, გმი-  
რებისათმი დამოკიდებულება კი,  
შიიდლიბა ითქვას, უფრო სალია,  
ხასიათიბიკა უფრო მრავალმხრივა-  
თა დამოშავებულო (თავთ პიესის)  
ის ითქვარა სათაორი, კონტრას-  
ტულობას რომ წარმოაჩინს, რო-  
გორც ცნობილია, იოლანდმა შეს-  
2. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.

თავაზა შილერს „ლუიზა“  
რის“ ნაცვლად).  
მეცნიერული  
ხელმოწერა

ვაუცნობიერებელი შთაოთის,  
გამოუთქმელი ავტედიოთი წინათ-  
არქნობის არქმოსტერო თავითანვე  
იქმნება, სპექტაკლის რიქმული  
სტრუქტურა წამითაც არ იძლივა  
ქიმშიოთის იოლუიბის შექმნის სა-  
შუალოებას (რეისორმა მშენი-  
რათ იცის სკენორი დროის თასი),  
ამასთანავე, პარალელოური მოქმე-  
დების შემოტანით, ამ არქმოსტე-  
როს ჩხეიძე „სიყვარულის“ სცე-  
ნებშიც ავითარებს და იგი მოუ-  
ლოდნელი პაუზებით, პერსონაჟთა  
განზრახ ალოგიკური შეფასებებით,  
ყოთითი სიმართლის უკულოებელ-  
ყოთით მეტრელოინის რამიბს  
მოგვაგონებს, ყოველივე ეს კი რა-  
ლაც ურანაური ძალით ჩიანს ნერ-  
ვოლ სისტემაზე მოქმედებს

სპექტაკლის დასაწყისში სიანა  
მილერსა და მის ცოლს შორის,  
თავდაპირველად, თუნავ ზოთაპი-  
როლოთაც კი დამოიყურება, მაგ-  
რამ რამდენიმე რეპლიკის შემდეგ,  
მიზანსკენის მიშვიობით (ისინი  
თითქმის არ უკაჩირენ ერთმანეთს),  
ეხალი ხეობა, რომ რეისორი არც  
ცდილობს მათ შორის დსაქოლო-  
გიური წვრილმანიბით დაჭვირ-  
თული „რეილისტორი“ კონტრაქტის  
დამყარებას, მილოერის სახიში (მსა-  
ხიობი ე. ი. ჩიანკო) უხიშობა, ზოგ-  
ჯირ უკმეხობაც, მარქნობიარო-  
ბასთანაა შეხამებულო, ამასთანა-  
ვე, პერსონაჟის პლასტიკაში პლე-  
ბიორი არათერია, მის სოციალოურ  
წარმომავლობას აქ არცთუ დიდი  
მნიშვნელობა ენიშება, გაციოლე-  
ბათ თილშისნავიბიკა ის თაქტი,  
რომ მილოერი ურახოთ არქნობს  
თავს სამყაროში, რომიოსაც მხო-  
ლოთ თავისი ქალიშვილის, ლუი-  
ზას წყალოობით უკავშირდება, ამ-

**საქართველოს**  
**მ.რ.მ.წ.უ.ლი**



საქართველო

დენად, მისი არსებობა სპექტაკლში იმთავითვე დრამატუზმითაა აღბეჭდილი. მილერის ცოლი (მსახობი ნ. უსატოვა) სპექტაკლში მისთვის განკუთვნილ სცენურ დროს სრულ უშეცდომად გავიგვს. ამ ქალთან კონტაქტი შეუძლებელია. მისი სცენური არსებობაც ერთ ტონალობაშია გადაწყვეტილი. პიესისეულმა სცენებმა, რომლებშიც მილერი და მისი ცოლი მოქმედებენ, თავისი ყოფითობით, ქალზე „მოწერი“ განწყობილებით „მეშინაურ ტრაგედიაში“ თითქოს განმანათლებლური ზნე-ჩვეულებათა კომედიიდან გადმოინაცვლებს, თანაც, შეყვარებულთა ლექსიკის ზეაწეულ რიტორიკასთან კონტრასტის მიზნით, განზრახ მოხმობილადაც კი აღიქმებიან. სპექტაკლში ასეთი მონაცვლეობა ნაწილობრივ უარყოფილია. სცენაზე ყველანი ერთდროულად, გარკვეული თვალსაზრისით, იდენტურ ვითარებებში არსებობენ და ბედიც საერთო აქვთ. ქვეყნის მანერა, სიტყვათა მარაგი ან სტილის გრძნობა აქ თითოეული მათგანისათვის ბევრად როდი ცვლის რაიმეს.

პიესის პერსონაჟების — კალბისა და ვურმისათვის, სახელების შერჩევასაც, მილერი განმანათლებლური ტრადიციის კვალობაზე მოქმედებდა. კალბის სახელი ითარგმნება როგორც ხბო. გულუბრყვილო და, მასთანავე, ზნობრივ პრინციპებს მოკლებული, უკიდურესად შეზოუდული, სასაცილო ფრანკომასა დანაშაულის თანამონაწილე ხდება. მსახობა კი, ნუსტოხინის მიერ შექმნილი სცენური გმირი კი ერთგვარ ექვსბადებს — ხომ არ არის ჰოფმარშალის გულუბრყვილობა მოჩვენე-

ბითი? ან იქნებ, გადამეტებული ელევანტურობაა ის ნიღაბი, რომლითაც იგი ესოდენ მოხერხებულად მოერგო ცხოვრებას. სპექტაკლში ფონ კალბა არ არის მოკლებული იუმორის გრძნობას. ზოგჯერ, იქნებ, განზრახ იგდებს თავს სასაცილო მდგომარეობაში, რომ ადამიანებს მათი უპირატესობა აგრძნობინოს და ამით მათი გული მოიგოს. კარის ეთიკეტის უკიდურესი ნიუანსების ეს შეუღარებელი მკოდნე, სწორედ ამით იქცევს თავს, რათა თავისი ცხოვრების არსზე არ დაფიქრდეს.

ვურმის სახე (ითარგმნება როგორც გველი, კუა, ეშმაკი) ა. ტოლუბევიის შესრულებით, სპექტაკლის საუკეთესო ნამუშევარია. მსახობი ძალზე ძუნწი გამოშახველობითი ხერხებით წარმოსახავს იმ საშიშ ფარულ ნერვიოს, ეს პიროვნება რომ ფლობს. ნერვიოს, რომელსაც მუდმივი დამკვრება, ავადმყოფური თავმოყვარეობა და უარყოფითი გრძნობება მუხტავს. სპექტაკლში ვურმი ყველა სხვა პერსონაჟზე ჭკვიანია. ამასთან, ძლიერი ნებისყოფის, არანაკლებ ძლიერი, თუმცა, დათრგუნული ვნებების პატრონი და დრამატული ბედის ადამიანია. ზნეობა არ ზღუდავს მის ზრახვებს, არც ღირსეული მოწინააღმდეგე ჩანს, წინ რომ აღუდგეს. ზოგჯერ გიკვირს კიდევ, როგორ ახერხებს მსახობი, ვურმის უკიდურესად თავშეკავებულ მანერის მიღმა, მისი სულიერი ტრაგიდიის სიღრმეები დაგვანახოს.

ლედი მილფორდა, მილერის ტრაგედიაში, მრავალმხრივი, წინააღმდეგობრივი და ცოცხალი სახეა. ალისა ფრეინდლიხის ინდივიდუალობამ, მისმა სცენურმა

საქართველო  
საქართველო  
საქართველო



მომხიბლაობამ, შესაძლოა, გარკვეულწილად, განსაზღვრა კიდევ ის, რომ მილფორდის სცენებში თითქმის არც გვხვდება ტექსტობრივი კუპიურები. მსახიობი ძალზე სუსტად მოქმედებს ფერდინანდთან და ლუიზასთან შეხვედრისას. ყოველი ქესტი თუ გამოხედვა, მისი გმირის სულიერი მოქრობის გამომატველად გვევლინება, თუმცა, ბოლომდე მაინც არ არის ნათელი, როგორ ხდება მასში შინაგანი გარდატეხა, რომლის გამოც მზად არის ყველაფერი მიატოვოს და ფეხით გაეშართოს ლორეთის მონასტერში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იმდენად მილფორდის პიროვნებას, რამდენადაც რეჟისორის მიერ ამ პერსონაჟის ბედის ახალ გააზრებასთან: თ. ჩხეიძე მოულოდნელად ცალის სცენის ფინალს — გასამგზავრებლად მომზადებულ მილფორდს გზაზე პერკოვის ჯარისკაცთა ელოდება. მოვლენათა მსვლელობის კვლადაკვალ, ჯარისკაცები თითქოს უხილავი ძალის მეშვეობით მრავლდებიან. საითაც სპექტაკლის გმირი გაიწეეს, ყველგან უხმოდ და ელვის სისწრაფით იღობებიან ტყულისცალბებით მსგავსი მცველები. შემდეგში იგივე ჯარისკაცები, პრეზიდენტის ბრძანებით, მოძალადეებად იქცევიან ლუიზა მილერის სახლში და კიდევ ერთხელ განგაცდვიენებენ იმგვარი შიშის გრძნობას, რომლისგანაც ადამიანს ძარღვებში სისხლი იყინება. ლედი მილფორდის შემთხვევაში კი ამგვარი რეჟისორული ხერხი, სპექტაკლის ასეთი სიოქეტარი სკლა. კიდევ ერთხელ შეგვახსენებს — ამ სამყაროდან თავის დაღწევა არც ერთ პერსონაჟს არ ძალუძს. თავისუფ-

ლებისკენ მათი სწრაფვა კი ფუჭი იქნება.

სპექტაკლის კიდევ ერთ გმირს — პრეზიდენტ ფონ ვალტერს, არასოდეს გამოუცდია თავისუფლება, კირილ ლავროვის მიერ შექმნილი სახე მოულოდნელი და საინტერესოა. ამასთანავე, მასში, ალბათ, ყველაზე მკვეთრად არის გამოხატული სპექტაკლის კონცეფცია — ტრადიციულად უდრეკი და უგრძნობელი, მტკიცე და დაუნდობელი პრეზიდენტი აქ გაცილებით უფრო ადამიანურია. საკუთარი პატივმოყვარეობის მსხვერპლი, ის არა მარტო მილერის ოჯახს, საკუთარ თავსაც სასტიკად უსწორდება. სპექტაკლში არ არის ხაზგასმული მისი განსაკუთრებული გერაცობა, რეჟისორი ხაზგასმით არც იმ ბოროტმოქმედებას წარმოაჩინს, პრეზიდენტის საიარბოლო რომ მოაპოვებინა. პიესაში, ფერდინანდთან სცენაში, ფონ ვალტერი შილის გამოსატეხად რთულ საოას მიმართავს, როდისაც თერდინანდი უარს აცხადებს მილფორდთან ქორწინებაზე იმ საბაბით, რომ პერკოვის საყარკლთან გაშორი მის თირსიბას შეოახავს. პრეზიდენტი სთააზობს სხვა საცოოეს — თრეირიკა თონ ოსტრაიუს, რომელიც მრავალი შესაშორი თვისებებით არის შემკული. ამდენად, ფონ ვალტერების ოჯახისთვის სავსებით შესაფერია, როცა ფერდინანდი ასეთ ქორწინებაზეც არ თანხმდება, პრეზიდენტი ამხალს თავისი ვაჟიშვილის უარის ნამღვილ მიზეზს და როგორც მამა, მორჩილებას ითხოვს მისგან. სპექტაკლში, ალბათ, შემთხვევით არ არის ან ოლებული ფონ ვალტერის სიტყვები „ყალბი“ საცოლია შესახეი. ეს მის განსაკუთრე-

ბულ გერაგობას გაუსვამდა ხაზს, რაც, როგორც ჩანს, არ იყო გათვალისწინებული. სამაგიეროდ, კ. ლავროვის გმირს სპექტაკლში არაერთხელ სძლევეს მერყეობა, დაფიქრება, ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები. და მაინც, პატივმოყვარე ზრახვები მასში ყოველი მორიგი გადაწყვეტილების მიღებისას, მძლავრობენ. მაგრამ თვით პროცესი, რომელიც წინ უსწრებს გადაწყვეტილების მიღებას, სწორედ ამ შინაგანი ბრძოლის გამოა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო. მთლიანობაში კი იგი მნიშვნელოვნად ამდიდრებს სცენურ სახეს. ფინალურ სცენაში, როცა ფონ ვალტერი ფერდინანდის ცხედართან იხრება და მის თვალთაგან არაადამიანური ტკივილი ასხივებს, კ. ლავროვის გმირის ბედში უკვე საოცრად დრმატრაგიზმი იკითხება.

თავის დროზე ბოლნისკომ ფერდინანდს ეპოლეტებიანი და დაშინიანი პატარა ოტელო უწოდა, ლუიზას კი — იდეალური მზარეული გოგონა. სპექტაკლში ამ სახეების, მათი ურთიერთობის, სიყვარულის ინტერპრეტაცია არც იმდენად დამაბლლებელია, თუმცა, ფერდინანდის გრძნობათა ეგზალტაცია, აზრთა გამოხატვის გადამეტებული რიტორიკულობა, ზოგჯერ ხელოვნურობაც კი ამკარადაა ხაზგასმული. ფერდინანდს, შტიურმერული იდეებით გატაცებული ახალგაზრდა შილერის გმირს, სიყვარულის რუსთისტული კონცეფცია უფრო იზიდავს, ვიდრე საკუთრივ ლუიზა, როგორც ცოცხალი ადამიანი. თითქოს რუსოს სიტყვებით მიმართავს იგი ქალიშვილს, როცა ცივილიზებული საზოგადოებიდან გაქცივისა და ბუნების წი-

აღში ახალი ცხოვრების დაწყებისაკენ მოუწოდებს. ახალგაზრდა ფონ ვალტერი მსახიობ მ. მოროზოვის შესრულებით, როგორც ბიენის არაერთი სხვა პერსონაჟი, გვეანდელი შილერის თვალთა დანახული, როცა მწერლის თვალსაწიერი გაცილებით უფრო თართო გახლდათ. ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლში ამ მოუხეშავ და ფანტიკოსს (როგორც ყველა ფანტიკოსს, ისიც, ცოტა არ იყოს, შეზღუდულია) ყმაწვილს ძალიან მოსწონს თავისი საქციელი. თითქოს ამყობს კიდევ იმათ, რომ ამ ურთიერთობებში წოდებრივ მოსაზრებებზე მალა დადგა. აფასებს რა ქალიშვილთან თავის დამოკიდებულებას, როგორც განსაკუთრებულ გმირობას, ფერდინანდის რადიკალიზაციას მძლავრად საკუთარ თვალში. სპექტაკლის ცენტრალურ ხაზად კი იაზრება არა იმდენად „სიყვარულის“ განადგურება „ვერაგი“ გარემოს მიერ (რომელიც ლუიზას შეყვარებულის დალატს დასწამებს), არამედ ახალგაზრდა კაცის მკვლელად ქცევის ის საშინელი პროცესი, რომლის ფონზე ფერდინანდის თვითმკვლელობაც კი ფერმკრთალდება. და როდესაც ის მომავლად ლუიზას იატაკზე შემოატრიალებს, ამ გამოუჯალბა და განწირულების ატმოსფეროში წირტილი ესმება, როგორც მის მიერ გამოხატონ. შეცდომებითა და გატაცებებით აღსავსე ცხოვრებას, ასევე ლუიზა მილერის ხანმოკლე არსებობასაც, მსახიობ ე. პოპოვას გმირი ცხოვრობს ისე, როგორც მას თავად მიაჩნია. მაგრამ ვერც მისი ბუნებრიობა, ვერც სილამაზე ვერ იხსნის მის სამყაროს, თუმცა თვით შილერი



იზიარებდა ხსნის იდეას მსხვერპლის ან სილამაზის საშუალებით. გამირთა დაშლილი ცხოვრების სურათი ფინალურ სცენაში დაუნდობელი პათეტიკური მონასმებით ბოლოვდება. ეს ის დაუნდობელი პათეტიკაა, რომლითაც სპექტაკლის მანძილზე ეს სურათი იქმნებოდა. და სწორედ იგი ლუიზასა და ფერდინანდს აიძულებს

გააცნობიერონ სიკვდილის სიძველე და ისიც, რაც მასთან დაკავშირებულია. ღმირი მოჰყვება. შოთის საბაბი აღარ არის. თითქოს ყოველივე რაღაც უხილავმა ძალამ უეცარ წინასწრობაში მოაქცია. ირგვლივ უცნაური, არაბუნებრივი სიმშვიდე ისადგურებს, რომლის მიღმაც უკვე მხოლოდ დუმილია...

## ვიქრია ყუშიტაყვილი

### მე სიმარტოვემ შემქმნა კმგვარი...

მამუკა სალუქვაძე — „სიმარტოვე“. დამდგმელი რეჟისორი — ქ. ხარშილაძე. მხატვარი — ა. ჭელიძე. თბილისი. ს. ახმეტელის სახ. სახელმწიფო თეატრი. 1990 წ.

ამ ბოლო ხანს ქართულ დრამატურგიაში ახალი სახელები გამოჩნდა. ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებმა უკვე დაიმკვიდრეს მნიშვნელოვანი ადგილი ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. ეს განსაკუთრებით ალ. ახმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრზე ითქმის, რომლის რეპერტუარიც, ძირითადად, ლ. თაბუკაძეის, ზ. სამადაშვილის, თ. ბაძღვას, მ. სალუქვაძის პიესებითაა წარმოდგენილი.

ყურადღებას ამჯერად მამუკა სალუქვაძის „სიმარტოვეზე“ შევაჩერებთ, რომელიც რუბრიკით — „დებიუტი“ აღმანახ „დრამატურგია 89“-ში დაისტამბა და ალ. ახმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეჟისორმა ქეთევან ხარშილაძემ განახორციელა. პიესის გმირებმა სცენაზე თანამედროვე საზოგადოების უდიდესი ტყვილი და სევდა მოიტანეს. „დრამატურგის დაუნდობელი, მე ვიტყვოდი — სასტიკი გულახ-

დილობის გამო (გულახდილობა მისი საარსებო პროგრამაა), ჩვენ თვალწინ გაივლებს ხოლმე ჩვენივე არსების შინაგანი, ნამდვილი სახე — გაშიშვლებული ანატომია სულისა. იგი ყველაზე გულახდილი ლიტერატურის სხვა დარგებს შორის და, ამიტომაც, ყველაზე უმწეოა“. — წერდა თ. ჭილაძე აღმანახის შესავალ წერილში და მართლაც, ბოლო პერიოდს ახალგაზრდულ პიესებს თუ გადავხედავთ, პირველ რიგში, ყურადღებას სწორედ ავტორთა უკიდურესი გულახდილობა, სულის უსაზღვრო სიშიშვლე იპყრობს. იმდენად მოულოდნელი, რომ დარბაზში მყოფი მაყურებელი გარკვეულ უხერხულობასაც განიცდის, როცა ასეთი გულწრფელი აღსარების უნებური მოწმე ხდება.

სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება პიესა „სიმარტოვე“, რომელიც მ. სალუქვაძის დებიუტია დრამატურგიაში. ეს ნაწარმოებსაც ეტყობა, იქნება ეს ხა-

სიათთა ფსიქოლოგიური დამუშავება თუ დრამატურგიული კონფლიქტის სცენური განვითარების ფრაგმენტულობა. თუ ბოლომდე გულახდილნი ვიქნებით, ამჟამად ჯან კოქტოს მონობიესების ზეგავლენაც. ზოგიერთს კი, შესაძლოა, ნ. მიხალკოვის გახმაურებული ფილმიც — „მოწმეთა გარეჯე“ გაგვახსენდეს. მაგრამ ავტორის გულახდილობა და, აქედან გამომდინარე, მისი აბსოლუტური უპირობა, დაუცველობა, განუმიჯნებელ ხიბლს ანიჭებს პიესას და აღბათ, სწორედ ამით იწვევს დამდგმელთა ინტერესსაც. ავტორი მიმართავს ძალზე სადა სიუჟეტურ ქარვას: ირჩევს ერთ წვიმიან, უფერულ კვირა დღეს, რომლის განმავლობაშიც პატარა, თანამედროვედ მოწყობილი ერთთახიანი ბინის ინტერიერში ცოლ-ქმრის — ელენესა და ლუკას ურთიერთობას გაათამაშებს. მათ მთელი რვა წელი გაატარეს ერთ ჭერქვეშ, ჰყავთ შვილი — პატარა საბა. ისინი ჯერ სრულიად ახალგაზრდები არიან. ლუკა საკმაოდ ნიჭიერი მწერალი უნდა იყოს, ელენეც ახალგაზრდა, ინტელექტუალური ქალია. სიყვარულით შეუღლდნენ, მაგრამ შემდგომ სადღაც რაღაც გაიბზარა. პატარა წყენაც გაჩნდა. მერე ეს წყენა ბავშვურ კინკლაობასა და ჯიბრში გადაიზარდა და, საბოლოოდ, ნამდვილ ორთაბრძოლად იქცა, სადაც არ არსებობს მტყუანი და მართალი. არსებობს მხოლოდ მკაცრი სიმართლე. საბოლოო ჯამში კი ეს მკაცრი რეალობა ყველაზე მტკავნულად და დაუნდობლად ბავშვზე აისახება.

როდის კარგავენ ადამიანები

ერთმანეთს? გაზაფხულის <sup>პრინციპული</sup> კრებით რატომ ქრება ერთ დროს ნალოლიავეები და ნანატრი სიყვარული? იქნებ მაშინ, როცა ბოლომდე შეიცნობენ ურთიერთს და ინტერესი განელდება? იქნებ, მაშინ, როდესაც შეყვარებულთა შორის ყოველდღიურობის უფერული და მოსაბეზრებელი კედელი აღიმართება. ან იქნებ?.. ხალხური ანდაზა ამბობს, ცოლ-ქმრის კინკლაობა ბრიყვს მართალი ეგონაო. მაგრამ თუკი ცოლ-ქმარი ორი სრულიად სხვადასხვა, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანია? „არ შეიძლება ორი სიმარტოვის ერთად ცხოვრება“, — ასკვნის მ. სალუქვაძე, რომელიც გულმოდგინედ ეძებს დარღვეული პარმონიის მიზეზებს და, სამწუხაროდ, გამოსავალს ისევ და ისევ განშორებაში ზედაჯა.

ავტორისეული გულახდილობა ვახსენე და აქვე უნდა დავძინო, რომ ზოგჯერ სპექტაკლში ავტორი და მთავარი გმირი გაიგივდება და სახეზეა ავტორის თვალით დანახული ცხოვრება.

...ჩაბნელებულ სცენაზე გამოჩნდება ლუკა (ზ. ქაშიძაძე), რომელიც პიესისეულ რემარკებს კითხულობს. და მთელი შემდგომი დრამატურგიული პერიპეტეები გათამაშდება, უკვე როგორც მწერლის ფანტაზიაში წარმოქმნილი სამყაროს რეალიები. დრამატურგიული ჩანაფიქრი ორპლანოვან სტრუქტურას — ირეალურის (შეთხზული ურთიერთობები, რომელნიც ორი წვეთი წყალივით ჰგავს სუნამდვილეს) და რეალურის (სინამდვილე, რომელიც სულ უფრო ემსგავსება ლუკას „პიესის“ სიუჟეტს) მონაცვლეობას ემყარება:

ავტორს პერსონაჟთა პარალელურად შემოჰყავს მესამე მოქმედი პირი — „ფიქრი“, რომელიც ფაქტიურად, გმირთა ქვეცნობიერ სამყაროს შიფრაჟს. სპექტაკლში კი პერსონაჟთა რეალური ტიქსტი და ნაფიქრი ერთ სახეში მთლიანდება: ამ დანაწევრებული წარმოსახვა-რეალობის მონაცვლეობას რეჟისორი ავტორის, მწერლის სახეში აერთიანებს.

დასაწყისში განგებ ვახსენებ ნ. მიხალკოვის ფილმი, სადაც პერსონაჟთა საკუთარ თავთან დიალოგისას, რეჟისორი წმინდა კინემატოგრაფიული ხერხის — ე. წ. მსხვილი ხედისა და წმინდა თეატრალური მოვლენის — მაყურებელთან უშუალო კონტაქტის სინთეზს ირჩევს. რეჟისორი ქ. ხარშილაძეც ანალოგიურად აგებს სპექტაკლის არქიტექტონიკას და მოქმედ გამირებს სწორედ „მსხვილი ხედით“ აფიქსირებს — მსახიობები მაყურებელთან პირისპირ გამოდიან ავანსცენაზე და ამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს, ეძებენ საკუთარ საქციელთა გამართლებას, იბრძვიან პიროვნული თვითდამკვიდრებისათვის, ეკამათებიან შინაგან „მეს“.

რეჟისორის არჩევანი ლოგოკურია და საეგებით გამართლებული ვერც ფსიქოლოგიურ სიმართლეში შეიკვდავებით, მაგრამ, სამწუხაროდ, სპექტაკლში ბოლომდე ვერ ხერხდება დამდგმელთა ჩანაფიქრის რეალიზაცია. ფაქტიურად, აღნიშნული „ფიქრის“ სცენები მოქმედების უწყვეტ ჯაჭვში მცირე კულმინაციებად უნდა ქცეულიყო — ერთგვარ „ქვეცნობიერ“ მონოლოგებად, სადაც ბოლომდე ჯაცხადდებოდა ადამიანის სულიერი სიმართლით გამორწვეული ტრა-



ელენე — მ. ტალიაშვილი  
ლუკა — ე. ქაშიბაძე

გიდია. მაგრამ ფსიქოლოგიური გადასვლა რეალობიდან ფიქრთა საუფლოში დაუმუშავებელი დარჩა და, ბუნებრივია, მსახიობებსაც გაუქმნელდათ საკუთარი როლების გამთლიანება, ხასიათის ფსიქოლოგიური ნიჟანსირება.

თვით მხატვარ ა. ჭელიძის მიერ შეთხზული სცენური სამყაროც (თანამედროვე ბინის ტიპური ინტერიერი, რომელსაც გამორჩეულობას სძენს იმპრესიონისტთა რებროდუქციები, ბავშვის გამოუცვლელი ხელით შესრულებული ნახატები და ავანსცენაზე დაფენილ ნოხზე მაყრილ-მოყრილი სათამაშოები) არ გათამაშდება სრული სისავსით. სცენოგრაფიული მოდელი მთლიანობაში ვერ ახერხებს სპექტაკლის ქმედით ქარგაში „მონაწილეობის მიღებას“. არადა, რენუარისა და ვან გოგის მზით

დაფერილი მხატვრული ტილოების პარძონია ელენესა და ლუკას დარღვეულ სულიერ წონასწორობასთან კონტრასტში, სპექტაკლის დომინანტად უნდა ქცეულიყო. იაკეპ როგორც საბას ხანატებსა და სათამაშოებს უნდა შეეხსენებინა მშობლებისათვის გაძუდმებით „ორი სიძარტოვის“ დაძაქვეშირეული ძალის — შვილის არსებობა. მაგრამ, სამწუხაროდ, სცენოგრაფიის ეს ფაქიზი დეტალები ვერ გაითავისა გძირთა საქციელსა.

სპექტაკლი თითქმის, საათსა და 40 წუთს მიძღვნილია და მთელი მოქმედების მასხილზე მ. ტალიაძეის ელენე და ზ. ქაშიბაძის ლუკა გატაცებით თამაშობენ საკუთარ როლებს ცხოვრების დაუხვლობელსა და მკაცრ თეატრში. ახალგაზრდა მსახიობებს საკმაოდ რთული ამოცანების დაძლევა უხდებოდა. შით უფრო, რომ არც რეჟისორი და არც მხატვარი, არავითარი გასსაკუთრებული რეჟისორული სვლევითა და ორიგინალური სცენოგრაფიული ეფექტებით არ ენმარებიან. მაყურებელთა პირისპირ დარჩენილმა მსახიობებმა უნდა გაითამაშონ ცოლ-ქმრული დრამა, დატვირთული გზებებითა და ემოციური მუხტით, აღსავსე თეითრონიითა და შინაგანი კონფლიქტებით. ახალგაზრდა მსახიობები მთელი სისავსით გრძნობენ მაყურებელთა დარბაზის მაქისცემებს და ჩიხებულ პარტნიორობას უწყევლე ურთიერთს. მათი მძაფრი ურთიერთობა და წამითაც არ ხელდება. ბოლომდე დამუხტული და საინტერესო რჩება, რაც ძალსე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური პიესის თამაშისას. მაგრამ, სამწუხაროდ, არის სცენები, სა-

დაც რეჟისორის ამოცანა ბუნდოვანია და ხასიათიც სქემატურობას ვერ სცილდება.

შზია ტალიაძეის ელენე ხან მხოლოდ ცინიკოსი მოკამათეა, ხანაც მხოლოდ აგრესიული ქალი, ან მხოლოდ მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე, ან შვილზე უსახლოდ შეყვარებული დედა, ან კიდევ ეჭვიანი ცოლი, გნებინი პარტნიორი და ა. შ. — ჩვენ უსასრულოდ შეგვიძლია განვავრძოთ ელენეს მიერ გათამაშებული ამ „როლთა“ ნუსხა. ხასიათის ამგვარი დანაწევრება აღარობებს გძირის ფსიქოლოგიურ სამყაროს, ამარტივებს მსახიობის თამაშის შესაძლებლობებს. სახეს აკლდება რელიეფურობა, შინაგანი კონფლიქტი. ელენე ხომ, ფაქტიურად, არაფერში არ არის ბოლომდე დარწმუნებული: არ იცის, ქმარი მართლა დალატობს თუ არა; არ იცის, როგორ იცხოვროს, რათა ოჯახში დარღვეული პარძონია აღდგეს; არ არის დარწმუნებული, რომ ოდესღაც მართლა უყვარდათ მას და ლუკას ერთმანეთი; არც იმის სჯერა, თუ სახლიდან წაქა, მის ცხოვრებაში რაიმე უკეთესობისკენ შეიცვლება. ამიტომაცაა, რომ ვერ ერევა კომპლექსებს, განუწყვეტლივ აწვალებს ეჭვი, სულის სიმშვიდეს და შინაგან თავისუფლებას რომ უკარგავს. თავისთავად, მსახიობის თამაში ფრაგმენტულია და სცენებში, სადაც მას უდიდესი ტეივილი (განუხორციელებელი პაროვნული თავისუფლებითა და მიუღწეველი ბედნიერებით გამოწვეული მარტოსული ახალგაზრდა ქალის სულიერი დრამა) მოაქვს, ელენეს სახე ცხოვრებისეულ დამაჯერებლობასა და სცენურ სიმართლეს იძენს.



ზ. ქაშიბაძე თავისი გმირისთვის ძალზე სადა საღებავებს ირჩევს. ოდნავ ზანტი, ოდნავ ევოისტი, უკიდურესად ცანიკოსი, საკმაოდ ნაქიერი და განათლებული, რამდენადმე ფლეგმატური, მაგრამ უსაზღვროდ გოლწრფელი და მართალი — ასეთია ზ. ქაშიბაძის ლოკა, რომელიც, ცოლთან ურთიერთობაში, ავტორიტარის ნიღაბს

ჩილი, გულუბრყვილო და გულჩილიც კი ჰდებდა.

ფსიქოლოგიაში არსებობს ე. წ. „ფსიქოლოგიური ასაკის“ ცნება, რომელიც ინდივიდის შინაგანი, პიროვნული მომწიფების კრიტიკრიუმს განსაზღვრავს და, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამება ადამიანის ბუნებრივ ასაკს. ლუკასა და ელენეს კონფლიქტი სწორედ



ელენე — მ. ტალიაშვილი

ირგებს. შეუძლია უყვიროს, უხეშად უზიძგოს, გალანძლოს, შეურაცხყოს, წვიმიან ამინდში გასტრონომში სიგარეტზე ჩაგზავნოს, ყავის ჭიქა თავზე დააღეწოს — აქოდა, მეტად ტკბილი ყავა მომიღუღეო. მაგრამ ეს თვალშისაცემი სიუხეში მისივე უმწეობის დამადასტურებელია მხოლოდ. საკმარისია მარტო დარჩეს, პირისპირ აღმოჩნდეს საკუთარ თავთან, რომ ბაგშივით თვინიერდ და მორ-

მათ ფსიქოლოგიურ უმწიფარობაში იღებს სათავეს. ლამის ბავშვური ჯიბრითა და სიჯიუტით აღსავსე ცოლ-ქმრული კინკლაობა ნათლად მიტყველებს, რომ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მოზარდის ასაკს ჯერაც ვერ გაცილებიან, თუმც, რეალურად უკვე ზრდასრული, თითქმის ოცდაათწელს მიტანებული (თუ მეტი არა) ადამიანები არიან.

და მაინც ბუნებრივად იბადება



კითხვა, — ვინ არის მართალი? ან თუ გნებავთ — ვინ არის დამნაშავე, როცა ირღვევა ახალგაზრდა ოჯახები, ობლდებიან ბავშვები, ქრება სიყვარული, ინგრევა ბედნიერება? მაინც როდის კარგავენ ადამიანები ერთმანეთს?

ალბათ მაშინ, „როცა სიყვარული ჩვეყაში გადადის, როდესაც ხელოვნება ხდება ხელობა. სიყვარული კი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, სიყვარული ხომ, თავისთავად, არაჩვეულებრივია.

არასოდეს არ უნდა იცნობდე ადამიანს იმდენად, რომ აღარ გაინტერესებდეს... არ შეიძლება ორი სიმარტოვის ერთად ყოფნა“.

სინამდვილეში კი, სამწუხაროდ, სხვაგვარად ხდება. ეს სიმღერაშია: „მე სიყვარულმა შემქმნა ამგვარი“. ცხოვრებაში ადამიანებს სიმარტოვე ქმნის და იშვიათად თუ ვინმეს ყოფნის ნებისყოფა, ცხოვრება სიმღერად — სიყვარულის ლამაზ და უსასრულო სიმღერად აქციოს...

## გიორგი ბასიშვილი:

### ჩემი თეატრის სიკეთე მინდა

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, გორის გ. ერისთავის სახ. თეატრის მსახიობს, გიორგი ბასიშვილს, დაბადების სამოცი და თეატრში მოღვაწეობის ორმოცი წელი შეუსრულდა.

თბილისის გარეთ განლაგებული თეატრების მსახიობთა ცხოვრება საყოველთაოდაა ცნობილი. ეს გიორგი ბასიშვილისა და მისი ახალგაზრდა კოლეგის, ხათუნა ბასიშვილის ამ პატარა საუბარშიც ჩანს.

— ბატონო გოგი, ხომ არ ვაგახსენოთ თეატრში თქვენი მოსვლა...

— თეატრში მოსვლამდე რაიონის კულტურის სახლში ვმუშაობდი. ერთ ზაფხულს ბორჯომში ვისვენებდი. ჩვენი თეატრი გასტროლებზე იქ იმყოფებოდა. საშა კალანდარიშვილმა და ერვანდ არაქელოვმა წარმადგინეს ბატონ ვასო ყუშიტაშვილთან. ეს იყო და ეს. ასე მერგო გორელი ახალგაზრდის — სემინარიელ გლუჩიძის როლი გ. ნახუცრიშვილის პიესაში „სიკაბუე ბელადისა“. მას შემდეგ უკვე ორმოცი წელი გავიდა.

— იმეამინდელი გორას თეატრი საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩეოდა. ამ პროცესს ბატონი ვასო ყუშიტაშვილი წარმართავდა.

— დიახ, იმ პერიოდის გორის თეატრი სხვაგვარი ვერც იქნებოდა. ბატონი ვასო კუშიტაშვილი შემოქმედი გახლდათ. ბედნიერი ვარ, რომ თეატრალური სკოლა ყუშიტაშვილთან გავიარე. და არა მარტო მე...

მახსოვს, ერთხელ აკაკი ზორავა ჩამოვიდა ჩვენთან, რამდენიმე სპექტაკლს დაესწრო. გამომშვიდობებისას ბატონ ვასოს მადლობა მოახსენა, თან იკითხა, ეს ახალგაზრდები რაღაც არ მახსოვს ჩვენთან, ინსტიტუტში, თეატრში საიდან მოვიდნენო — ყუშიტაშვილმა მიუგო, ესენი ჩემი ინსტიტუტიდან არიანო.

სწორედ მაშინ იყო, სახლში დასაძინებლადაც რომ აღარ გვინდოდა წასვლა,

არადა არ გვეთმობოდა თეატრი. ყველაფრის საფილათავი კი ვასო ყუშიტაშვილი გახლდათ. საოცარი კაცი იყო. რატომღაც მეგონა, რომ ყველა რეჟისორი უთუოდ მას უნდა ჰგვანებოდა. სხვაგვარად ვერც წარმომედგინა, იმთავითვე რომ მცოდნოდა, ბედი ასეთ დიდ რეჟისორსა და იშვიათ ადამიანს შემახვედრებდა, ჩემს ასალგაზრდულ წლებს კიდევ უფრო ნაყოფიერად გაეატარებდი.

— ყუშიტაშვილის გარდა, კიდევ რომელ რეჟისორებთან გიმუშავიათ?

— გორის თეატრი, თავის დროზე, ნიჭერი რეჟისორების სკოლა იყო: აკაკი ვასაძე, ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, იური კაკულია, ჩვენთან მუშაობდნენ აგრეთვე: თამაზ მესხი, სიკო ვაჩნაძე, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, შოთა ქარუნიშვილი, გოგი აბრამიშვილი. სწორედ მათი დამსახურებაა, თუ დღემდე რაიმე წარმატებას მივაღწიე. თითოეულმა მათგანმა გარკვეული როლი ითამაშა ჩემი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში.

— ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, გორის თეატრში, ორასამდე როლი განსახიერეთ. ესოდენ ვრცელი რეპერტუარი სწორედ რომ საამაყო მსახიობისა თვის, ხომ არ შეგვახსენებდით ზოგიერთ მათგანს?

— სიამოვნებით. გრაჩოვი (კონსტანტინოვის „სეყარულის შესხერპლი“), სტალინი (ნახუცრიშვილის „შუქი მიწიდან“), გაბრო (ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“), კრეონი (სოფოკლეს „ანტიგონე“), ბარონ კრიუგი (ჩაპეის „თეთრი სენი“), ამირსპასალარი (ბათიაშვილის „ოქროს თევზი“), ნილი (გორკის „მედალიონი“), ჭერ



წიწოლა  
(დ. გაჩეჩილაძე. „ზახტრონა“)

შალიმანი  
(ი. ვაკელი. „გიორგი სააკაძე“)



ერკლე, შემდეგ ანანია (სუმბათაშვილის „ლალატი“), ბეო (გოლდონის „ქარიანა ქალები“), ვალი (მაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალან“), ავგიორგა (შატბერაშვილის „მკვდრის მზე“), ტიგრან გულიანი (დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“), ჩინჩახელი (ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), მინაი გერასიმოვიჩი (დარასელის „კიკვიძე“), შალიშანი (ვაკელის „გიორგი საკაძე“), აგაბო (იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“), გიგია (ყაზბეგის „განკიცხული“), მეფე (ჭავჭავაძის „უამთაბერის ასული“) და კიდევ ვინ მოსთვლის. სულ ორასამდე როლი, ორი ასეული სახე.

— თქვენ მიერ ნათამაშევი როლებიდან, განსაკუთრებით რომელს გამოარჩევდით?

— ცოტა კი მიჭირს, კონკრეტულად რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ.. ალბათ, მაინც გიგია — სექტაკლიდან „განკიცხული“ (ა. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ მიხედვით, კიდევ ნილი (მ. გორკის „მდაბიონი“) და გაბრო (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“). თითოეული მათგანი ძალზე ასლოხა ჩემს ბუნებასთან. ამგვარ სიახლოვეს, ალბათ, მთელი კაცის განსაკუთრებული თვისებები, უფრო კი უნინი და შეუპოვრობა განსაზღვრავენ.

— როგორ აფასებთ გორის თეატრის დღევანდელობას?

— სადღა უწინდელი გორის თეატრი! თეატრში საერთოდ აღარ არის შემოქმედება, რეჟისურა. რეპერტუარში არა გვაქვს ისეთი პიესა, მაყურებელი რომ მოიზიდოს. უკან მიდის თეატრი, პატრონი აღარავინაა. არადა, ჩვენს თეატრს ნამდვილად ჰყავდა მაყურებელი, რომელმაც ერთგულებაც იცოდა და მხარდაჭერაც, სიყვარულიც მოსდგამდა და მსახიობის დაფასებაც.

— რას იტყობთ თეატრის ახალგაზრდა მსახიობებზე?

— მიხარია, როცა ახალგაზრდას ნიქსა და შრომისმოყვარეობას ვამჩნევ, მთელი ჩემი არსებით თანაუგრძობობ, ვცდილობ, ყოველმხრივ დავეხმარო, მაგრამ სამწუხაროა, რომ გორის თეატრს დღეს არა ჰყავს ახალგაზრდა გმირის შემსრულებელი, მაშინ, როდესაც თეატრის რეპერტუარს ჩემი თაობის ახალგაზრდობა წარმართავდა, რომელი ერთი ჩამოვთვალო: ჩეკო ტატალაშვილი, გივი ციციშვილი, ლადო ცხვარიაშვილი და სხვ. ძალიან მინდა, ჩვენს ახალგაზრდობას თეატრის სიყვარული ჰქონდეს, მაყურებლის ერთგულება, შრომისმოყვარეობა მოსდგამდეს. თურმე სიყვარულსაც სწავლა უნდა. ამ მხრივ, ჩვენ ბედნიერი თაობა ვართ, რადგან საუკეთესო პედაგოგების, დიდი რეჟისორების ხელში ვიზრდებოდით.

— წლების მანძილზე მსახიობის თეატრში მოღვაწეობას, მნიშვნელოვანწილად, განსაზღვრავენ პარტნიორები. ამ მხრივ, ვგონებ, ბედს არ უნდა ემდუროდეთ.

— სამღურავი მართლაც არ მეთქმის: შალვა ხერხეულიძე, ქეთო ბოჭორიშვილი, შოთა ხაჯალია, ვანო ოსაძე, სტოპა გრიჭოროვი, ბახვა ლონდაძე, ერვანდ არაქელოვი, ვალიკო მარსაგვილი, მარიამ ბახტაძე, ვასო კანჩიაშვილი. ისინი ჩემთვის მხოლოდ სცენური პარტნიორები კი არა, ჩემი ცხოვრების მეგზურები იყვნენ. რეპეტიციების შემდეგაც სულ ერთად ვიყავით.

დღესდღეობით, თეატრში ჩემ გვერდით არიან: დარეჯან ჭამაური, ფატი ფულარიანი, ნინო ზაღდასტანიშვილი, როზალია ცაბაძე, ჩეკო ტატალაშვილი, ოთარ დათუნაშვილი, ვოვა ხაჩიძე, ლევან ოზგებაშვილი. იმით მაინც ვარ ბედნიერი, ჩვენ რომ კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

— მაყურებელმა, ამ ბოლო ხანს, ცისფერ ეკრანზედაც გიხილათ.

— ცისფერ ეკრანზე პირველად დიპლომანტმა კინორეჟისორმა, ირაკლი შავ-



ლიაშვილმა მიმიწვია მოკლემეტრაჟიან ფილმში „რთველი — 84“, — კახელ მწიგნობართა კავშირის, გიორგის მთავარი როლი ვითამაშე. ამას მოჰყვა რეჟისორ პავლე ჩარკვიანის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქა“, რომელიც რ. ქვიციანიის მოთხრობის ეკრანიზაცია გახლავთ. ემონაწილეობდი აგრეთვე რეჟისორ მანანა იმედაძის სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლში „ორი შვილი“, რომელიც მიხეილ ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა. ერთ-ერთ მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმში ვითანამშრომლე რეჟისორ თემო ბუთიაშვილთანაც. ამჟამად მიწვეული ვარ კვლავ რეჟისორ მანანა იმედაძესთან, ყაზბეგის „მოდვარში“ თემის წინამძღვრის, ჯმუხას როლზე.

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

— თავისუფალ დროს ნადირობასა და ჩემი პატარა ნაკვეთის მოვლას ვხმარ. ნადირობის ნამდვილი ტრფიალი გახლავართ. მიწასთან სიახლოვე კი ჩემი გლახური, ქართლური ბუნებიდან დამყვა.

— თუ საიდუმლო არ არის, რაზე ოცნებობს სამოცი წლის გიორგი ბასიშვილი?

— პირველ რიგში, ჩემი თეატრის სიკეთე მინდა, იმ ავტორიტეტის აღდგენა, უშუალოდ შვილის დროს რომ გვქონდა. მაშინ პერიფერიის თეატრებს უოველ ორსამ წელიწადში გასტროლები ჰქონდათ თბილისში. მეტადრე ჩვენ, გორელებს, სწორად გვიწევდა თბილისში გამოხვლა, რითაც ჩვენი გულშემატკივარი მაყურებელი ფრიად ამაყობდა.

ასეთი თეატრი მინდა ჰქონდეს ჩემს შვილიშვილებს, მომავალ თაობებს, მერე უველაფერი იქნება..

— ისე კი, მსახიობს ოცნებას რა გამოუღვეს!..

ჩაიწერა  
ხათუნა ბასიშვილმა.

ნათელა ურუშაძე

ვასტაკლოთ სკოპატრო ხელოვნებკ სკოლკში

საქიროა ამგვარი საგანი? რა მიზანს ისახავს იგი? — ისეთი მაყურებლის აღზრდას, რომელსაც განვითარებული აქვს ესთეტიკური გემოვნება, შეუძლია ხელოვნებისეული მშვენიერების აღქმა და ქეშმარიტი ხელოვნების სუროგატისაგან გამორჩევა. განა არ ვიცით, რომ მხატვრული ქმნილების სრულფასოვანი აღქმისათვის საჭიროა გარკვეული მზაობა მისი აღმქმელისა? ისიც ხომ ვიცით, რომ საზოგადოების კულტურულ აღმავლობას მხოლოდ ნიჭიერი ხელოვანის არსებობა არ განაპირობებს, ეს დიდადაა განპირობებული მისი ადრესატივით.

აღამიანები ესწრაფვიან ხელოვნებას, სურთ მხატვრულ ნაწარმოებებში დანახონ ის, რაც მტკიენეულია და ამაღლეუბელი, მიუახლოვდნენ ქეშმარიტებას, მხატვრულ ნაწარმოებთან შესახვედრად ისინი მოდიან იმ რეალური სამყაროდან, რომელშიც არსებობენ და ამის გამო ბევრი რომ იციან კიდევ მის შესახებ. მაგრამ მიაჩნიათ, რომ ხელოვანმა მათზე მეტი იცის, მათზე ძლიერ შეიგრძნობს სამყაროს, რადგან ნიჭიერია. იმედი აქვთ, რომ მეტის დამნახავი, მგრძნობელი და

ამომხსნელი ეტყვის და გააგებინებს იმაზე მეტს, რაც თვითონ უგრძნიათ და უფიქრიათ. თუ ხელოვანმა აღრესაქვს მეტი არ იცის და სათქმელიც არაფერი აქვს მისთვის, მაშინ ვინ წაიკითხავს წიგნს, ვინ წავა სურათის, ქანდაკების, სიუჟეტაკლისა და ფილმის სანახავად, ან მუსიკის მოსასმენად?

ვის არ წაუკითხავს თითო კარგი წიგნი? ვის არ უნახავს ფერწერისა და ქანდაკების თითო კარგი ნიმუში? ვის არ მოუსმენია ბრწყინვალე მუსიკალური ნაწარმოები, არ უნახავს შესანიშნავი ფილმი ან წარმოდგენა? მიუღია კიდეც. ალბათ, უძლიერესი შთაბეჭდილება, მაგრამ ერთია ათასში ერთი — ამგვარი შთაბეჭდილებების მიღება, ასეთი განცდა სხვისი ნაზრევისა და სახეობრივ თქმულისა, და სულ სხვა — სისტემატური შეხვედრები ხელოვნებასთან, რაც იძლევა შესაძლებლობას, იზყოფებოდე მხატვრული ნაწარმოების მუდმივ აღქმა-წვდომის პროცესში, ანუ ჩართული იყო ადამიანთა საზრუნავში, მათ საფიქრალში, ტკივილებსა და სიხარულში, რომელიც იქაა ასახული. სულ სხვაა იმიტომ, რომ ხელოვნებასთან სისტემატური შეხვედრები თანდათან, ისიც ესთეტიკური ტკობის პროცესში აყალიბებენ ადამიანის მსოფლგაგებას და მსოფლშეგრძნებას, უვითარებენ უნარს მეტა დინაროს და შეიძევნას, უფრო ძლიერ შეიგრძნოს ყველაფერა. ასეთი განვითარებული გონებისა და გრძნობის, ჩამოყალიბებული მარწამის ადამიანები განაპირობებენ საზოგადოების ზნეობას და მის პროგრესულ წინსვლას, რადგან ისინი კაცთმოყვარენი, გამგებნი და სიკეთის მოხვედენი არიან. ასე უწყობს ზელს ესთეტიკური აღზრდა პიროვნების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს მიზანს. მართლაც, ესთეტიკური აღზრდა ხომ მშვენიერებისადმი მიდრეკილების გამოიშუშავება, შემოქმედებითი წარმოსახვის ამოძრავება, სახეობრივი ძალების შემოქმედებით გაღვივებული ემოციის გააქტიურება. ეს ყოველივე სულიერ ძალთა გაღვივება-გაღვივებას ემსახურება. მეცნიერებას შეუძლია ააშენოს და დაანგრიოს ყველაფერი, მაგრამ საექვოა, რომ მას ჰქონდეს ძალა, აღძრას ადამიანში თანაგრძნობა და მოყვასისადმი სიყვარული — ეს გრძნობათა სფეროა და რეი ხელოვნებას ეკუთვნის. გავისხენოთ დიდი ილიას სიტყვები: „დღეს ყველაფერი შეწირული აქვს მართო გონების გახსნას და დაიწყებულია, რომ ადამიანს ჭკვა-გონების გარდა, გულიც აქვს, რომელსაც კაცაცობისათვის ისეთივე წვრთნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდვისათვის ჭკვა-გონებას“.

რას მისცემს მოსწავლეს ხელოვნებისადმი გაღვივებული მოთხოვნილება? რას შემატებს?

გარდა ემოციური სიმდიდრისა, ის მისცემს გარკვეულ ცოდნას. განა იმისთვის არ იქმნება მხატვრული ნაწარმოები, რომ ხელოვანმა ცხოვრებაზე თავისი სათქმელი თქვას? ეს სათქმელი ნაწარმოებში წარმოჩენილი პრობლემის გადაწყვეტის მისეულ ვერსიასაც მოიცავს თავისებურად, მაშასადამე, ცხოვრებისეულ საკითხებში გარკვევას.

თავის სათქმელს ხელოვანი არც პირდაპირ ამბობს და არც ერთმნიშვნელოვნად — მის მიერ შეთხზული მხატვრული სახეებით გვესაუბრება, ამგვარად ნათქვამი ამოცნობას ხაჰიროებს, ამოცნობა წარმოსახვის განვითარებულ უნარს ითხოვს და მუღამ ინიფიცილურია. მაშასადამე, მხატვრულ ნაწარმოებთან შეხვედრა დამოუკიდებელ აზროვნებასაც ავითარებს. ფანტაზიის უნარსაც და მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებასაც აჩვენებს. არც ამ თვისებების გარეშე არსებობს პარმონიული პიროვნება.

როლის დაიწყეთ სათეატრო ხელოვნების საფუძვლების შესწავლა? XI კლას-

ში — 1990 წლის სექტემბერში (პირველი შეხვედრა შედგა 28 სექტემბერს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. №3-ე სკოლაში). რატომ XI კლასში? იმიტომ, რომ სათეატრო ხელოვნება სინთეტურია, მოიცავს ხელოვნების სხვა დარგებს, რომელთა რაობაშიც მოხდა ამ დროისათვის ვარკვეული უნდა იყოს, რადგან მას უკვე აქვს შესწავლილი სიტუაციის ხელოვნება (ქართული ლიტერატურა ისწავლება წლების მანძილზე). მუსიკა (მე-8 კლასში), სახვითი ხელოვნება (მე-11 კლასში) და კინოხელოვნება (X კლასში).

როგორია ის დრო, როდესაც ვიწყებთ სათეატრო ხელოვნების საფუძვლების შესწავლას ქართულ სკოლაში? რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში? ეს ის დროა, როდესაც ეროვნული მოძრაობა განვითარების მიმე ფაზაში შევიდა. გაჩნდა უამრავი პარტია, კავშირი და ასოციაცია, იმლაგრა მოუთმენლობამ, ურთიერთშორის ქიშკობამ, რასაც მოჰყვა დაუნდობლობა და სისასტიკე. რითა დაკავებული ჩვენი მოსახლეობა და, მაშასადამე, ვისკენ და რისკენა მიპრობილი უფროსკლასელთა უურადლება? — მიტინგებისაკენ, გაფიცვებისაკენ, შინშილობისაკენ... მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური თუ ზეპირი საშუალებები ამჟღავნებენ კრიტიკულ დამოკიდებულებას წარსულისადმი, მიმდინარეობს წარმოდგენილი ფაქტების გამომწერება, იხსნება საიდუმლო ფონდები და საცავები. ყოველივე ამის გამო, ნებისმიერ ახალს დღევანდელი ადამიანი, მხოლოდ უჩვეულოსა და სენსაციურს ელის. ამგვარი გარემო, ცხადია, არ უწყობს ხელს სახეობრივად ნათქვამის სიღრმე წვდომას, არც ხელოვნების კანონზომიერებათა ამოხსნისაკენ სწრაფვას.

როგორია დღევანდელი ქართული სკოლის უფროსი კლასების დამოკიდებულება თეატრისადმი? არ გვაქვს საფუძველი იმის განცხადებისა, რომ ქართველი მოზარდი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს თანამედროვე თეატრისადმი. მაგრამ როგორია ეს თეატრი? ქართული თეატრი ცხოვრობს იმით, რითაც სულდგმულობს მისი მაყურებელი? გვაქვს პიესები, სადაც მხატვრულად აისახება ის არსებითი ცხოვრებისეული პრობლემები და ვითარებანი, გადაუდებელ გააზრებას რომ მოითხოვენ? — თითქმის არა. არადა, რამდენ ღრმა, ზოგჯერ ტრაგიკულ კონფლიქტს გვათავაზობს ცხოვრება?! რამდენი ახალი ადამიანი წარმოაჩინა იმ საოცრად მშფოთვარე და წინააღმდეგობებით აღსავსე დრომ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ?! ეს პრობლემები ხშირ სუფიერა ცხოვრების პრობლემებია, მაშასადამე, მხატვრულ გააზრებას ხეობებენ, ახალი ხასიათების, ახალი ყალბის სოციალურ პიროვნებათა წარმოჩინებას. ცხოვრების წვდომა — ადამიანის წვდომა. თუ ეს წვდომა განსხეულდა ლიტერატურაში, იგი სცენაზე განსხეულდება. ამგვარ სცენურ კმნილებებთან შეხვედრას აუცილებლად მოინდომებს მაყურებელი, რადგან გმირთა ცხოვრების ამბავი მისი ცხოვრების ანარეკლი იქნება.

დღევანდელ ადამიანს სიმშვიდე აქვს დაკარგული. თავისუფლება და დაუსჯელობა გამოცდას გვიწყობს. წინა წლების სპექტაკლების ოდნავ პროტესტანტული სული, რის გამოც ზშირად თვალს ვხუჭავდით ხადადგმო ჭერების პრიმიტივიზმზე და სცენურ საბოლოო ერთმნიშვნელოვნებაზე, დღეს აღარავის აკმაყოფილებს. მომრავლდა უფერული სპექტაკლები და ასეთივე სცენური ხატები. დღეს უკვე დაუფარავად ღაპარაკობენ კრიზისზე. ეს კი იმას მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია, ხელახლა გავიზაროთ სათეატრო ხელოვნების ადგილი საზოგადოებრივ ყოფიერებაში.

როგორც არ უნდა ეცადოს, თეატრი დღეს ვერ დაეწევა ვერც პრესას, ვერც დოკუმენტურ კინოს, ვერც ტელევიზიას, ამავე დროს, ხელოვნების არც ერთი



სხვა სახეობა არაა ისე მჭიდრო კავშირში ცხოვრებასთან, როგორც თეატრი, რომელიც თავისი ბუნებითაა საზოგადოებრივი და ყოველ საღამოს რამდენიმე ასეულ ადამიანს უნდა აუწყოს თავისი სათქმელი. დღეს ეს სათქმელი უნდა ითქვას ქვეყანაში, რომელიც ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძვის, უნდა ითქვას ადამიანებისათვის, ვინც დატვირთულია ეკოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი პრობლემებით. ბუნებრივად ისმის კითხვა — რაზე უნდა ელაპარაკოს თეატრი ხალხს და როგორ? ამ კითხვაზე ყველა თავისებურად გასცემს პასუხს. ჩვენი ფიქრით, რაც უფრო მეტად შფოთავს საზოგადოება, რაც უფრო ხალხმრავალი და ხმაურიანია მიტინგები და აქციები, მით უფრო საჭიროა დინჯი, გულითადი საუბარი, არა მშაშვარეული და კატეგორიული მოთხოვნები, არამედ აზრთა მშვიდი გაზიარება და ურთიერთგაგება. ამგვარი შეხვედრა შეიძლება გახდეს საწინდარი მოქალაქეთა შეკავშირებისა სასურველი მიზნის სკეტილდღეოდ. მაყურებელს მოენატრა სულისშემძვრელი სპექტაკლები და მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე, კეთილშობილ პიროვნებათა სცენური სახეები.

არაა ადვილი სიღრმეში, ცხოვრებისეული პრობლემების შეგრძნება და მათი წარმოჩენა სცენაზე. ამისათვის აუცილებელია, რომ დრამატურგმაც და სცენის ხელოვანებმაც აღიარონ ფასეულობათა ისეთი სისტემა, სადაც არაფერია ადამიანსა და მის ცხოვრებაზე უფრო მნიშვნელოვანი. ადამიანის პიროვნებისადმი პატივისცემითა და კრძალვით გამსჭვალული დამოკიდებულების გარეშე, არ შეიძლება არსებობდეს ფსიქოლოგიური თეატრი. ვფიქრობთ, დღეს სწორედ ასეთია საჭირო, ჩვენ კი მთელ ქართულ თეატრში ამგვარი რამდენიმე სპექტაკლი თუ გვაქვს. ეს რამდენიმე იქნება ის ცოცხალი მასალა, რომელსაც მოვიშველიებთ სათეატრო ხელოვნების სპეციფიკური ენის შესწავლისას.

ეს ენა სკოლაში არასოდეს უსწავლიათ, თუმცა, თეატრი ადრეუკანაწილობაში შემოიღოს მოსწავლის ცხოვრებაში, მულმივ არსებობს (თოჯინების, მოზარდთა, უფროსთა) და ყველას გვესმის, რას გვაუწყებენ ცოცხალი ქმედების ამ ენაზე. მაგრამ სპექტაკლის გაგება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სათეატრო ხელოვნების ცოდნას. ცოდნა იმას ნიშნავს, რომ გაცნობიერებული გავქვს ამ ხელოვნების სპეციფიკური სახეობრივი ენის თავისებურება, მისი კანონები, რის გამოც ყოველწინარ სათეატრო ხანალობაში შეგიძლია აღმოაჩინო მისი აუცილებელი ნიშანდობლიობანი. მ.შახადაძე, შეგიძლია ჰქმნარიტი გამოარჩიო მოჩვენებითი ხელოვნებისეულისაგან, შეაგრძნო ხელოვანის მიერ შეთხზული ხატი. საქმეც ისაა, რომ მიუხედავად ხელოვნების ყველა სახეობისათვის დამახასიათებელი უნარისა აღძრას ასოციაცია, გამოიწვიოს გარკვეული ემოცია, ყოველ მათგანს ცალ-ცალკე აქვს საკუთარი გრძნობიერი ენა და ზემოქმედების საკუთარი ძალები.

სათეატრო ხელოვნება სანახაობაა, იგი საესეა საინტერესო და უჩვეულო თავგადასავლებით, ათასწირი ხასიათებით, ურთიერთობათა მრავალფეროვნებით, შუქით, ჭაზით, ფერით, ჩრდილით და სმოვანებით. ვფიქრობთ, მისი შესწავლა შეესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს — თავისუფალი და გულითადი საუბრების სახით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს საუბარი უნდა ექნებოდეს რომელიმე შემოქმედების პრობლემას და მოიცავდეს მასალას, როგორც წარსული, ისე თანამედროვე თეატრის ცხოვრებიდან. რაც უფრო წარმტაცი, მიწილიველი იქნება საუბარი, მით უფრო შევძლებთ გავუღვივოთ მოზარდებს ცოდნის დაუფლების სურვილი.



საუბრის აგების ამგვარი პრინციპი არც წარსულს მოგვწყვეტს და არც ნამედროვეობას. დროთა კავშირი ძირეულ პრობლემათა განვითარების თავისებურებასაც წარმოაჩენს, მასში გარკვევასაც მოგვთხოვს, ხოლო, რადგან სათეატრო ხელოვნების ამგვარი შესწავლის ნიშნში არ გავაჩნია, აქტიურ დამოუკიდებელ აზროვნებასაც და მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებასაც დამოუკიდებელი აზროვნებით მიგნებული საკუთარ შესაძლებლობებში რწმენას განუმტკიცებს მოზარდს და საბუთთან მსჯელობასაც მიჩვევს.

თუ მასწავლებელი მიზნად ისახავს შესწავლის საკნისადმი ინტერესის გაღვიძებას და აჩერებს ამას, მშინ უოველ ახალ საკნთან შეხვედრა სმყაროს ცელასალი „აღმოჩენა“. ამგვარი „აღმოჩენები“ ცხოვრებისადმი ინტერესს უძლიერებენ მოზარდს, აღუძრავენ უამრავ კითხვას, ამავე დროს, ადავებენ სურვილით აღძრულ კითხვებს თვითონ გასცეს პასუხი, სწავლა ზომ არაა დასწავლა — ესაა ბეჭითი ფიქრი საინტერესო მოვლენაზე. ამგვარი ფიქრი ძიების სურვილის აღმძვრელია, ძიება — პოვნის იმედი, პოვნა — სულიერი გამდიდრება და ცოდნით პიროვნების გაძლიერება.

ზოგადსაგანმანათლებლო ან დიფერენცირებული სწავლების სკოლისათვის გათვალისწინებული საგნების პროგრამებისაგან განსხვავებით, საგანს — „სათეატრო ხელოვნების საფუძვლები“ სახელმძღვანელო ჯერჯერობით არ გააჩნია. სანამ ამგვარი შეიქმნებოდეს, ის, რაც აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი, მოსწავლემ გაკეთილშეგვე უნდა აითვისოს. მოხდა თუ არა ეს, გამოირკვევა იმ შეკითხვების მიხედვით, რომლებიც დაებადათ მათ მასწავლებლის მიმართ. ეს შეკითხვები ამცნობენ პედაგოგს, შეძლო თუ არა მან მოზარდის ყურადღების საქრო მიმართულებით წარმართვა, ესაა მთავარი და არა მზა რეცეპტების მიწოდება და მათა დასწავლა, რაც მხოლოდ უკუშედეგის მომცემი შეიძლება იყოს. სწავლება პირველი წელი დაგვანახებებს, თუ რამდენად სწორია ჩვენ მიერ არჩეული ვზა.

ვინაიდან საგანი „სათეატრო ხელოვნების საფუძვლები“ ამ ხელოვნების რაობაში გარკვევას ისახავს მიზნად, შეისწავლება არა თეატრის ისტორია, არამედ ამ ისტორიის მანძილზე აღმოცენებული უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც განაპირობებენ სასცენო ხელოვნების თავისებურებას. მათი დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია მხატვრულ ლიტერატურასთან, ვინაიდან თვით სცენის ხელოვნება ეფუძნება ლიტერატურას. ამის გამო, თეატრალურ პრობლემათა განხილვისას, საილუსტრაციოდ შერჩეული იქნება ქართული ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული (უკვე შესწავლილი ან შემდგომ შესასწავლი) ნაწარმოებები, რომელთა სცენური განხორციელებაც მალე მოხატურულია.

როგორ წარმოგვიდგენია პროგრამის პროქტი XI კლასის მოსწავლეათვის ერთი სასწავლო წლის მანძილზე (კვირაში 1 აკ დ. საათი)? 1. საერთო შესავალი — საგნის მიზანდასახულება. 2. სათეატრო ხელოვნების ზოგადი განსაზღვრა. 3. დრამატურგია. 4. სცენოგრაფია. 5. დრამატულ თეატრის სპექტაკლის მუსიკა. 6. დრამატული თეატრის სპექტაკლის ქორეოგრაფია. 7. მსახიობის ხელოვნება. 8. რეჟისურა. 9. განსცენიურებული პროზა (ი. ცურტაველის „მუშანის წამება“). 10. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სასცენო ხელოვნება (ცოცხალი სურათები, მხატვრული კითხვა, გასცენიურების ნიმუშები). 11. არაკი სცენაზე („სიბრძნე სიცრუისა“). 12. პოეტის ცხოვრება სცენაზე (მ. შრეველიშვილის „ნიკოლოზ მართაშვილი“). 13. გ. ერისთავი და თეატრი. 14. სოციალური რომანი და თეატრი (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაქი მეჯღანუაშვილი“). 15. ი. ჭავჭავაძე და თეატრი. 3. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.

16. ა. წერეთელი და თეატრი. 17. ა. ყაზბეგი და თეატრი. 18. ვაჟა-ფშაველა და თეატრი. 19. დ. კლიაშვილი და თეატრი. 20. დრამატული თეატრის სპექტაკლის მუსიკა. 21. დრამატული თეატრის სპექტაკლის ქორეოგრაფია. 22. მსახიობის ჭელოვნება. 23. რეჟისურა. 24. სათეატრო კრიტიკა. 25. თეატრალური ხელოვნება. 26. სათეატრო ღედოვნების თვისებებზე. 27. ხაგნის მიწინადასახულების ჭელოვნება. 28. შენაწარმებელი ხელოვნება.

როგორც ვეღავთ, პროგრამის აგების პრინციპი ასეთია: დასწესში სპექტაკლის შემადგენელ ნაწილებს, მის ცალკეულ კომპონენტებს შევიწყალით თეორიულად, რათა გაირკვეს ყოველი მათგანის თავისებურება და დანიშნულება. შემდეგ გადავდივართ სპეციფიკურ პრობლემებზე, რომლებიც წამოიჭრა თეატრის წინაშე ქართული ლიტერატურის ნიმუშების სცენაზე ვაცოცხლებიას, დასასრულ — კომპონენტების ჭელოვნება გააზრება უკვე მიღებული ცოდნის მოშველიებით. პრობლემათა თანმიმდევრობას განაპირობებს ლიტერატურული მასალა, მისი მოთხოვნები სცენის ჭელოვნების ნიშნით, აღმოცენების მიზეზები და ქართული სათეატრო ჭელოვნების განვითარების თვისებებზე. ისტორიზმის პრინციპი დაცული იქნება საიდენტრაციო მასალის მიწოდებაშიც (ფირსაკრავი, ფოტო, კინო, ვიდეო, ცოცხალი წარმოდგენა).

„თეატრი და ცხოვრების“ მკითხველს არ სჭირდება იმის შესხენება, რომ ყველა სახეიკო ცვლილება ქვეყნის ცხოვრებაში ადამიანებმა უნდა მოახდინონ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების წესსკლას განაპირობებს მაღალი გონი, რადგან საქმარისი არაა მხოლოდ რწმენა, თუნდაც უკეთილშობილესი იდეისა — ამისთვის აუცილებელია დამოუკიდებელი აზროვნება, იდეის განხორციელებისათვის საჭირო პრინციპულად ახალი გზების გამოხახვის უნარი. მხოლოდ მაღალი, განვითარებული გონის ადამიანებს შესწევთ ძალა გაითვალისწინონ, როგორც უმრავლესობის კანონიერი მოთხოვნები, ისე მათი პრაქტიკული განხორციელების რეალური შესაძლებლობები, რომ მხოლოდ ნგრევა ადრეშექმნილისა ჭერ კიდევ არ ნიშნება ახლის შენებას, ეს ნანგრევების ხამრელებს ნიშნავს. უციცი, სულით დარბი და უწეო ადამიანები ქვეყნის ცხოვრებას სასიკეთოდ ვერ გარდაქმნიან. ზნეობა კი განუყოფელია ცოდნისა და კულტურისაგან. აი, რატომაა აუცილებელი ჭელოვნების რაობა? გარკვეული თაობების აღზრდა, ამგვარი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდონი მძლავრ სულიერ საყრდენად გამოადგება საზოგადოებას, რადგან საქმით განსაკუთრების ამის რწმენას, რომ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ფასებული მაღალი სული და ზნეობაა. ამისთვის შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა ქართული თეატრი. ამისთვის ხსნიდა იგი ყოველ სადამოს ფარდას, ამით სულდგმულობს დღესაც ქართული თეატრის ყველა ქეშმარიტი მოდენი.

სკოლაში სათეატრო ჭელოვნების საფუძვლების შესწავლა ნიშნავს იმის აღარებას, რომ ამგვარი ცოდნა აუცილებელია საშუალო განათლების მქონე ყველა ქართველისათვის. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ყველა ქართული სკოლის სასწავლო გეგმაში თავის კანონიერ ადგილს დაიკავებს სათეატრო ჭელოვნება. მანამდე კი დღენიადც ვგრუნვაა საჭირო იმისათვის, რომ დადგინდეს ხაგნის პროგრამა და დაწეროს სახელმძღვანელო, ამ რთულსა და უადრესად მნიშვნელოვან მამულისწეილურ საქმეს სათავეში უდგას საქართველოს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის ინსტიტუტთან არსებული მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის პრობლემების შესწავლელი ლაბორატორია, რომელსაც პროფ. მ. თაბორიძე ხელმძღვანელობს.

## ვის დაუბრუნებენ თავბრუს?

(ლიტვური შთაბეჭდილებანი)

50 წელი იბრძოდა ლიტვა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლისა და სახელმწიფოებრივი დანთუქიდებლობის აღდგენისათვის და აი. წლეულს, მარტის თვეში ახალგაზრდულმა პარლამენტმა იგი სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ლიტველი ხალხის აღფრთოვანებას სახელგარი რომ არ ჰქონდა, ეს გასაკვირი არ არის. მით უფრო ჩვენთვის. საკუთარი გამბედაობით, სიძლიერითა და სამამაცო ტკობის სურვილმა მოიცვა ჩვენც. ლანდსბერგისი და მისი მომხრენი გმირებად გამოცხადდნენ. დიდი ქალაქების საკერებსა და ბაღებში აღადგინეს ლიტველი ხალხის განთავისუფლებისთვის მებრძოლ გმირთა დანგრეული მიმორიალები, შეიცვალა ჩვენის დროშა და ღერბი, ჩუჩნებს ძველი სახილწოთები და დაუბრუნდა და რესპუბლიკის მთავრობა, საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლად. მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროსთან უშუალო კონტაქტების ძიებას შეუდგა. მაგარამ, სამწუხაროდ, ყოველთაგან ისე არ მოხდა. როგორც ეს ლიტველ ხალხს სურდა. ეკონომიკურმა ბოლოვანამ მოსახლეობას აღფრთოვანება შიშის გრძნობით შეუცვალა. დაბნეულობამ. შიშმა და სასოწარკვეთილებამაც კი მოიცვა ლიტველები. როდესაც ქალაქის ქუჩებში შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა და მალაზიების თაროებიდან ყველა გაქრა პირიერი მოთხოვნილების პროლოქები. ამგვარმა სიტუაციამ აქარგახანს აასტანა. ჩვენის ახალი მთავრობა კი ამ დროს საკუთარი პოლიტიკური პოზიციის განმტკიცებით იყო დაკავებული. ბრძოლის თორმეტი, რომელთაც ერთპიროვნული ძალაუფლების შესანარჩუნებლად მიმართათა ლიტვის მთავრობა. ხშირად ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ პრინციპებს. მათი საქმიანობა ერთობ წააფადა მანამდე არსებულ ბოტალიტარულ „დემოკრატიას“. სადაც მოქმედებს ძალითადაც ვანთი — ვინც ჩვენთან არ არის. ის ჩვენი მტერია. ამ „ნეობოლშევიკურ“ დემოკრაციამ (საქართველს დღევანდელი წამყვანი პოლიტიკური პარტიის „სოლიდისის“ საქმიანობას ლიტვის საზოგადოებრივობისა და ინტელიგენციის ნაწილი) გარკვეულწილად შეარყია ლიტვულ მოსახლეობაში რწმინა მანამდე, იტალია ჩველ მოლოწილთა მიმართაც ერთგულად საქმიანობისათვის. ჩვენის მთავრობაც რთულ პირობებში აღმოჩნდა — ერთი მხრივ, შეინარჩუნებინა პოლიტიკური ძალაუფლება და მეორე მხრივ, რაც შეიძლება მათი გამოყვანა ჩვენს ქრონისული მდგომარეობიდან. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უიმედო ვიზიტებით დაღლილი ხელისუფალნი



იძულებულნი გახდნენ ერწმუნათ, რომ ლიტვის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი მსოფლიო აღიარება, სამწუხაროდ, გორბაჩოვისა და საბჭოთა მთავრობის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, მათ დაითანხმეს საბჭოთა კავშირის მთავრობა, მოლაპარაკება ეწარმოებინა ლიტვასთან და ქვეყნის პრემიერი 2 ოქტომბერს მოსკოვს გაფრინდა. ამ მოლაპარაკების შედეგს მთელი ლიტვა ელოდა. ბევრი რამ უნდა გადაწყვეტილყო. მოლაპარაკების დადებითად გადაწყვეტა განამტკიცებდა ლიტვის ხელისუფლების პოლიტიკურ პრესტიჟსაც და მისი შერყეული ავტორიტეტი კვლავ სასურველ სახეს მიიღებდა.

საერთო დაბნეულობამ და ამასთან, არსებითი ცვლილებების მოლოდინმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. საზოგადოებრიობის ყურადღება ძირითადად პრესისა და ტელევიზიისაკენ იყო მიმართული. ლიტვის მოსახლეობა მთლიანად პოლიტიკით, შექმნილი ეკონომიური მდგომარეობით დაინტერესდა და მის ცნობიერებაში ადგილი აღარ დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენ მოვლენათა აღსაქმელად. ხელოვნებისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად შენედა. მაყურებელი სპექტაკლებზე დასწრების ნაცვლად, ძირითადად დემონსტრაციებსა და მიტინგებში მონაწილეობდა. ამის გამო, ლიტვის ოითქმის ყველა თეატრმა საკრწობლად დაკარგა მაყურებელი. გამოსავალი ერთი იყო — თეატრებში შექმნილიყო იმგვარი სიტუაცია, რომელიც მაყურებელს ეროვნული სათოსით გამსჭვალულ მიტინგს მოაგონებდა. და, მომრავლდა წარმოდგენები, რომლებშიც ყოველივე ლიტვიურის ზოტბა-დიდება ისმოდა — უფრო ზეტიც, ზოგერთმა მეცნიერმა თუ ისტორიკოსმა ლიტვის ისტორიულ საზღვრებსა და ლიტვიური კულტურის გავლენის სფეროებში სიაქცია თითქმის მთელი ევროპა და აზიის ნაწილი, შავი ზღვის ნაპირებზე ტერიტორიების ჩათვლით. არქივებიდან ამოღებულ იქნა მივიწყებულ დრამატურგთა პიესები, ნაწარმოებების მხატვრულ ღირსებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა — მთავარი იყო მას ლიტველი ხალხის ცხოვრება აესახა. თითქმის გენიალურ დრამატურგებად გამოცხადდნენ ის მწერლები, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესიები განიცადეს ყოფილ ხელისუფალთაგან. შექსპირისა და სხვა მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებების სცენაზე დადგმა კოსმოპოლიტიზმად ცხადდებოდა და მათ დამდგმელებს უნდობლობით უყურებდნენ. ამიტომ, ბევრმა ალლოიანმა რეჟისორმა, რომლებიც წინათაც, დროის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას მმართველი წრეების და ყოფილი სისტემის წინაშე, სასწრაფოდ შეიცვალეს ეს პირვანდელი ორიენტირი და პირი იბრუნეს ეროვნული თვითგამორკვევისათვის ბრძოლის ფართოდ გაშლილი კომპანიისაკენ, ხოლო იმათ, რომელთაც ხელოვნება არ მიაჩნდათ პოლიტიკურ იდეათა პროპაგანდის წყაროდ და თავიანთი შემოქმედება იმ პრობლემების წარმოჩენას შეაღიეს, ადამიანებს მუდმივად რომ აღეღებოდათ, ასეთ სიტუაციაში გაჩუმება აჩვენეს.

ლიტვის თეატრის მოღვაწეთა კავშირის ახლადარჩეული თავმჯდომარე იოსას ბუდრაიტისი შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალს თეატრის ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებაში ხედავს. ამიტომ, თანამედროვე ეტაპზე კავშირის მთელი ყურადღება მიმართულია იმ ახალი იდეის რეალიზაციისაკენ, რომელიც მათ ქვეყნის პარლამენტის წინაშე დასახეს და რომლის დადებითად გადაჭრაც, ბატონ ბუდრაიტისის აზრით, ხელს შეუწყობს ლიტვის თეატრების ნორმალურ ფუნქციონირებას. ეს განსაკუთრებით კავშირის მიერ შედგენილი პროექტი თეატრის კანონის შესახებ, რომელიც უამრავ საკითხს ეხება. მათ შორის — თუ ვის გამგებლობაში უნდა იყოს თეატრი, რა სახით უნდა ფორმდებოდეს ხელშეკრულებანი შემოქმედებით ძალებთან და რაგვარი ფორმა უნდა მიეცეს კავშირის საქმიანობას იმ რეჟისორთა და მსახიობთა მიმართ, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ თეატრებს მიღმა აღმოჩნდებიან. ამისათვის კავშირს გადაწყვეტილი აქვს შექმნას ე. წ. ფონდი, რომელიც ფულად კომპენსაციას (რომ არა ვთქვათ — დახმარებას) გაუწევს უმუშევარ მსახიობებს. ამასთან, კავშირის თავმჯდომარეს გადაწყვეტილი აქვს გაამკაცროს კავშირში წევრად მიღების პირობენი, მინიმუმამდე შეამციროს წევრთა რაოდენობა. იგი ვალდებულებას იღებს კავშირის წევრთა წინაშე, სრულიად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებანი. დაიცვას მათი უფლებანი და მისცეს სამუშაოთი დაკმაყოფილების სრული გარანტია. ამ კანონის განხორციელება, რაც მინდობილი აქვთ იურისტებსა და თეატრალებს, ლიტვის თეატრალურ ცხოვრებაში ბევრი პრობლემის გადაწყვეტას ვახაზირობებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ წარმოადგენს თეატრის შემოქმედებითი კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთ საშუალებას. თეატრს ყოველ დროს, ყოველგვარი ორგანიზაციული სტრუქტურის პირობებში ესაჭიროება ერთი უმთავრესი რამ — ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირში წლების განმავლობაში გამეფებული თეატრალური ცხოვრების ორგანიზების დამახინჯებული წესი ვერ აწუხრუჭებდა ხელოვანთა შემოქმედებით ფანტაზიას. შედეგები იქმნება ყოველგვარ სიტუაციაში. იქმნებოდა ლიტვის თეატრშიც, მაშინ, როდესაც ლიტვა მხოლოდ ოცნებობდა თავისუფლებაზე. პარადოქსია, მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, აქტიური, დაუნდობელი ცენზურის ბატონობისას, სცენაზე უფრო ხშირად იბადებოდა მაღალმატერული წარმოდგენები, ვიდრე მაშინ, როდესაც თავისუფლება ოფიციალურადაა აღიარებული და ხელისუფალთა ცენზურა სრულყოფილად მოხსნილი, თუმც, არაფერია პარადოქსული, როგორც აღვნიშნეთ, ლიტველი ხალხის თავისუფლება ქალაქზე აღნიშნული. საქვეყნოდ გაცხადებული ფაქტია, და მისი სიტყვიერად აღიარება რაღაც ადვილია. ხოლო ადამიანის ფსიქიკაში წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ხელისუფლებისადმი მორჩილების, შემგუებლობის და მონური ბუნების სრულიად აღმოფხვრა შეუძლებელია რამდე-

ნიმე დღის, თვისა თუ წლის მანძილზეც კი, ეს რთული, მრავალ-  
წისაღმდეგობებით აღსავსე პროცესი ერის მთელი კულტურული  
აღრუბლების მოხილვებას მოითხოვს. ადამიანს ქალაქზე დაწე-  
რილი დეკლარაციით თავისუფლებას ვერ ჩაუწერავ. მასში პიროვ-  
სული თავისუფლების შეგრძობა თანდათან უნდა აღიზარდოს. ამ  
აღიზარდების როლში უპირველესი ადგილი კულტურასა და ხელოვ-  
ნებას უნდა დაეთმოს. მაგრამ დღევანდელი ლიტვის კულტურული  
ცხოვრება, სამწუხაროდ, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყნის  
ცხოვრებისათვის ეს გადამწყვეტი პრობლემა სრულიად გადაიჭრას.  
ძიებში მრავალია, ერთ-ერთი მათგანია ქვეყნის კულტურული ცხოვ-  
რებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხის მინიმუმამდე შემცირ-  
ება. თუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ლიტვის საბ-  
ჭოთა რესპუბლიკა კულტურასა და განათლებაზე ბიუჯეტის 3%-ს  
ხარჯავდა, დამოუკიდებლობის აღიარებისა და ეკონომიკური ბლოკა-  
დის შემდეგ ეს თანხა კიდევ 30%-ით შემცირდა. ამას ზედ დაერთო  
ისიც, რომ ქვეყნის მთავრობამ შემოქმედებითი კავშირების დაბე-  
გვრა გადაწყვიტა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა შედეგი  
მოაქვება ამას. მაგრამ ვაოცრებას იწვევს ახალი მთავრობის ამგვარი  
დამოკიდებულება კულტურისადმი, მით უფრო, რომ ქვეყნის პრე-  
ზიდენტი თავადაც კულტურის ყოფილი მუშაკია. ამგვარმა მიდგომამ  
აღაშფოთა ლიტვის ინტელიგენციის ერთი ნაწილი. პრესისა და ტე-  
ლევიზიის საშუალებით სისტემატურად გაისმის საყვედურები მთავ-  
რობის მისამართით. პაღის ცდილობს, დაარწმუნოს ქვეყნის ხელ-  
მძღვანელობა, რომ კულტურა არ არის მეორეხარისხოვანი, რომე-  
ლიც მოიცდის, ვიდრე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები  
გადაიჭრებოდეს. კულტურის უკანა პლანზე გადასაცვლება ქვეყანა-  
ში კიდევ უფრო მეტი უკულტურო ადამიანის მომრავლებას ხიშნავს.  
მოუხედავად ამისა, კულტურის საჭირობოტო საკითხები ხელისუფ-  
ლების ყურადღების მიღმა რჩება, რამაც ლიტვის ინტელიგენციის  
ნაწილს შეუქმნა გარკვეული აზრი იმის თაობაზე, რომ მთავრობის ამ-  
გვარი პოლიტიკა გამიზნულ ხასიათს ატარებს.

— დღეს კულტურისადმი პრიმიტიულად ბარბაროსული დამო-  
კიდებულებაა, რადგან, ჩემი აზრით, ჩვენ ახალი ტოტალიტარიზმი-  
საკენ მივუქანებით და, ამდენად, მთავრობის ამგვარი „კულტურუ-  
ლი“ პოლიტიკა ჩემთვის გასაგებია — რაც უფრო ნაკლებს მისცემ  
კულტურას, მით უფრო ნაკლებს მიიღებს ამ კულტურისაგან ხალხი.  
ე. ი. ისინი ნაკლებად კულტურულნი იქნებიან, უკულტურონიც კი.  
აი, ყოველივე ის, რისკენაც დღევანდელი ჩვენი მთავრობა მიილტ-  
ვის, — ამგვარად დაახასიათა კულტურისადმი მთავრობის დამოკი-  
დებულება ლიტვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის  
„რესპუბლიკის“ თანამშრომელმა, ლიტვის კონსერვატორიის პრო-  
ფესორმა კრიტიკოსმა ეგმონტას იანსონასმა, რომლის აზრსაც, რა-  
საკვირველია, მრავალი ლიტველი მოღვაწე არ იზიარებს, ხოლო ლი-  
ტვის თეატრის ის მოღვაწენი, რომელთაც ვილნიუსში ყოფნისას ვე-  
საუბრე, თითქმის ერთხმად იზიარებდნენ თეატრის მოღვაწეთა კავ-



შორის თავმჯდომარის იოზას ბუდრაიტისის მოსაზრებას, რომ „დღევანდელ პარლამენტართა შორის, რომლებიც კანონებს ქმნიან და ქვეყანას მართავენ, არ არიან წმინდანები და მათ გამოცდილება აკლიათ ამ საქმეში“. ქვეყნის კულტურული ცხოვრების გარკვეული უმოძრაობა არ შეიძლება მხოლოდ მთავრობის გულგრილობის შედეგი იყოს, კრიზისი ლიტვის კულტურის სფეროში გუშინ და დღეს არ წარმოქმნილა, იგი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო და დღესდღეობით კიდევ უფრო გამძაფრდა. გამძაფრდა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ბევრი ხელოვანისათვის დადგა ადრეულ ფასეულობათა გადაფასების მძიმე პერიოდი. პრობლემებმა, რომლებითაც ლიტველი ხელოვანი წლების მანძილზე საზრდოობდნენ, მათი გამოსახვის ფორმებმა, დღეს აქტუალობა დაკარგეს. თუ გასულ წლებში შემოქმედების ძირითად თემას ცხოვრების არსებული წესის შეცვლა წარმოადგენდა და ამ იდეით გამსჭვალული, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მყოფი ხელოვანი ცდილობდა შეფარვით, ალეგორიულად გადმოეცა თავისი სათქმელი, დღეს საქმე სხვაგვარადაა. ხელოვანს მიეცა საშუალება, დაუფარავად ილაპარაკოს იმაზე, რაზეც ადრე მხოლოდ მიანიშნებდა. ამგვარ სიტუაციაში ნათელი გახდა, რომ შემოქმედთა ნაწილის მოღვაწეობა დროით განპირობებული და, ამდენად, ლოკალიზებული იყო. დროის გამოცდას იმან გაუძლო მხოლოდ, ვინც სცადა იმ მარადიულ პრობლემებში გარკვევა, რომელიც ყოველ დროსა თუ სიტუაციაში თან სდევს ადამიანს. ამგვარი ხელოვანი კი ლიტვის კულტურის ისტორიაში არცთუ ბევრი მოიპოვება. თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას ძირითადად კვლავ ის ორი რეჟისორი განსაზღვრავს, რომელთაც უკვე ათ წელიწადზე მეტია ერთპიროვნულად დაიმკვიდრეს ლიდერთა პოზიცია. ნეაკროშუსისა და ვაიტკუსის ხელოვნება ლიტვის კულტურული ცხოვრების საზღვრებს სცილდება. რამდენადაც მათი შემოქმედების ძირითადი ლაიტთემა ყველა ქვეყნის ადამიანთა სატივარის თანახმიერია. ამ რეჟისორთა შემოქმედებითს ცხოვრებაში ვარდატეხა თუ „გარდაქმნა“ არ მომხდარა. რადგან ის თემები, რომელნიც მათ აღეუებათ, არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ მარად: ბოროტი და კეთილი, ლამაზი და მახინჯი — აი ის მარადიული კატეგორიები, რომლებიც თან სდევს წებისმიერი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს. ამდენად, ნეაკროშუსისა და ვაიტკუსისათვის ძნელად გასაგებია მოთხოვნები, ლიტვის საზოგადოებრიობა დღეს რომ უყენებს მათ. ამ ხელოვანთათვის მიუღებელია იმგვარი ლიტვური პიესის დადგმა, რომელიც მათ მრწამსს არ გამოხატავს. თავის მხრივ, ლიტველი საზოგადოებრიობისათვის გაუგებარია, რას ჩასციებიან ეს რეჟისორები ჩეხოვისა და შექსპირის დრამატურგიას, რატომ არ სურთ დადგან ლიტველ დრამატურგთა ლიტვურ ენაზე დაწერილი ის ნაწარმოებები, ლიტველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს, მის გვირუკულ მებრძოლ სულს რომ განადიდებენ. ამგვარი ლოკალიზაციის წინააღმდეგნი არიან არა მხოლოდ ნეაკროშუსი და



ვაიტკუსი, რომლებიც ასაკით განპირობებული სიღინჯის გამო არ ცხარდებიან და არ აწყობენ საპროტესტო აქციებს, არამედ ახალბედა ხელოვანთა დიდი ნაწილიც. მათთვის თვალხათელი გაჩდა, რომ შეუძლებელია ხელოვნება მხოლოდ ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით შემოისაზღვროს, რომ ამგვარი ლოკალიზაცია ლიტვის კულტურას დაღუპვას უქადის. მათაც მობეზრდათ ლიტველ დრამატურგთა ყალბი გამორული პათოსით გაქვნილი პიესების ხილვა და პროტესტი გამოუცხადეს ლიტვის კულტურაში ბოლო დროს გამეფებულ ცხოვრების წესს. სულიერი ყოფიერების დამახინჯებაში ძირითად დამხამავეებად ახალგაზრდა რეჟისორი გინტარეს ვარხანსი ანასიედროვე პოლიტიკოსებს მიიჩნევს, რომელთაც არც ცოდნა, არც უსერგია, და, რაც მთავარია, არც სურვილი გაახიზათ, ქეძმარიტად იღვწოდნენ ხალხის კეთილდღეობისათვის. მათი პოლიტიკური თამაშობანი ერთი მიზნისკენაა მიმართული: როგორმე პირველობა დაიმკვიდროს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე — აღამიახი მათთვის შეორეხარისხოვანია. გროტესკის ფორმით წარმოდგენილი პოლიტიკური ფარსის — „კომუნისტური ხოსტალები“ ძირითადი მიზანია დასციხოს არა მხოლოდ თხამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების საქმიანობას (სპექტაკლის პერსონაჟები არიან: ბლუმი, გორბაჩოვი, პრუხსკენე, ლანდსბერგისი, ბრაზაუსკასი, ტეტჩერი, ბრეჟნევი, სტალინი და ა. შ.), არამედ ზოგადად, ამგვარი პოლიტიკური ცხოვრებას წესსაც, როდესაც აღამიახთა ბუდი პოლიტიკური ლიდერთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. რეჟისორმა აღადგინა ძველი, ევროპული თოჯინების თეატრის ერთგვარი ნაირსახეობა, რომელიც თოჯინებისა და ნიღბების საშუალებით მაყურებელს დაუფარავად აჩვენებს კონსკრეტულ პიროვნებათა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს.

სპექტაკლის დეკორაცია რელიგიურ ტრიპტიხს მოგვაგონებს. მცირე ზომის ორკარიანი ყუთი შუაზეა გაყოფილი და სიმბოლურად სამოთხესა და ჯოჯოხეთს გამოხატავს, შუაში დედამიწაა. მოქმედება ორივე მხარეს მიმდინარეობს. ზემოთ კრემლის პეიზაჟია, ქვემოთ ვილნიუსის ცენტრალური მოედნისა. ამგვარ გარემოში თამაშდება მოქმედ გამირთა ცხოვრება. კომიკური ელემენტების სიუჟზე, თოჯინების უტრირებული ფორმები სპექტაკლს აცოცხლებს და მეტ დინამიკას ანიჭებს. წარმოდგენაში პოლიტიკურ მოღვაწეთა გარდა ეშმაკი და ანგელოზიც მოხაწილებენ, რომლებიც განუწყვეტლივ ცდილობენ ჩაერიონ მოქმედებაში და, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, არეგულირონ პერსონაჟთა საქციელი. ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ეს პატარა ყუთი ინგრევა და ყველა გმირი იღუპება, გარდა ლიტვის პრეზიდენტის და პრემიერისა, რომლებიც ანგელოზთა შემწეობით ცაში მიფრინავენ.

დამდგმელი რეჟისორი საჭიროდ მიიჩნევს პოლიტიკური სატირის ამგვარ ნაირსახეობას. მისი აზრით, შეუძლებელია ქვეყნის ლიდერთა ყოველი საქციელი შეუფასებელი დარჩეს საზოგადოების მიერ.

— ჩვენ ვესმარებით მთავრობას — თქვა გინტარეს ვარნასმა, — აქ ისინი თვალნათლივ ხედავენ, რამდენად სასაცილოდ ჩანს შორიდან მათი ქმედებანი, საშუალება ეძლევათ სარკეში ჩაიხედონ და გააანალიზონ საკუთარი საქმიანობა, ის, თუ სად რა შეცდომა დაშვებულა. ჩვენ არ ვვამოძრავებთ არაქანსალი ზრახვა — დავუპირისპირდეთ მთავრობას, ვამხილოთ იგი. პირიქით, ვესურს დავვნმაროთ მას, რათა დროულად მოეგოს გონს და დაინახოს, თუ რაში შეცდა. მოგვწონს ვიყოთ „ხულოგნები“. ეს არის ჩვენი წინააღმდეგობა იმ სერიოზულობისადმი, რომელიც თეატრსა თუ ცხოვრებაში გამეფდა. ეს არის პროტესტი იმ ახალი „ღმერთებისადმი“, რომლებიც დღეს წარმოიშვნენ. ეს არის ჯანსაღი ფარსი. (გინტარეს ვარნასი — რეჟისორი).

ალბათ, ამიტომაც, ეს ერთადერთი წარმოდგენაა, რომელსაც ბატონი ლანდსბერგისი დაესწრო მას შემდეგ, რაც იგი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

მიუხედავად ამგვარი პოლიტიკური კონსუნქტურისა, ამ სახის თეატრს, რასაკვირველია, აქვს არსებობის უფლება. უფრო მეტიც — იგი საჭიროა, აუცილებელი, თუმც, როგორც თავად რეჟისორი ფიქრობს, ეს არ შეიძლება იყოს ერთადერთი თეატრი, რომელმაც შეიძლება ლიტვის თეატრალურ ცხოვრებაში ამინდი შექმნას. გინტარეს ვარნასიც დაღალა იმ ულტრანაციონალურმა ტენდენციებმა, რომელიც ლიტვურ სცენაზე გაბატონდა. მისთვის და მისი თაობის ბევრი რეჟისორისათვის დღეს იგივე საკითხი დაისვა, რაც რამდენიმე ათეული წლის წინ მთელი სივრცე-სივრცით წარმოჩნდა უფროსი თაობის რეჟისორთა წინაშე — რაში მდგომარეობს ჩვენი ყოფის არსი. დღევანდელი ლიტვის თეატრებში მოღვაწე მრავალი რეჟისორი, რომელთაც მომავლის თეატრი უნდა შექმნან, ადამიანის ცხოვრების რთულ პრინციპებში გარკვევისას, ამ ყოფის სრულ აბსურდულობას წააწყდნენ. ამიტომ დღეს ისინი კვლავ აბსურდის თეატრს მიუბრუნდნენ. გინტარეს ვარნასის ღრმა რწმენით, დღეს ლიტველ მსაყურებელს თეატრისაგან თუკი რამ სჭირდება, არის ის, რომ თეატრმა დაინახოს არსებობის აბსურდულობა, და რომ ადამიანის ხვედრი, მხოლოდ მარადიული მოლოდინია. გინტარეს ვარნასი ვილნიუსის ახალგაზრდული თეატრის სცენაზე ბეკეტის „გოდოს მოლოდინის“ დადგმას აპირებს. მისი აზრით, ამ პიესაში დასმული მარადიული მოლოდინის პრობლემა მთლიანად მისადაგება დღევანდელ ლიტველთა ცხოვრების შინაარსს. დღეს ლიტველები ისევე ელიან, როგორც ელოდნენ გუშინ და დავლოდებიან კიდევ დიდხანს. გოდო კი არსაიდან არ მოვა — აღნიშნა გინტარესმა. როდესაც ვკითხე, თუ რა არის მისი ამგვარი პესიმიზმის მიზეზი, მიპასუხა:

— არსებობის აბსურდულობა, რადგან ადამიანმა უკვე გააცნობიერა, რომ გოდო არასოდეს მოვა, მაგრამ მაინც ელის, რაც უფრო დამტანჯველია, ვიდრე მოლოდინი მაშინ, როდესაც ელი და გვარა, რომ მოვა.

ახალბედა რეჟისორები კვლავ უბრუნდებიან და სცენის შექმნა-  
 ბით ეძიებენ პასუხს იმ მარადიულ კითხვებზე მილტინის, ნეაკრო-  
 შუს, ვაიტკუს, ტუმინას და პავედიმასს რომ აწუხებთ.

ამგვარი მდგომარეობაა ლიტვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში  
 1990 წლის მარტის შემდეგ. ახლა კი, უფრო კონკრეტულად იმის  
 თაობაზე, თუ როგორ ცხოვრობს დღეს ლიტვის თეატრი.

ლიტვის პროფესიული თეატრი ახალგაზრდაა. წელს მას 70  
 წელი უსრულდება, თუმცა ქვეყნის თეატრალურ კულტურას მრავალ-  
 საუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ჯერ კიდევ ხუთი საუკუნის  
 წინ — იეზუიტებისა და მესამე უნივერსიტეტის დროს ჩაისახა. ამ-  
 დენად, მტკიცება, რომ ლიტვური თეატრი ახლა იბადება, საფუ-  
 ძველსაა მოკლებული. მაგრამ 70 წლის მანძილზე ბევრი რამ მოხდა  
 ლიტვის თეატრის ცხოვრებაში. ლიტვის თეატრის შემოქმედებით  
 მწვერვალზე ყოფნის ორი ეტაპია საეულისხმო — ეს არის 30—36  
 წლები, როდესაც ლიტვაში სამუშაოდ ჩამოდიან მიხეილ ჩეხოვი და  
 მსახიობი ყილინსკი. ისინი დგამდნენ, თამაშობდნენ. ზრდიდნენ  
 თეატრალურ თაობებს. მაგრამ ეს ორი მოღვაწე ბოლშევიკური რუ-  
 სეთის წარმომადგენელი იყო და ამ გარემოება განაპირობა ძირითა-  
 დად მათ მიერ ლიტვის იძულებითი დატოვება. 1935 წლიდან ლი-  
 ტვის თეატრში მოღვაწეობს მკვეთრი თეატრალური ხელწერის  
 მქონე ერთადერთი რეჟისორი რიმალდას იტნიავიჩუსი. შემდგომ ლი-  
 ტვის ცხოვრებაში დგება გერმანიის ოკუპაციის პერიოდი, რასაც  
 მოჰყვა სტალინის კულტურული პოლიტიკის პროგრამა. შემდეგ —  
 ჩრუშჩოვის „დათბობის“ პერიოდი. ამ დროისათვის ლიტვის თეატრ-  
 ში შემოქმედებითი აღმავლობა იწყება: 1957 წელს კაუნასში თავის  
 საუკეთესო სპექტაკლებს დგამს ჰენრიხ სავანტიავიჩუსი. ახალი შე-  
 მოქმედებითი ეტაპი იწყება პანევეჯისის იოზას მილტინისის თეატრ-  
 ში, ვილნიუსის აკადემიური დრამატული თეატრის მასურებელს  
 თავისი სპექტაკლებით აღაფრთოვანებს რიმალდას იტნიავიჩუსი.  
 1966 წლიდან შემოქმედებითს ასპარეზზე გამოდის რეჟისორი ენას  
 იუროშასა. კონსერვატორიაში იქმნება მსახიობის ოსტატობის კათე-  
 დრა, იხსნება ვილნიუსის ახალგაზრდული თეატრი, რეჟისორთა გვე-  
 რდით მოღვაწეობას იწყებს ლიტველ მსახიობთა ახალი თაობა, რო-  
 მელმაც 1962 წელს დაამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტი  
 რეჟისორ ორლოვის ხელმძღვანელობით. დრამატურგიაში მოღვაწეო-  
 ბას იწყებს მარცენკიავიჩუსი, პიესებს წერს იოზას გრუშასი, სცენ-  
 ნოგრაფიაში აქტიურად მუშაობენ ელინას გალინოვსკაია და ზნა-  
 ბინსკი. კომპოზიტორები უკვე მხოლოდ მუსიკალური გამფორმებ-  
 ლები კი აღარ არიან, არამედ სპექტაკლის სრულფუნქციონირებელი  
 ავტორებიც. 70-იანი წლების დასაწყისიდან კი ამგვარი შემოქმედ-  
 ებითი აფეთქება თანდათან ქრება. გაუთავებელი ინტრიგები მრავალ  
 შემოქმედს აიძულებს თეატრიდან წავიდეს: ზოგიერთი მათგანი კი,  
 მაგალითად მილტინისი „სიკვდილის ცეკვის“ შემდეგ (ეს რეჟისო-  
 რის ბოლო, ბრწყინვალე სპექტაკლია), ასაკისა და შემოქმედებითი  
 პროგრამის ამოწურვის გამო, დამსახურებულ პენსიაზე გადის.

70-იანი წლების დასაწყისიდან ლიტვის თეატრში მოდიან ნეაკროშუსი და ვაიტკუსი. და მას შემდეგ, თითქმის ოცი წელიწადია, რაც მხოლოდ ამ ორი რეჟისორის სახელი გაისმის. მათ გვერდით თითქოს გამოჩნდნენ სხვებიც, რომელთა შემოქმედებაზე ჯერჯერობით ძნელია საბოლოო დასკვნების გაკეთება. ესენი არიან ტუმანისი და პადევიმასი. ლიტვის თეატრალური საზოგადოებრიობა მოელის რ. ტუმანისის „ალუბლის ბაღს“ (ვილნიუსის ახალგაზრდული თეატრი), კაუნასის თეატრში კი პადევიმასის სპექტაკლებს. მისი საუკეთესო დადგმებია „კრედიტორები“ და „შეშლილის წერილები“.

ლიტვის თეატრალური ცხოვრების ძირითადი ორიენტაცია მაინც ორი რეჟისორის — ნეაკროშუსისა და ვაიტკუსის შემოქმედებას ეფუძნება. სასურველია არსებობდეს საკუთრივ მათი თეატრები, მაგრამ ვილნიუსის ახალგაზრდულ თეატრში, სადაც 70-მდე მსახიობია, სპექტაკლებს დგამს ნეაკროშუსი, აკადემიურ თეატრში ვაიტკუსი მოღვაწეობს. კაუნასში ვაიტკუსის თეატრთან წასვლის შემდეგ დარჩნენ რეჟისორები, რომელთა შემოქმედება შორს დგას მაღალი ხელოვნებისაგან. სამწუხაროდ, ძირითადად სწორედ ისინი ქმნიან თეატრალურ ამინდს არა მარტო კაუნასში, არამედ საზოგადოდ. ლიტვის თეატრალურ ცხოვრებაში. დღესდღეობით ლიტვის თეატრებში რეჟისორების საოცარი დეფიციტი შეინიშნება. მრავლადაა სპექტაკლების ცალკეული დამდგმელები, მაგრამ საკუთარი თეატრის შემქმნელი რეჟისორები დღეს ლიტვის თეატრალურ სინამდვილეში არ მოიპოვებიან.

— ჩვენ უკვე აღარა გვყავს რეჟისორები, გვყავს სპექტაკლის დამდგმელები. იგივე შეიძლება ითქვას მსახიობებზეც. რაც უფრო ნიჭიერია მსახიობი. მით უფრო გაურბის ახალ როლს — ხელფასს ხომ მაინც აიღებს. ახლა ამბობენ, ხელშეკრულების სისტემაზე უნდა გადავიდეთო. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი სისტემა უფარვისი იყო. შეცვალეს, მაგრამ ისევ სისტემით. ყველა თეატრს ერთი სისტემა აქვს — არანაირი ნაირსახეობა. რატომ უნდა დადოს ხელშეკრულება მსახიობებთან მაინცდამაინც თეატრის სამხეტრო ხელმძღვანელმა? რატომ არ შეიძლება, რომ იგივე ხელშეკრულება აქციონერმა საზოგადოებებმა ან მეპაიეებმა გააფორმონ, როგორც ეს იყო ძველად, სამხატვრო თეატრში? იქნებ ნეაკროშუსი და ვაიტკუსი არ გამოდგებიან რომელიმე თეატრში მუდმივ რეჟისორებად. დადამენ ერთ ან ორ სპექტაკლს და შემდეგ სხვა თეატრი დაუდებს მათ ხელშეკრულებას. სხვაგან ხელშეკრულების გაფორმების უფლება უნდა ჰქონდეს დირექტორს, ან კიდევ, ქალაქი დაუდებს ხელშეკრულებას რეჟისორებსა თუ მსახიობებს იმის მიხედვით, თუ რა სახის თეატრი, რა ხელწერის რეჟისორი სჭირდება ამა თუ იმ ქალაქს და ა. შ. მრავალგვარი ვარიანტი უნდა არსებობდეს. არ შეიძლება ერთი სისტემის ყველასათვის თავს მოხვევა, რადგან კვლავ ვუბრუნდებით იმ დიქტატორულ პრინციპს, რომელიც მანამდე არსებობდა. ყველა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის ერთპიროვნ-

ნული ძალაუფლება ხელს ვერ შეუწყობს თეატრის წინსვლას, რადგან ხშირად ეს ხელმძღვანელები უვარგისნი არიან, როგორც შემოქმედნი. ამასთან, ხელშეკრულების სისტემამ შესაძლოა გააძარცოს უზარმაზარ რუსეთში, სადაც მსახიობებს არაფრად უღირთ, მხარზე ჩანთა მოიგდონ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლონ. ეს მათი ამპლუა — მომთაბარეობა. ლიტველ მსახიობთა შემოქმედებითი ცხოვრება კი სხვაგვარია — აკადემიური თეატრიდან დათხოვნილი ვერ მოხვდება პერიფერიულ თეატრებში. მათ იქ არ მიიღებენ. ჩვენ მხოლოდ 7 დრამატული თეატრი გვაქვს. ამდენად, მსახიობებს საკმაოდ შეზღუდული აქვთ სამოქმედო ასპარეზი. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ამა თუ იმ ქალაქის მსახიობებისათვის მთელი ოჯახით სხვაგან გადაბარგება შეუძლებელია. ე. ი. გვინდა თუ არა, ამგვარი სისტემის მიხედვით ლიტვაში უმუშევარ მსახიობთა მთელი არმია შეიქმნება. ჩვენ ვამიზნულად მივდივართ ამისკენ, რადგან გეგმაში გვქონდა ყოველ წელიწადს კონსერვატორიას აუცილებლად 15 მსახიობი გამოეშვა. მსახიობის აღზრდაში იშვიათად მონაწილეობენ მოქმედი რეჟისორები. ნეაკროშუსი ჯგუფს არ იყვანს, ვაიტკუსი როგორც იქნა, დავითანხმეთ. ვნახოთ, რა გამოვა.


— ყოველ წელს 15 მსახიობი — საჭირონი არიან ისინი თუ არა? ეს არავის აღელვებს. ჩვენთან ყოველი თეატრისათვის ნებისმიერი მსახიობი გამოიღებოდა, ამიტომ, მაგალითად, არსებობს პანეგეიქის თეატრი, მაგრამ არ არის მილტინისის თეატრი. დღეს რომ მაყურებელს ლიტვის ყველა თეატრის წარმოდგენები უჩვენო და არ უთხრა, რომელი თეატრის სპექტაკლია, დამერწმუნეთ, ნამდვილად ვერ განსხვავებს მათ ერთმანეთისაგან — ამგვარად დაახასიათა ლიტვის თეატრის დღევანდელი მდგომარეობა ბატონმა ეგმონტას იანსონსმა.

საზოგადოებრივი ცხოვრების იმ რადიკალურმა ცვლილებებმა, რომელიც წლევუს, მარტის თვიდან დაიწყო, რასაკვირველია. შეცვალა ლიტველი ხალხის ფსიქიკაც. მასში მძაფრი გარდატეხა მოხდა. პირველ დღეებში, ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, ყველა ამ ტალღაზე აეწყო. ამაღლებული განწყობილების მიტინგთა ეიფორიით გაიყვინთა მოსახლეობა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. ხალხი თანდათან დამშვიდდა, მით უფრო, რომ ლიტველები ბუნებით მშვიდნი და აულელებელი არიან. ისინი ბევრ რამეში გაერკვნენ და დღეს უკვე აღარ აკმაყოფილებთ ის, რაც გუშინ იყო. საღხმა ამ ახალი რევოლუციიდან უფრო მეტი გაიგო, ვიდრე ამას რევოლუციონერები მოელოდნენ. დღეს მაყურებელი სხვას მოითხოვს თეატრისაგან, ვიდრე თუნდაც 5 წლის წინათ. იგი დღეს სხვა მუხტითაა დამუხტული, სხვა ენერჯის მატარებელია. ამიტომ, მისთვის უინტერესოა იმ თეატრის სპექტაკლებზე დასწრება, რომელიც ცდილობს 5—6 წლის წინანდელ პრობლემებს აქტუალობა შესძინოს და ამით მაყურებლის ყურადღება დაიმსახუროს, რასაც შედეგად მოჰყვა მაყურებელთა დარბაზების დაცარიელება და სპექ-





გ. იანსონის



ნ. ბუღრაიჭის

ტაკლების სისტემატურად მოხსნა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ლიტველი მოსახლეობა გაურბის კულტურას. კულტურისა და ხელოვანისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება შეინიშნება კულტურის მოღვაწეებშიც. დღეს მათ ყველაფერი აინტერესებთ თეატრების გარდა. აინტერესებთ, როგორ შექმნან კომერციულ-კოოპერატიული თეატრები. ესეც საჭიროა, ალბათ, მაგრამ რას-აქ-ლევინ თეატრები მაყურებელს, ნეაკროშუსის გარდა, არავის აინტერესებს. ნეაკროშუსს კი არ შეუძლია ყველგან და ყველანაირი სპექტაკლის დადგმა. მისთვის აუცილებელია სპექტაკლის ყველა მონაწილე ერთი აზრით, ერთი მიზნით იყოს გამსჭვალული, რომ სპექტაკლ „მეფე ლირის“ მონაწილენი ერთი ბარომეტრით გაერთიანდნენ. ამის მიღწევა ძნელია. ამიტომ, ნეაკროშუსი იშვიათად ახარებს ლიტველ მაყურებელს ახალი სპექტაკლებით. მისთვის არაფერი შეუცვლია იმ გარემოებას, რომ დღეს ლიტვაში რეჟისორებს აკვთ უფლება, ყოველგვარი ცენზურული შეზღუდვის გარეშე, თავისუფლად დადგან სპექტაკლები. ნეაკროშუსი სპექტაკლს დგამს მაშინ, როდესაც შინაგანად გრძნობს ამის აუცილებლობას. სხვები კი, მიიღეს რა თავისუფლება, დგამენ ყველაფერს და ყველგან. თუმცა არც ერთ მათგანს არ სურს საბავშვო სპექტაკლების დადგმა. საბავშვო სპექტაკლები ლიტვის თეატრში დიდხანია აღარ იდგმება. ბავშვები გადაეჩვივნენ თეატრს და არაფერს ფიქრობს იმაზე, რომ ამ გარემოებამ შეიძლება დამლუპველად იმოქმედოს ლიტვის მომავალ თეატრალურ ცხოვრებაზე. თეატრს გადაჩვეული დღევანდელი ბავშვი, დიდი რომ გახდება, რა თქმა უნდა, აღარ წავა თეატრში. და კვლავ ასტეხენ განგაშს ლიტველი თეატრის მოღვაწენი — როგორ უზიდავთ მაყურებელი.

რაში ხედავენ ლიტველი თეატრის მოღვაწენი კრიზისული მდგონარობიდან გამოსავალს?



— დღეს აკრძალულ ნაყოფს კი არ უნდა გამოვედევნოთ, არამედ მივუბრუნდეთ მარადიულ თემებს — სიყვარულის, სიცოცხლის, სიკვდილის პრობლემებს, და, როდესაც მაყურებელიც დაიღვრება ამ განსხვავებული თეატრების კალიბრის კლასიკური მიზნობრუნდება მარადიულ პრობლემებს. ძლიერ გავერთოთ ფორმით. მაყურებელთან საუბარს ძირითადად რეჟისორი აწარმოებდა და სრულებით გადაგვავიწყდა ნებისმიერი თეატრის უმთავრესი ძალა — მსახიობი. მხოლოდ მსახიობის პროფესიის აღზევებით, მისი პრესტიჟის ამაღლებითაა შესაძლებელი ლიტერული თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარება — ამბობს იუზას ბუდარაიტისი, მსახიობი, ლიტვის თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

— შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ყველამ გავაცნობიეროთ — საზოგადოებრივ ცხოვრებაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კულტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანაირი გარდაქმნის — ბოლშევიკურისა თუ ლიტურის — მცდელობანი ამო იქნება. აღარავინ გვეყოლება გარდასაქმნელი. ყველანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური რეფორმა კრახს განიცდის, რადგან დღეს ამ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ რეფორმებს უკულტურო პიროვნებანი არეგულირებენ. როდესაც ჩვენს პარლამენტს ვუყურებ. ჩხვდები, რომ ისინი ყოფილი კულტურისა და ცივილიზაციის წარმომადგენელნი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ლამაზ და მოდურ საერთაშორისო სიტყვებს ხმარობენ. სამწუხაროდ, ამ სიტყვების მიღმა მათი ცოდნა არ ჩანს. მათ ისიც კი არ იციან, რომ ბერძნული დემოკრატია მონათმფლობელურ საზოგადოებაში იყო, რომ დემოკრატია არსებობდა თავისუფალი მოქალაქეებისა და არა მონებისათვის, რომ ხელოვნებას ძველ საბერძნეთში თავისუფალი ადამიანები ქმნიდნენ და არა მონები. მონებს მხოლოდ აჯანყების ორგანიზება შეუძლიათ და როდესაც მონები ჯანყდებიან, ნადგურდება კიდევ მატერიალური კულტურის ნარჩენები. დეკრეტებით გაანადგურეს რუსული კულტურის, ლენინის დეკრეტების მიხედვით. სწორედ იგი იყო პირველი ანტიკულტურული ბარბაროსი მთელს საბჭოთა კავშირში. შემდეგ დავიწყეთ დაფერფლილი კულტურის აღდგენა. მაგრამ შეუძლებელია ფერფლისაგან რაიმე აღადგინო. ის მაინც გადავარჩინოთ, რაც დავერჩია. კარგია, ტაძრები რომ მორწმუნეებს დაუბრუნეს, ისინი მოუვლიან. აღადგენენ და გაალამაზებენ ეკლესიებს.

მაგრამ... ვის დაუბრუნებენ თეატრებს? ბარბაროსებს?! — დასძენს პროფესორი ეგმონტას იანსონასი — თეატრმცოდნე.

ქართული თეატრის მოღვაწეები თანაგრძნობას უცხადებენ ლიტველ ხალხს, ლიტვის თეატრალურ მოღვაწეებს ა. წ. 12-13 იანვარს დატრიალებული ტრაგედიის გამო.

## ისტორიულ გზაჯვარედინზე

შეთხველი რომ თავიდანვე იყოს საქმის კურსში, წინამდებარე პუბლიკაციის ხასიო, თუ რა ხასიათისა და მნიშვნელობის დოკუმენტს უნდა გვეცნოს, სამომენტზე ვამახვილებ მის ყურადღებას: ერთი უკავშირდება ავტორს, როგორც პიროვნებას და მოვლენათა თვითმხილველს, მეორე — კრიზისულ დროს, როდესაც გლობალური პოლიტიკური ქაოსი ზღლის ცნობიერების ქაოსს იწვევს, მესამე — ამ ფონზე მოუარფატე ქართლის ბედს.

სანთე მომენტი ერთმანეთზეა გადაჭებული და დღეს იკითხება, როგორც სამომავლოდ გასათვალისწინებელი, ქართული პოლიტიკური ცნობიერების მარცხის გაკვეთილი.

1926 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დემიტრი შალიკაშვილს წესრიგში მოუყვანია თურქეთ-საქართველოს 1920 წლის 27 დეკემბერსა და 1921 წლის 20 მარტს შორის მომდევნო მოლაპარაკების დროს შესრულებული თავისი დღიურები და ასლი გადაუცია აშშ-ში ქართული მასალების არქივარის გვი კობახიძისთვის. აშშ-ში უოფნის დროს, ბატონმა გვი კობახიძემ დღიურები მე გადმომცა.

დ. შალიკაშვილის დღიურების უდაზე გვი კობახიძეს 1945 წელსვე გაუკეთებია წარწერა: „რუსულ ენაზე. წყარო ფრიალ სანდო. ავტორი უადრესად კეთილსინდისიერა, გულწრფელი, მიუდგომელი. ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ იყო დიდი პატრიოტი მამულიშვილი. საქართველოზე შეფიცული. გ. კ.“

მ.შ. ასე, დღიურების ავტორია ანკორში ქართული მისიის ორდინანსის

ოფიცერი, დემიტრი შალიკაშვილი. მისი ბიოგრაფიის შესახებ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით, რომ მან გააზიარა ქართველი იუნკრების ხვედრი. 1921 წელს საქართველოდან გადახვეწილ მაღალი ჩინის ოფიცრებთან ერთად, მან განათლება პოლონეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში მიიღო. მაიორის ჩინით პოლონეთის არმიაში მსახურობდა. იყო ქართული ემიგრაციის სამხედრო კონსულტანტი. ორის შემდეგ ამერაიკის შეერთებულ შტატებში, ჯორჯიის შტატში გადასახლდა. დარჩა ს-ში შვილი: ქალიშვილი და ორი ვაჟი. ორივენი განმწესდნენ აშშ-ს არმიის რიგებში. იბრძოდნენ ვეტნამში, უფროსი, ოთარი, პოლკოვნიკის ჩინით გავიდა თაჯარ გში, უმცროსი, მალბაზი, ამჟამადაც ნატოს ჯარებს გენერალია. მისი რევიდენცია ბელგაშაა. როგორც გვი გაბლიანმა, პეტრე ლედელიძემ, გვი კობახიძემ და მერაბ კვატაშვილმა მითხრეს, მიუხედავად ქართული სამყაროუნ ბიოგრაფიული მოწყვეტისა, ორივენი მამის ღირსეული შემყვადრენები და ქართული ცნობიერების მატარებელნი არიან.

1921 წელს, როგორც ორდინანსის ოფიცერი, დ. შალიკაშვილი აქარაში მოსალაპარაკებლად ჩახსული ქართული მისიის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

სრულიად ალკაზარულ კაცზე, ბუნებრივია, წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია, როგორც თავისი ერის ხვედრს, ისე გლობალურ პოლიტიკურ ქაოსს და საქარო მთუჩნევია ნანახისა და განცდილის დღიურებში გადატანა.

დ. შალიკაშვილის „დღიურებს“ ქარ-



პოლიტიკური ცნობიერების გარკვევის საქმეში.

ანკარაში ქართული დიპლომატიური მისიის წარუშატებლობა ჩემში, ევროპაში სულქან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის მარცხის ასოციაციას იწვევს. სულქან-საბა ისეთ დროსა და სიტუაციაში სთხოვდა ევროპას დახმარებასა და კოალიციას ირანის წინააღმდეგ, როდესაც საფრანგეთში ფრონტის, გერმანიაში 30-იანი წლების ომის, ესპანეთში კრიზისის, ინგლისში რევოლუციის და საერთოდ, რეფორმაციისა და კონტრ-რეფორმაციის საშინელებათა გადამტანი ევროპა სულს ღაფავდა და აზიაში ეძებდა საყრდენს, დასავლეთში თურქეთის წინსვლის შესაჩერებლად. ასეთი ძალა მათთვის სწორედ ირანი იყო და სრულიად აშკარაა, რომ ირანის გაძლიერებაზე მზარუნველი ევროპა ვერაფრით მიიტანდა გულთან ირანისგან შევიწროებული საქართველოს გასაქირს, მეტიც, მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტში, საქართველოს პლაცდარმი ჰაერით იყო საქირო თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებისთვის.

ამ პერიოდის ქართული დიპლომატიური ცნობიერება მოწყვეტილი აღმოჩნდა გლობალური პოლიტიკური სიტუაციების ამოცანებისგან, ამდენად, მისი მარცხი ლოგიკურად გამოიყურება.

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამ გვარი დაუსვა დასავლეთთან საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ილუზიას და საქართველო ისევ აზიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბარბაროსულ წიაღში მოაქცია.

ამრიგად, რუსეთის პოსტრევოლუციური დროის მოკლე მანძილზე, თავისუფლებების იდეით მონუსხულმა ქართველმა ერმა იარა პოლიტიკური მორალისა და იდეოლოგიური დოქტრინების თანუხვედრელობათა გამოგნებულ კასკადებში, სადაც ოცნება სინამდვილეს, სიტყვა — საქმეს, იდეა — რეალობას, ფაქტი —

მოჩვენებითობას, სურვილს — რეალობად, ლებლობებს ემიჯნებოდა.

გარეშეთა და შინაურთა ოვალში დამნეულობას იწვევდა თვით საქართველოს პოლიტიკური იმიჯი, შანაგანი კონსტიტუცია, სახე საქართველოსი, რომლის ხელისუფლების სიმბოლიკაშიც რევოლუციის წითელი დროსა ეროვნულ დროსაზე მალა იდგა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თვით ქართველობაში, არჩევანი „პარტიასა“ და პარტიას შორის, ჭერ კიდევ არ იყო ერთნიშნად გადაწყვეტილი, გაცნობიერებული, ნაპასუხევი...

საერთაშორისო პოლიტიკაში, ნოე უორდანიას პირით გაცხადებული, საქართველოს პოზიცია — დასავლეთის იმპერიალიზმი გვირჩევნია აღმოსავლეთის ბარბაროსებს — რეალობაში „მდგომარეობასთან სრულიად შეუფერებელი დიპლომატიური პოზიციის სიყალბე აღმოჩნდა“ (წ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა, პარიზი, 1924, გვ. 228). წ. ავალიშვილისასვე შენიშვნით ამ ფაქტის დემონსტრაცია იყო საქართველოს სამი მინისტრის (ე. გეგეჭკორი, გოგორიშვილი, კანდელაკი), დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის კ. ჩხეიძის და საგანგებო რწმუნებულის — ი. წერეთლის ერთდროული ვოიაჟი დასავლეთში, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებდა, რომ საქართველოს მესაქეთათვის პოლიტიკური ილუზიები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე რეალობა.

**დ. შალიკაშვილის დღიურები თანამედროვეობის კონსტექსტში.**

დ. შალიკაშვილის დღიურები არ არის ერთნიშნა, ერთგანზომილებიანი, ერთსახოვანი დოკუმენტი. ხედვის კუთხის ყოველი გამოცემა იწვევს ამ დღიურების ყოველი ახალი წახნაგის წარმოჩენას. თითოეული მათგანის აღნუსხვა და ანალიზი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგიერთზე, როგორც ჭკუის სასწავლ ის-

ტორიულ ეკვივოლუტე, ახლავე გემართუბს  
უტრადღების მობილიზება, რად ღირს  
თუნდაც ამ დღიურების ფსიქოლოგიური  
ნიუანსი, რომელშიც ნათლად გამოხსვი-  
ვის ერის მონაწილეობა სტრატეგიულად  
და ტაქტიკურად წაგებულ დიპლომატიურ  
თამაშში, რომლის მონაწილე ერთი მხა-  
რე ისტორიის არაცნობიერი აქტიორის  
როლში გამოდის. ეს არის სიტუაცია,  
როდესაც ისტორიის სუბიექტის მიმართ  
ტარდება დიპლომატიური ფანდები, რო-  
მელთა ფორმაა ფლიღობა, შინაარსი —  
ვერაგობა, „საერთო მტრის“ წინააღმდეგ  
ერთობლივი ბრძოლის აღთქმა — ბრძო-  
ლაში ამ ერის განცალკევების ფანდი,  
ერთგულების ფიცა — ღალატი.

რა სიტუაციაზეა ლაპარაკი?

სიტუაციაზე, როდესაც საქართველოს  
უკვე დადებული აქვს რუსეთთან 1920  
წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როდე-  
საც 1921 წლის თებერვალ-მარტში ქარ-  
თული დიპლომატიური მისია მოლაპარა-  
კებას აწარმოებს თურქეთთან, ხოლო სა-  
ქართველოს ზურგს უკან, შოსკოვში, პა-  
რალელურად მიმდინარეობს რუსეთ-  
თურქეთის მოლაპარაკება.

საქართველოს წინადადება — მონა-  
წილეობა მიიღო ამ მოლაპარაკებაში —  
მეგობრობის აღმთქმელმა რუსეთმა უპა-  
სუსხოდ დატოვა. სამწუხაროდ, ქართულ  
დიპლომატიურ მისიას თურქეთისა და  
რუსეთის ამ უცხვისათვის სათანადო შე-  
ფასება არ მიუცია. ქართველებმა ისე  
დაიწყეს გახსნილი ლაპარაკი თურქეთ-  
თან, რომ რუსეთ-თურქეთის ერთობლი-  
ვი ინტერესები უგულვებელყოფილი აღ-  
მოჩნდა. არადა, რუსეთის მხრიდან სა-  
ქართველოს ოკუპაცია იმავე სცენარით  
წარიმართა, რომლის მიხედვითაც ოკუ-  
პირებულა აღმოჩნდა სომხეთი. კერძოდ,  
საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მე-11  
არმიის მოქმედება კოორდინირებული  
აღმოჩნდა თურქეთის არმიის მოქმედე-  
ბასთან არდაგანისა და ართვინის ოლქში.  
სამწუხაროდ, დ. შალიკაშვილის დღი-

ურებს აკლია 16, 17, 18, 19, 20, 21, 22,  
23 თებერვლის დღეების ჩანაწერები.

23 თებერვალს კი, ქართული მისიის  
ხელმძღვანელმა, სიმონ მდივანმა ასეთი  
პროტესტით მიმართა ანგორის მთავრო-  
ბას: „თქვენ მიერ განზრახული მოქმედე-  
ბა არდაგანისა და ართვინის ოლქებში შე-  
სვლისა, ჩვენთან შეუთანხმებლად, არის  
განმეორება იმ დიდი ისტორიული შეც-  
დომისა, რომლითაც ძველმა ოსმალეთმა  
განუწყვეტელი თავდასხმით აიძულა ძვე-  
ლი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის  
კარზე მისი დაუძინებელი და უსასტიკე-  
სი მტერი — რუსეთი, და ამით თავისი  
თავიკ დაესაჭა. იგივე შეორდება დღესაც:  
როცა, ერთი მხრივ, ახალგაზრდა ოსმა-  
ლეთი ჩამბულია საშინელ ბრძოლაში თა-  
ვისი დამოუკიდებლობის დასაცავად, ხო-  
ლო, მეორე მხრივ, ახალი დემოკრატიუ-  
ლი საქართველო უსასტიკეს ბრძოლას  
აწარმოებს თავისი თავისუფლებისა და  
არსებობის შესანარჩუნებლად, სწორედ  
ამ დროს, ნაციონალურმა დიდმა კრებამ  
გადაწყვიტა თავდასხმა საქართველოზე.  
ამიტომ, სასტიკსა და ენერგიულ პრო-  
ტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წი-  
ნააღმდეგ და თან ნებას ვაძლევ ჩემს  
თავს, განაცხადო, რომ საქართველოს  
ტერიტორიაზე ძალით შემოჭრის შემდეგ,  
კავკასიის შეხახებ რაიმე საკითხის გა-  
დაქრა, საქართველოს დაუკითხავად, შე-  
უძღვებელი იქნება“.

რა შეიძლება ითქვას ქართული დიპ-  
ლომატიური მისიის ამ განცხადების შე-  
სახებ?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ თავი-  
სი შინაარსით, ეს განცხადება ეყრდნობა  
თიქმის ერთი საუკუნის წინ, ქართულ  
პოლიტიკურ ცნობიერებაში ჩამოყალიბე-  
ბულ გეოპოლიტიკურ კონცეფციას, რომ-  
ლის პრაქტიკულად ზორცშესმახაც ფიქ-  
როდნენ 1835 წლის შეთქმულების მო-  
ნაწილეები. მკვრამ 1921 წელს, როდე-  
საც ყოფილი მოსისხდე მტრების ინტე-  
რესები სისხლბორცეულად დაუკავშირდა

ერთმანეთს, საქართველოს გეოპოლიტიკურ არგუმენტს აბსოლუტურად გამოკლავდა აქვს საფუძველი.

1921 წლის 24 თებერვლს, როდესაც მე-11 არმიის ცხელ აღდებული აქვს თბილისი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროს სახელით, კ. საბახტარაშვილი ქართულ მისიას თურქეთში აწვდის ინსტრუქციას, რომ ს. მდივანმა „კვლავ ინახულოს ქემალ-ფაშა და მოაგონოს მას, რომ საქართველოს დაქვეითებული თურქეთს უაზროდებდა საშისრობება“ (შალიკაშვილის 24 თებერვლის დღიური).

საქმე ის კი არ არის, რომ ასეთი განცხადება უკვე სამი დღის წინ გააკეთა ს. მდივანმა, არამედ ის, რომ ქართველთა არგუმენტაცია არ პასუხობდა ახალი პოლიტიკური სიტუაციის მოთხოვნებს.

ასეთი ვითარება მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ, როგორც დ. შალიკაშვილის 24 თებერვლის დღიურიდან ჩანს ამ მწკვირვლი დიპლომატიური ფანჯრების მიზანი იყო ქართველთა ენერგიული ამოქმედება, რათა ინგლისს ბათუმთან გაეყვანა თავისი სამხედრო ნაწილები, ეს კი უცილობლად საქართველოს აღსასრულსათვის იყო გამოიწველი. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დაიდო. საქართველოში ჭერ კოლეჯ არ იყო გაცნობიერებული, რომ რუსეთ-საქართველოს ეს ხელშეკრულება ჩაფიქრებული დიპლომატიური ფანჯერი იყო. პირველივე შეს. საბჭოებისთანავე, საქართველოს გადასაცემად.

როგორც დრომ გვიჩვენა, ეს ხელშეკრულება რუსეთის ორ მთავარ ამოკანას ემსახურებოდა. ჭერ ერთი, რუსეთს დრო უნდა მოეგო, ვიდრე პოლიონეთთან თავის ანვარცხს გახსნორებდა და გარკვევდა ევროპაში იარაღით შეჭრის პერსპექტივას და მეორე, მას საქართველოსთვის უნდა წაერთმია დასავლეთის მოკავშირეობის შანსი. ამ გზით საქართველო რუსეთსა და თურქეთის მარწუხებში და-

მარტოხლებულ-მომწყვდეული რჩებოდა. რუსეთ-თურქეთის ეს მიზანი რუსეთმა საკუთარი ხელით ადასრულებინა საქართველოს.

რა გზით?

1920 წლის ხელშეკრულებს V პუნქტის საგანგებო პარაგრაფებით. რუსეთი საქართველოს ავალდებულებდა, საქართველოს ტერიტორიიდან გაეყვანა ყოველგვარი საჭარისო შენაერთი, რომელიც ქართული არ იყო. ხელშეკრულება საქართველოს ავალდებულებდა, არა თუ აეკრძალა მათთვის საქართველოში ცხოვრება, არამედ არ დაეშვა მათი მოხალისედ ყოფნაც კი ქართულ არმიას.

ყველაფერი ეს შეწყალებული იყო სოციალიზმის იდეისათვის, რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი ბრძოლის სოუსში.

მეორე გარემოება, რას გამოკ საგანგებოდ შეეჩერდი დ. შალიკაშვილის დღიურების ამ პასუხზე, საქართველოს ხელანდელი საგარეო პოლიტიკური კურსის აქტუალურ მომენტს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ახალ საქართველოს ისევ მოუძღვება პოლიტიკური ურთიერთობის ახალი მოღუფის შემუშავება თავის მეგობრებთან, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან.

ამჯერ შეთანხმებას, ალბათ, საფუძვლად დაედება, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატის, ისე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დოკუმენტი და, რაც მთავარია, თანამედროვე გლობალური სიტუაციიდან გამომდინარე, საერთოებრივი პრინციპები.

ამგარამ, გამომდინარე საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური თანამშრომლობის მუდამ ცალმხრივად დარღვეული ტრადიციიდან (რასაც, თავისი იმპერიული ზრახვებისათვის, უყოყმანოდ ატარებდა რუსეთი), დღის წესრიგში ადგება ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი:

1. აუცილებლად უნდა ვაუქმდეს 1920 წლის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის ის



პარაგრაფები, რომელთა ძალითაც, საქართველოს წართმეული აქვს უფლება, თავის ტერიტორიაზე უცხო ქარებს გამოუყოს ადგილ-სამყოფელი და ქართულ საქარისო შენაერთებში იუკლიოს უცხოელი მოზალისებები.

11. მომავალ სახელმწიკრულებო დოკუმენტებში აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი მსხლი, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგს: რუსეთმა ნებისმიერი ოფიციალური თუ საიდუმლო მოლაპარაკება, საქართველოს ისეთ პოლიტიკურ პარტნიორებთან, როგორცაა ირანი და თურქეთი, უნდა აწარმოოს საქართველოს წარმომადგენლობითი მონაწილეობით, მეთვალყურეობით ან მასთან შეთანხმების საფუძველზე.

აი, მოთხოვნა, რომელიც საქართველოს მომავალმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა განახორციელოს რუსეთთან-თურქეთის მომავალი პოლიტიკური ურთიერთობის მიმართ.

ინტერნალ პერსონაჟთა ბალერეიდან

დ. შალიკაშვილის დღიურებში მრავალი ისტორიული პერსონაჟის სახელი და ხალეუტია გაელვებული.

მათი გაღერა ცალკე შესწავლის საგანია.

ამტერად, მხოლოდ ერთ დეტალზე გავამკვილებ ყურადღებას.

დ. შალიკაშვილის I იანვრის დღიურში აღნიშნულია ასეთი დეტალი: 1921 წლის I იანვარს, ანგორას გამგზავრებული ქართული დიპლომატიური მისია, სამსუნის სასტუმროში დაბინავებულა. ამავე სასტუმროში გაჩერებულა რუსეთის ბოლშევიკური მისიაც ეშბას მეთაურობით. ეს ცნობილი აფხაზი ბოლშევიკი, ეფრემ ეშბაა. დ. შალიკაშვილი იუწყება: „დღისით ემზარმა მიიღო წერილი ეშბასაგან, იგი სთხოვს მას შეხვედრას თავის ოთახში. მათ დიდხანს ილაპარაკეს. ეშბამ მონაწილეობა მიიღო ემზარის ძმის

მკვლელობაში და, ალბათ, თავსეკუშირულ თლებდა“.

გინგლინიძე

საინტერესოა... ლაპარაკია ეშბას მონაწილეობაზე იმ ემზარის მკვლელობაში, რომელიც მოხდა სოხუმში, კრეისერ „კაროლ კარელზე“, რომელზეც კრეისერის ონკანიდან გამოშვებულ ორთქლში მონაშთვეს ემზარი და ოდნავ განსწავებული ვერსიით აღწერა ლეო ქიანელმა „ჰაკი აძბაში“. თუ ლაპარაკია კიდევ სხვა ემზარის მკვლელობაზე? მე საგანგებოდ გამოვიტყე ამ პერიოდის ზოგიერთი მომხწრე, თუ რა იცოდნენ ამ მკვლელობის შესახებ.

ამ თემაზე ყველაზე საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა ბატონმა აკაკი ძიძიგურმა. მესი აზრით, იმ პერიოდში აფხაზეთში ორი ემზარი მოკლეს. ერთი მკვლელობა აღწერილია ლეო ქიანელის მიერ, მეორე — ეხება იმ პერიოდის ქართულ ინტელაგენციაში მითქმა-მოთქმის საგნად ქცეულ ბოდლო ემზარის მკვლელობას.

ბოდლო ემზარი ქართველი პატრიოტი იყო და მეგობრული ურთიერთობა მქონდა კ. გამსახურდიასა და თავის ტლო მოწინავე ქართულ ინტელიგენციასთან.

ამდენად, რომელი ემზარის მკვლელობაა აქ ლაპარაკი, დაუდგენელია.

მაგრამ, როგორც იტყვიან, შესაერებთა გადნაკლებობით, ჭამი არ იცვლება.

რომელი ემზარის მკვლელობაზეც არ უნდა იყოს აქ საუბარი, სულერთია, ეფრემ ეშბას, როგორც პოლიტიკური მკვლელის პორტრეტში, შტრაბები უცვლელი რჩება.

საფაქრებელია, რომ აქ ლაპარაკი უნდა იყოს სწორედ დ. ქიანელის „ჰაკი აძბას“ თემად ქცეული ემზარის მკვლელობაზე. თუ ასეა, ეშბას სახით მხატვრულ ნაწარმოებში წარმოსახული პერსონაჟების გაღერა ივსება ემზარის მკვლელობაში მონაწილე რეალური ისტორიული პერსონაჟის პორტრეტით.



როდესაც პრეზიდენტული დასავლეთის შერ მარქსიზმი უუგებდებულ იქნა, როგორც კაცობრიობის სოციალური და ეკონომიკური ორგანიზაციის პრინციპი, როდესაც დასავლეთის სექტიციზმი II ინტერნაციონალისადმი თავისი აპოკის ფაზაში შედიოდა, როდესაც პოლონეთში რუსული იმპერიალიზმის ნიარსახეობაა, პროვინციული საქართველო თავის სუსტ მხრებზე ირგებდა კომუნისტური დემოკრატიზმის დამამკვიდრებლის მუნდიარს და მეფურ ნადიმებს მართავდა დასავლეთში აბუჩად აგდებულთა თუ არა, სერიოზული პოლიტიკიდან თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილთა — კაუკის, გაუსწანის, ვანდერვენდეს, შაკდინაღლის პატივსაცემად.

და როდესაც ამ ნადიმების იდეოლოგი-ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ ეს იყო დასავლეთთან საქართველოს დაახლოვების გზა, — ვერ გრძნობდნენ, რომ ეს იყო დასავლეთიდან საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სულიერ-გონითი მოწყვეტის მარშრუტი.

1945 წელს ვარზულაში „ფერბინტუმ შტაბის“ არქივის გახიზვისას, დიმიტრი შალიკაშვილის ხელნაწერს გადაჭურია

ვიქტორ ნოზაძე. მას ქართულად უთარგმნია ის და, ეტუობა, ავტორთან შეუთანხმებლად (რადგან ტექსტს არ ახლავს დ. შალიკაშვილის წინასიტყვა და ბოლოში დართული ანგარიში — ქართული დიპლომატიური მისიის მგზავრობის სამარშრუტო რუქა) გამოუქვეყნებია „კავკასიონში“ (№ 16, 17, პარიზი, 1972/73).

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ვ. ნოზაძე დანეტარებებული ყოფილა ამ პერიოდის საქართველო-თურქეთის ურთიერთობით. მას ეკუთვნის ამ პერიოდის მოკლე ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის უაღრესად მნიშვნელოვანი ნარკვევი — „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, რომელიც 1930 წელს დაიბეჭდა პარიზში და 1989 წელს ხელმოკრედ გამოიცა საქართველოში.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს დ. შალიკაშვილის დღიურების ვ. ნოზაძისეულ თარგმანს. ახლო მომავალში მკითხველი მიიღებს დ. შალიკაშვილის დღიურების ახალ თარგმანს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სრული ტექსტი (წინასიტყვაობითა და რუკებით).



დიმიტრი შალიკაშვილი

საპარტიველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში

### წინასიტყვაობა

1920 წლის დეკემბერში თბილისიდან გაემგზავრა დიპლომატიური მისია, რომლის დანიშნულება იყო ანგორაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობასთან ურთიერთობის დასრულება.

ამ მისიის შემადგენლობაში მეც გახლდით და პირადად დიპლომატიურ ვაჭარობებში, რომელსაც ახლა, 35 წლის შემდეგ, აღვადგენ. რამდენიმე ცალკეული და გაურკვეველი ხელით დაწერილი ფურცელი ხელახლა გადავწერე, ამასთანავე, არაფერი არ ჩამისწორებია, მხოლოდ ძველი ორთოგრაფია შევცვალე ახლით.

ეს დღიური, რა თქმა უნდა, შორსაა სრულყოფილებისაგან და არ იძლევა იმის სრულ სურათს, რაც მაშინ ხდებოდა, თუმცა, ზოგიერთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შუქს მანიც მჭედს.

ახლა, მისი გადაწერისას, ბევრი გულუბრყვილო მსჯელობა მხვდება. მაგრამ ისინი უცვლელად, იმავე სახით დავტოვე, რა სახითაც მაშინ დაიწერა. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ უოველივე გამოითქვა მრავალი წლის წინათ ახალგაზრდა კაცის მიერ, რომელიც ის-ის იყო იწყებდა მოზრდილი ადამიანის კარიერას, თუმცა, თუ ჩემს მსჯელობას მისიის სხვა წევრების, გაცილებით უფრო მოწიფული ადამიანების მსჯელობას შევადარებთ, ზოგჯერ რაიმე განსაკუთრებულ სხვაობას ვერც კი შევამჩნევთ.

დღიურის დედანი, დროთა განმავლობაში, სათანადო ხელში იქნება გადაცემული.

დიმიტრი შალიკაშვილი.

1958 წ.

მ თებერვალი.

დღეს უნდა მოხდეს ქემალ-ფაშას და მდივნის შეხვედრა. დანიშნულია სამ საათზე. ორ საათზე მოვიდნენ ჩვენთან იკმეტ-ბეი და ქემალ-ფაშას აღიუტანტი. უკანასკნელი აღმოჩნდა აბხაზი ანჩაბაძე, რომლის მამა დიდი ხანია თურქეთს გადასახლებულა; აფხაზურად ვერ ლაპარაკობს. გავედით სახლიდან სამის ნახევარზე და სამი საათისთვის ვიყავით მთავრობის სახლში, სადაც მიგვიღებს ქემალი. შეგვიყვანეს კაბინეტში. კარგია. ანგორისათვის ძვირფასად მოწყო-

ბილი თთახი. ს. მდივანი ცოტა დელავდა. ჩვენ ვართ ხუთი — მდივანი სვიმონ, გენერალი ერისთავი, ჭუმბაძე, ემუხვარი და მე. ორი თურქია — თვითონ ქემალ-ფაშა და იკმეტ-ბეი. დასხდა ყველა ემუხვარისა და ჩემს გარდა. ს. მდივანმა გადასცა თავისი რწმუნების ქაღალდი, როგორც წინდაწინ დაწესებული იყო. სიტყვებს, რომელთა ასლები უკვე გაცვალეს, არ წარმოთქვამენ, და პირდაპირ საუბარს შეუდგნენ, ქემალ-ფაშა ლაპარაკობს თურქულად. სთარგმნის იკმეტ-ბეი. მდივანი ლაპარაკობს ქართულად. ფრანგულად თარგმნის ჭუმბაძე. თურქულად იკმეტ-ბეი. მუსტაფა ქემალი ფრანგულად ცუდათ ლაპარაკობს, მაგრამ აჩერებს ხანდახან იკმეტ-ბეის და იგი თარგმნის სერმე გასწორებით. საერთოდ ჩანს, ქემალი ამ საუბარს სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს. ქემალ-ფაშა საშუალო ტანის კაცია. გამხდარი სახისა ნაზი და საინტერესო ხაზებით. შეკრევილი უღვაშები. ჭკვიანი სახე, ნებისყოფის მაჩვენებელი. აცვია კარგად ვიზიტკა. ს. მდივანი და ჭუმბაძეც ვიზიტკაში არიან. ს. მდივანმა კოსალების შემდეგ თქვა. დიპლომატი არა ვარ, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, არ ვიცი წესები საიდუმლო დიპლომატიისა და გათვზავნილი ვარ აქ, რადგან ყველაფერი აქაურ მოლაპარაკებაში გულწრფელობაზე იქნება დაფუძნებულიო. ქემალ-ფაშამ ასეთი შეხედულებისათვის მას მადლობა გამოუცხადა და თქვა, ჩემთვისაც სასიამოვნოა ვაწარმოოთ მოლაპარაკება, რომელიც არ იქნება დამყარებული არაგულწრფელობაზეო. ორივე ლაპარაკობს პატარა სიტყვას და ერთი მეორეს უპასუხებს. პირველად ყოვლისა, ქემალ-ფაშამ მიულოცა მდივანს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებისა გამო და თქვა, ეს სასიამოვნოა თურქეთისთვისო. ჩვენ გვერთებს საქართველოსთან არამც თუ მარტო სიმპატია, არამედ მიზანთა ერთობაცო. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვჭირდება ძლიერი აღმოსავლეთით. განსაკუთრებით გვჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში — კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი, ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელიო. საქართველომ და თურქეთმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ კავკასიის სხვა სახელმწიფოებიც გახდნენ თავისუფალებიო. ს. მდივანი უპასუხებს, აღმოსავლეთში გვჭირდება ძლიერი თურქეთი და საქართველო. საქართველომ კარგად იცის, რაა უცხოთა ბატონობა, ვინაიდან იგი 117 წლის განმავლობაში ცარიზმის უღელს ქვეშ იყო, იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, და აი, ანტანტის მიერ იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით, მისი ღვაწლი წარმატებით დაგვირგვინდაო. საქართველოს მარტო არ შეუძლია გააკეთოს რაიმე კავკასიაში. ამ საქმეში მას თურქეთი უნდა დაეხმაროსო. 1918 წელს საქართველომ ვერ მოახერხა მოეწყო კავკასია თავისი გეგმის მიხედვით, მას სურდა გაეერთიანებინა კავკასიური სახელმწიფოები კონფედერაციით; მაგრამ ზოგ შინაგან და გარეგან ძალთა წყალობით, იგი დაირღვაო. ქემალ-ფაშა ამბობს, საქართველოში სო-

ციალ-დემოკრატიული პარტიაა, რომლის პროგრამა და მოღვაწეობა კავს თურქეთის ეროვნული ყრილობის პროგრამას და ამას შეუძლია დაკავშირებაში სამსახურის გაწევად. ს. მდივანმა აღნიშნა, საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა სხვებიც არსებობენ, მაგრამ დამოუკიდებლობის საკითხში ყველა მასთან თანახმა არისო. ქემალ-ფაშა გენერალ ერისთავის სახით მიესალმა ქართულ ჯარს. გენერალი მადლობას უძღვნის. ქემალ-ფაშამ თქვა, ამ საუბარში ვერ განვიხილავთ ყველა წვრილმანს, მაგრამ ყველა მინისტრი მეთანხმება ჩემს შეხედულებაზე საქართველოს საკითხებში და დარწმუნებული ვარ მეთანხმებას მივალწევთო. გაგვიმასპინძლდნენ ყავითა და პაპიროსებით. ემუხვარი და მე ყავას არა ვსვამთ. შეხვედრა გაგრძელდა ერთი საათი და ხუთმეტი წუთი. ამ ხნის განმავლობაში ემუხვარი და მე ვდგავართ სმენაზე, გაუჩქრევლად. მთელი საუბრის დასმავლობაში ერთჯერაც არ იქნა ხახსენები რუსეთის სახელი. იმის და მიუხედავად, რომ ორივე ლაპარაკობს, წინააღმდეგი ვართ საიდუმლო დიპლომატიისაო, ჩანს, მის წესებს ასრულებენ. ს. მდივანის სიტყვის მიხედვით, იგი უნდა იყოს კავკასიის კონფედერაციის მომხრე. გამოთხოვებისას ქემალმა ფრანგულად უთხრა რამოდენიმე გამოსაშვიდობებელი სიტყვა მდივანს. შეხვედრის დასასრულს დაბრუნდით შინ. აღვმართეთ ჩვენი მისიის შენობაზე ჩვენი დროშა და გამოვკიდეთ დერბი. საღამოს გავაგზავნეთ დაწვრილებითი დეპეშა ჩვენს საგარეო სამინისტროში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ახლა ვკირდებით თურქებს და ამიტომ ასე კარგად გვეპყრობიან და გვეფერებიან. მაგრამ ხვალ თუ მდგომარეობა შეიცვალა, ისინი იმავე მოფერებით მიგვაპყლებენ კედელზე. შეხვედრის დროს ქემალი ხშირად შემოგვხედავდა ემუხვარსა და მე, თუ როგორ ვიდექით. განგებ და განზრახ ძალიან კარგად ვიდექით. აქაურ გაზეთებში წერენ: კისკინ-ზადე თურქეთის მეგობარი იყოო. ბიულეტენში დაბეჭდილია, თბილისში და ბათუმში დიდი ზეიმია საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების გამო.

## 2 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

ამ ხნის განმავლობაში თბილისიდან მივიღეთ მხოლოდ ერთი დეპეშა. არ ვიცით ჩვენი დეპეშა აღწევს იქ თუ არა.

მდივანმა გაუგზავნა დეპეშა ჩვენს სამხედრო წარმომადგენელს ირანში კარაბეკირ-ფაშასთან, ყარსში, გაიგოს მან, წესრიგშია თუ არა ყარსის-თბილისის ტელეგრაფის ხაზი, და თუ არაა, გავზავნოს შიკრი თბილისს და მისი სახელით მოსთხოვოს ხაზის დაუყოვნებლივ აღწორება. — ყარსის ოლქში ჩვენ გვიკავია ხაზი მდინარე მტკვარე, სოფელ ტახტართან. ეს ხაზი ჩვენ ჯარებს დაკავებული ჰქონდათ 1919 წელს, თათრულ ბანდებთან ბრძოლის დროს. მერმე ეს რაიონი



არდავანამდე გადავიდა სომხების ხელში. ეხლა-კი სომხურ-თურქული ომის შემდეგ, ჩვენ იგი ისევ დავიკავეთ. ს. მდივანი ხვალდანვე შეუდგება სხვა და სხვა პირთა ნახვას და ფიცხლავ საქმეს დაიწყებს.

ერთი ჩვენი მიზანთაგანია მივიღოთ ოლთისის ოლქი და დავადგინოთ თურქეთთან საზღვრები ძველის მიხედვით. ოლთისის ოლქი, სომხურ-თურქული ომის შემდეგ თურქებმა დაიკავეს. მდივანს სურს სადარბაზოდ აგრეთვე ეროვნული ყრილობის ფრაქციათა მეთაურებს ეწვიოს. ამის შესახებ ჭუმბაძემ იკითხა საგარეო სამინისტროში და იქ მას უპასუხეს, აქ ყველა იცავს საერთო ეროვნულ საქმეს და ფრაქციები, კომუნისტურის გარდა, რომელიც აგრეთვე ჯერ არაა შექმნილი, არ არსებობენო. როგორც სჩანს, მათთან ყველაფერი საკმაოდ უბრალოდ კეთდება. ერთადერთი რა სარგებლობის მოტანაც თურქეთს ჩვენთვის შეუძლია, ესაა თუ მშვიდობით დავაყენებს, თორემ რაიმე კულტურულ და სხვა გავლენაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. იურიდიული ურთიერთობა თურქეთთან განსაზღვრულია 1918 წლის საზავო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით მთელი სამუსულმანო საქართველო, ბათუმით და არდავანით, თურქეთს ეკუთვნოდა. ფაქტიური მდგომარეობა-კი სხვაა. და აი, ყველა ეს ცვლილება უნდა იურიდიულად დამტკიცდეს.

იმის სამაგალითოდ თუ როგორ კეთდება საქმე აქაურ სამინისტროებში, შეგვიძლია შემდეგი აღვნიშნოთ. როგორც კი მივედით ანკორაში, ვსთხოვეთ საგარეო სამინისტროს იმ განყოფილებას, რომელიც ჩვენი ბინის მოწყობას განაგებდა, მოეცათ ჩვენი კანცელარიისათვის მაგიდები და გაეყვანა ტელეფონი. რამოდენჯერმე შევახსენეთ. მხოლოდ დღეს გვითხრეს, აქამდე არ გვეცალა, დღეს შეუკვეთეთ და ერთ კვირაში გექნებათ მაგიდებიო. ტელეფონს ხვალ დავიდგამთ. ვიყავი სამინისტროში 12 საათზე. კანცელარიის დირექტორი იემეტ-ბეი ჯერ არ იყო მოსული, თუმცა, მუშაობა იწყება 10 საათზე. ამისნებს იგი წუხელ ღამის 11 საათამდე მუშაობდა და ძალიან დაიღალაო. მგონია, აქ დიდი ინტრიგები ხდება. ბექირ-ბეის შოადგილედ უნდა დაენიშნათ სხვა და დღეს ვგებულობთ, დაუნიშნავთ მუხთარ-ბეი. ბექირ-ბეიც მგონია, ორმოს უთხრიდა მუხთარ-ბეის, რომელიც დანიშნული იყო ლონდონს წამსვლელი დელეგაციის მეთაურად და თვითონ წავიდა. ასე რომ ლაპარაკი იმის შესახებ, მას თითქოს ერჩია აქ დარჩენილიყო, აღმოჩნდა ცარიელი ლაპარაკი.

## 10 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

მივიღე წერილი ძმისაგან, ბათუმიდან, 14 იანვრის თარიღით. გერმანიის წარმომადგენელი რაუშერი თბილისის მისულა, ყოველგვარ დანაშაულისაგან და წარმოუთქვამს კარგი სიტყვა. ს. მდივანი მისი სიტყვებთან სადარბაზოდ დადის. მალე უნდა დაიწყოს საქმიანი დარბაზი. დილით ვიყავი ფოსტაში. შემხვდა ბოლშევიკური მისიის კარიბი და ჩემდა განსაცვიფრებლად, გამომეჩიმა და სალაპარაკო მონაკა.



სადამოს წაველი თეატრში. რომელიც უბრალო ბალაგანი აღმოჩნდა იყო კომედია, სიმღერა, მუსიკა, მსახიობი ქალები. მხოლოდ ორი სომეხი ქალი, რადგან თურქი ქალები სცენაზე არ გამოდიან. თურქი ქალები მღეროდნენ, მაგრამ ფარდის უკან. ყველაზე საინტერესო სომერი იყო ბოლშევიკების წარმოდგენა. სამმა ბოლშევიკმა მისიი-დან. მოაწყო პატარა კონცერტი. ორი უკრავდა ვიოლინოზე და ერთი გიტარაზე, გრაფ ლუქსემბურგის არიას და სხვა. მერმე ერთმა მათგანმა, ყასაბისა თუ მოჭიდავის შეხედულებისა, იცეკვა რუსულად. მათ დიდი ტაშით შეხვდნენ. ანგორაში ჯარისკაცებს კარგად აცვიათ. ბევრს ინგლისური მაზარა და ფეხსაცმელები აქვს.

11 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი, 1921 წ.

ნასადილევს ს. მდივანს ეწვია მუხთარ-ბეი და მასთან ერთად საბაჟოს უფროსი. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა, ახლად მოსული ანგორაში, იტალიელი ფაგო. მუხთარ-ბეი ამბობდა, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებობს ნათესავური კავშირი, მაგალითად ჩემი მეუღლის ბებია ქართველი იყო. მისი სიტყვით, თურქეთი დაჯერდება მარტო ანატოლით, მაგრამ მას სურს ჰქონდეს გარანტია რომ აქ მაინც მოასვენებენ, თავისუფლად აცხოვრებენ და განვითარების საშუალებას მისცემენო. იგი ფიქრობს, ასეთი გარანტია ყველა ხალხს უნდა მიენიჭოს, სომხებსაც-კი, რომელნიც მას, სიტყვამ შოიტანა, მაინცდამაინც არ უყვარს. თურქეთი თავის მთავარ ყურადღებას აქცევს ახლა ანატოლიის და მისი აზრით დედაქალაქს აქ დააწესებენ. კონსტანტინოპოლი კარგი იყო როგორც სატახტო ქალაქი, როცა ბალკანეთის ნახევარკუნძული თურქეთს ეკუთვნოდა და იგი იმყოფებოდა ცენტრში. ეხლა-კი კონსტანტინოპოლი განაპირაზე იმყოფება. უნდა მოვნახოთ ახალი სატახტო ქალაქი, რომელიც ცენტრში იქნება. რაც სრუტეებს შეეხება, ეს საკითხი უნდა გადასწვიტონ სანაპირო სახელმწიფოებმა და მათ შორის საქართველომაც, და არა ინგლისმა და სხვა შორეულმა სახელმწიფოებმა, რომელთაც შავ ზღვასთან დამოკიდებულება არა აქვთ. ჩვენ ხომ არ მოვდივართ მათთან მითითებითა და მოთხოვნილებით ლამაზშუხე და სხვა სრუტეებზე წესრიგის დასამყარებლად! კონსტანტინოპოლი ხალიფას საჯდომია და ეს ჩვენი ქალაქია, მას ჩვენ უნდა განვაგებდეთო. ბაასში, იგი, როგორც სხვა ბევრი მოღვაწე, ძალიან ხშირად ხმარობს სიტყვას — დამოუკიდებელი საქართველო, მაგალითად — თქვენ ხომ დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელი ხართ და სხვა ასეთი, აფრქვევენ მუღამ. ან მათ სურთ ამით ყური გამოგვიჭედონ და გვაიძულონ ამ აზრს შევეგუოთ, ან უყურებენ ამას როგორც არა სერიოზულს. ზოგიერთ შემთხვევაში ჰქუასაც-კი გვასწავლიან. მაგალითად, როცა ს. მდივანის ქემალ-ფაშასთან წარდგენის წესრიგს გვიხსნიდნენ, თან დაატანეს ასე აკეთებენ ევროპაშიო. ქემალ-ფაშა წავიდა ესქიშერს, საიდანაც ალბათ, ფრონტზე გა-

ემგზავრება. თურქები, ბერძნებზე დარტყმას ამზადებენ, რათა ამით ლონდონის კონფერენციაზე ისარგებლონ.

12 თებერვალი.

ვიყავით საგარეო სამინისტროში მაგიდებისა და ტელეფონის შესახებ. დღეს მითხრეს, ხუთი დღის შემდეგ იქნება მზადო. 12 საათზე. პატარა მოხელეთა გარდა, ჯერ კიდევ იქ არავინ იყო.

13 თებერვალი, 1921 წ.

კონსტანტინოპოლიდან მოვიდა ფრანგული გაზეთები. „ჟურნალ დ.ორიან“-ში კიდევ არის ჭორები საქართველოს შესახებ. მაგალითად წერენ, თითქოს რუსი საბჭოთა ჯარები სწმენდენ მათ მიერ დაკავებულ ოლქებს საქართველოში და სხვა. ანგორის გაზეთში „ხაკიმეთი მილიე“ მოთავსებულია წერილი სათაურით — თურქეთ-საქართველოს მეგობრობა — მიღებულია ცნობა, რომ უმაღლესმა საბჭომ აღიარა დე-იურედ საქართველოს სახელმწიფოო. შეიძლება ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი რესპუბლიკისათვის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ქართველები უფრო მნიშვნელოვან ამბათ ჩათვლიან თურქეთ-საქართველოს მეგობრობასო. ანტანტას რომ დაბრკოლება ელოდება, ისე დიდია, რომ ასეთი აღიარება ყოველ მნიშვნელობას კარგავსო. ცნობილი მაგალითია სომხეთში. მოკავშირეებმა იგი იცნეს. შეაიარაღეს და დავვატაკეს ჩვენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თურქეთის ჯარებმა მას ჰკუა ასწავლეს. გადავიდნენ მისი საზღვრები და მისმა ეგრეთ წოდებულმა მფარველებმა არამცთუ დახმარება არ გაუწიეს, არამედ ლიგიდანაც გარიცხესო. ქართველებმა უნდა ეძებონ თავისი ბედნიერებისა და მშვიდობის მთავარი საწინდარი თავის მეზობლებთან კარგ ურთიერთობაში. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, თურქეთში ისინი ნახავენ ყველაზე უფრო კეთილადგანწყობილს და გულწრფელ მეგობარსო. ისადილა ჩვენთან და დარჩა საღამოს. იტალიელი ფაგო რამდენიმე დღეა რაც იტალიიდან მოვიდა და ბრუნდება კონსტანტინოპოლს. იგი მსახურობდა დიპლომატიურ კორპუსში. ომის დროს ჯარში გაუწვევიათ. ესლა, მისი სიტყვით, მოსულაა ზორბლის შესაძენად და ალბათ, აქვს რაიმე საიდუმლო დავალება. ავანტიურისტის ტიპია. ჩანს ყოჩაღი კაცია. ნთელი საღამო თურქეთის შესახებ გვიამბობდა. როცა ბერძნებმა დაიკავეს სმირნა, იგი, ყოფილა და უნახავს აღმშფოთებელი მოპყრობა ბერძნებისა თურქებისადმი. მაგალითად, ბერძნებმა შეკრიბეს თურქები და სანაპიროზე ატარეს აწეული ხელებით დილიდან გვიან საღამომდე და თან აძახებინებდნენ — გაუმარჯოს საბერძნეთს! და როცა ვინმე ქანცგაწყვეტილი დაეცემოდა, მას კონდახისა და ხიშტის ცემით ზღვაში აგდებდნენო. ქემალი მისი სიტყვით ძალიან ნიჭიერი კაცია, შესანიშნავი თვისებებით, მაგრამ არა საკმაოდ მომზადებული ისეთი დიდი საქმისათვის, რომელიც მან თავის თავზე აიღო. ელა

გადატრიალება ან რეფორმა კი არა, არამედ სახელმწიფოს შენებაა. თურქეთი ადის ახალ საფეხურზე, როცა იგი თავის სახელმწიფოს ანატოლიაში აწყობს. მისი სიტყვით, ქემალ-ფაშა გენერალი გახდა შემდეგნაირად. გალიპოლის ოპერაციის დროს იგი კომანდრობდა ერთ რაზმს. ერთხელ მას ეძახიან ტელეფონით შტაბიდან. მას ელაპარაკება ლიშან ფონ სანდერსი. თურქების საქმე უარესდებოდა. მაშინ სანდერსმა დაავალა მას სარდლობა. ქემალმა მოიგო ბრძოლა ამფიში. ამის გამო იგი გენერლად დანიშნეს. დროებითი ზავის შემდეგ, იგი გაგზავნეს ფერიდ-ფაშამ და ინგლისელებმა ერზერუმს. ერთი კორპუსის განიარაღებაზე დასასწრებლად. იქ გაეცნო იგი რამდენიმე პატრიოტს და დაიწყო თავისი საქმე. მერმე იგი კონსტანტინოპოლს აღარ დაბრუნებულა. ახლა თურქებს შორის ეროვნული მოძრაობაა. ისინი მიხვდნენ. იმის მაგიერ რომ გატაცებული იყვნენ პანისლამიზმის უზარმაზარი იდეით, მათ უნდა მოაწყონ ჯერ თავისი საკუთარი სამშობლო. ეს შეხედულება მათში ძლიერია. და ბერმე შეიძლება. თუმცა ძნელია ამისი თქმა, ისევ დაიწყონ პანისლამიზმზე ოცნებაო. აქ არსებობს ორი კლასი — ზემო და ქვემო ფენებისაო. პირველში ბევრია განათლებული და ნიჭიერი ხალხი. დანარჩენ მასსაში უბადრუკობა და გაუნათლებლობაა. თვით თურქები ანატოლიას ცუდათ იცნობენ. მათ უფრო ევროპა აინტერესებდაო. ვინემ თავისი საკუთარი უმდიდრესი მხარეო.

რაც ანტანტის პოლიტიკას თურქეთში შეეხება, მან თქვა. იტალიამ მალე შეიგნო მდგომარეობა და გამოიყენა იგი. დღეს თუმცა, ოფიციალურად იტალია მტრულ დამოკიდებულებაშია თურქეთთან; სინამდვილეში კი მათი ურთიერთობა ძალიან კარგიაო. ეგრეთწოდებული ოკუპაცია მცირე აზიის ოლქებისა იტალიის მიერ მით გამოიხატება, რომ ადალიაში იტალიას ჰყავს 150 ზიშტისაგან შემდგარი ბატალიონი და ბორდუში არის სამხედრო ექიმი ლაზარეთით. ასე რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითია. იტალიელთა და თურქთა კარგი ურთიერთობა შეიძლება გააფუჭონ ზოჯებმა, რომელთაც ეროვნულ ყრილობაში დიდი გავლენა აქვთ. ისინი ფანტიკორ განწყობილნი არიან და ამბობენ, არ შეიძლება მივცეთ თურქეთი იტალიელებს ხელშიო. თურქები მისწრაფიან გააძევიან თურქები მცირე აზიიდან, რათა ამით გაანადგურონ ანტანტის პოლიტიკა. ინგლისელები აკონტროლებდნენ რკინიგზას ჰაიდარ აბაშიდან ადალიამდე და ჰქონდათ თავისი პოსტებიო.

არჩევნები აქაურ პარლამენტში პირდაპირი არაა. თურქებმა დახურეს ახლა ყველა სომხური და ბერძნული სკოლები იმ საბუთით, რომ თურქეთში ყველამ თურქულად უნდა ისწავლოსო. აქ ლაპარაკობენ იმაზე, რომ გააგზავნონ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოეტი — ქალი, უნდა ისწავლოსო.

15 თებერვალი, 1921 წ.

დღეს სადარბაზოდ ვიყავით განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრთან. შინაგან საქმეთა მინისტრი ამავე დროს არის სამხრეთის ფრონტის მთავარსარდალი და ამჟამად შინ არ იმყოფება. მას მოადგილეობს სახალხო ჯანმრთელობის მინისტრი. არც ერთი მათგანი განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. განათლების მინისტრმა თქვა, ანატოლის ძველად იმიტომ არ აქცევდნენ ყურადღებას, რომ იგი უმთავრესად თურქებზე იყო დასახლებული, მთავრობისადმი ერთგული ელემენტით, მაშინ როცა დანარჩენ პროვინციებს, მაგალითად, სირიას, ევროპულ თურქეთს და სხვას — დიდ სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ, ვინაიდან იქ რაიმე მოძრაობას არ უნდა ჰქონოდა ადგილი და ამისი შიში იყოთ.

დღისით სვიმონ მდივანთან იყო სადარბაზოდ სამხედრო მინისტრი. მან სხვათა შორის გვითხრა, მიღებული ცნობების მიხედვით, ქართველებს შეტაკება ჰქონდათ სომხურ საზღვარზე. მივიღეთ სამსუნიდან ლიკვიზაძის დეპეშა. დიდი თოვლის გამო არ შემიძლია გადმოსვლაო. ათი დღის შემდეგ შეიძლებაო. ს. მდივანმა უპასუხა დეპეშით, წაიღეთ ავტომობილები უკანვე თბილისშიო. ჩვენ მათ ძალიან გვაზარალებს. უკვე დაგვეხარჯა ავტომობილებზე ორი ათას ლირამდე. ესე იგი ნახევარი იმ თანხისა, რაც თვით მისიას გააჩნდა.

აქაურა მმართველი წრეების ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი მაგალითით. ბეჭირსამი-ბეი ამბობდა, ისინი (თურქები) უფრო ადვილად შეურიგდებიან ინგლისს, რომელსაც შეუძლია პატარა ნამდვილი სარგებლობა მაინც მოგვცენ, ვინემ ეალერსონ უზარმაზარ გემებს, რომელსაც ბოლშევიკები ჩავჭურჩულებენო.

დღეს გავეცანით 1920 წლის 28 იანვრის თარიღით, თურქეთის პარლამენტის განცხადებას, როცა თურქეთი ჯერ კიდევ ორად არ იყო გაყოფილი. იქ, სხვათა შორის ნათქვამია — ყარსის, ბათუმის ოლქებში და არდაგანის რაიონში უნდა მოხდეს პლებისციტი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ ვის ეკუთვნის ეს მხარენიო. ეს განცხადება გამოგვიგზავნა ჩვენ საგარეო სამინისტრომ. ალბათ, ყოველ შემთხვევისათვის, რათა ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინოს.

24 თებერვალი.

ს. მდივანმა გავზავნა დეპეშა, რომლითაც გენერალური შტაბის ცნობებს ითხოვს, რადგან ადგილობრივი პრესა ქართულ ჯარს ცალსა სწამებს და ათავსებს ცნობას, თითქო ორი ქართული პოლკი ბოლშევიკების მხარეზე გადავიდაო. ეს დეპეშა ს. მდივანმა განზრახ გავზავნა ფრანგულ ენაზე, რათა აქაურებმა გაიგონ მისი შინაარსი. დღევანდელ ბიულეტენში აღწერილია თურქთა ჯარების შესვლა არ-

დავანის ოლქში, ქალაქის მცხოვრებნი, შორს ქალაქ გარედ შემა-  
ვალ ჯარებს შეეგებნენო.

დღეს მივიღეთ საბაზტარიშვილისაგან საიდუმლო დეპეშა. გვა-  
ტყობინებს, ბოლშევიკებმა აიღეს გაგრაო. გაუგებარია როგორ მოხ-  
და. ძალიან გამაგრებელი პოზიციები იყო. ეს გუშინ უნდა მომხდა-  
რყო. ს. მდივანი ყველა ამ ამბების გამო გიყდება. ყველაფერში იგი  
ხედავს რაღაც რთულ კომბინაციას. ხან ფიქრობს, ბოლშევიკებ-  
მოქმედობენ თურქებთან შეთანხმებით საქართველოს გასანაწილებ-  
ლად. სომხეთი კი აღადგინეს ორი მიზნით — 1. რათა დაჰკრან  
ბოლშევიკებს და 2. რათა ჰქონდეთ საშუალება განაცხადონ ლონ-  
დონის კონფერენციაზე, ჩვენ სომხებს კი არ ვდევნით, არამედ ვეხ-  
მარებით კიდევ თავისი სახელმწიფო აღადგინონო. ამას წინად კი  
ამბობდა, წინაჟგომოდ. — სომხეთის აღდგენა მოხდა თურქების გა-  
რეშე. ეს უკანასკნელი დიდი დარტყმაა მათთვის და სომხები ისე  
მოითხოვენ ლონდონის კონფერენციაზე თურქული ვილაიეტების  
კვლავ უკან დაბრუნებასო და სხვა ამგვარად. არა აქვს სწორი ცნო-  
ბები და იბნევა ამოცანებში. აშენებს სხვა და სხვა მოსაზრებებს.  
ძალიან განერვიანებულია, როგორც ყველა ჩვენ. ვახლა და მოეშვა.

## 25 თებერვალი.

დღეს ჩვენთან საუბრედ იყო იტალიელი ფაგო თავისი თანაშემ-  
წით. ხვალ მიემგზავრებიან და მოვიდნენ გამოსამშვიდობებლად.  
ალბათ. მოწყენილობა გვექნება. ჩვენთან ხშირად იყვნენ და მაინც  
ევროპელები არიან. დაგვიპირდნენ ჩვენ კონსულს და ხელისუფალთ  
ვეტყვიო. საჭიროების შემთხვევაში ოქვენ დაგვხმარონო. მათთან  
ერთად უნდა წასულიყო ერთი ამერიკელი ჟურნალისტი. ეს კაცი  
ხამდელი ბაეშვია. დასეირნობს აქ თავისი სპარსელი თარჯიმანთ,  
მაგრამ დარჩა. რადგან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ქემალ-ფაშას  
ნახვა. ფაგომ მოაწყო პურის საქმე, რომლისათვის იგი აქ მოვიდა და  
კიდევ რაღაც, რაზედაც იგი არ ლაპარაკობს.

ს. მდივანს სურდა დღეს ენახა ქემალ-ფაშა. ტელეფონი არ  
მუშაობს. დღეს გავაკეთებთ, თორემ პარასკევი უქმეა და ტელეფო-  
ნისტები წესიერი არ არიან.

წაველი ქემალ-ფაშას ბინაზე, მოველაპარაკო ქემალ-ფაშას  
ადიუტანტს პაემანის შესახებ. ქემალს ისევ ეძინა. ორ საათზე უნდა  
გავალიდო, რადგან სხდომიდან დილის 5 საათზე დაბრუნდო. სა-  
ერთოდ აქ, მგონია მუშაობა იწყება ღამის 12 საათზე და შემდეგ,  
დღისი 12 საათზე ვერავის ნახავს კაცი. ადიუტანტი დამპირდა, ქე-  
მალის ვაილიძებს თუ არა, შეგატყობინებ პასუხსო.

დღეს ნასადილევს გენერალი ერისთავი სასეირნოდ გავიდა.  
სოსტს იქით აღარ გაუშვებს. გუშაგებად იყვნენ ქართველი მუსულ-  
მანები. მოსთხოვეს ქალაღი. ჩვენი პასპორტები საგარეო სამინის-  
ტროშია. ჩვენ არა ერთჯერ ვითხოვეთ. რაიმე მოწმობა, რათა ასეთი

შემთხვევა თავიდან ავიცილოთ. მაგრამ არ იქნა და არ. — ვერ მივიღეთ ქემალ-ფაშა დღეს ვერ ინახულა ს. მდივანმა. მან გადასწყვიტა წასულიყო ფინანსთა მინისტრთან. რომელიც ქართველობის დილა მოყვარულია. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს. შეითანხმდით დროის შესახებ. ხუთ საათზე ს. მდივანი და მე წავედით. ძალიან კარგად დაგვიხდინენ. იქ იყო მისი მეუღლე. ასე 35 წლის ქალი, ევროპიულად ჩაცმული და კარგი მეფრანგული. საშინელი მანქანა. კიდევ არის რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ოთხი-ოთხის რედაქტორი. საერთოდ აქ ეხლა ორი გაზეთია — მთავრობისა და კიდევ ერთი, ვერ გავარჩიე სახელი, რომელიც ჩვენ ყოველთვის გვლანძღავს. დავლიეთ ჩაი. აუარებელი ტკბილეულობაა. თურმე თურქებს ჰქონიათ თქმა — ჰკუა ფრანგისა, სილამაზე ქართველი ქალისა, და სიდიადე ოტომანებისა (თურქთა). ჩაის დროს მოვიდა იზირ ფაშა თავისი ადიუტანტით. რამდენიმე თვის უკან იგი გამოუგზავნია კონსტანტინოპოლის მთავრობას ანგორაში რაღაც საკითხებზე მოსალაპარაკებლად. მერმე უკან აღარ გაუწვივიათ მგონია. ეტყობა კმაყოფილია. ალბათ, უხარია თავისი მდგომარეობა. უნდა იყოს 50 წლისა. საშუალო ტანის, ძალიან სქელი. ეშმაკური შეხედულების. ოსუნჯობს. ეროვნებით იგი აფხაზია. ფრანგულად კარგად ლაპარაკობს. მას ეპოლეტები არა აქვს. ეგუება. ალბათ, ახალ ამბებს. მის ადიუტანტს აქვს ეპოლეტები. თავის დროზე მონაწილეობას ობეჟლობნა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადებაში ბოლშევიკებთან.

სტუქმრების წასვლის შემდეგ ს. მდივანი შოროვა საქმიან საუბარს. მას სურს ქემალ-ფაშამ გაუგზავნოს ნ. ყორდანიას დეპუტატი, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს. ამაზე უპასუხეს, ასეთი დეპუტის გავგზავნა არ შეუძლიათ, ვინაიდან ბოლშევიკებთან კავშირში დამყოფიბითო. მაგრამ ს. მდივანი უნდა მოილაპარაკოს თვითონ ქემალ-ფაშას. მინისტრმა აღგვიტყვა, თვითონ მოილაპარაკები ამ საკითხის შესახებო. თუ არ გვატყუებს. იგი ამბობს, ს. მდივანის უკანასკნელმა ნოტამ, რომლითაც პროტესტია გამოთქმული. ცუდი შთაბეჭდილება მოახდინაო. და ამ შთაბეჭდილების მიტად გაფართოებას შეეცადა კიდევ მუხთარ-ბეი, რომ საქმე გამოსწორდეს. მან გვიჩნია, რამდენჯერმე მიღით ქემალთან და შეეცადეთ მას შეუთანხმდეთო. უნდა უთხრათო, თუ ისინი ართმევენ საქართველოს ამ ორ ოლქს, რათა აღასრულონ ნება ხალხისა, ქართველებიც, რომელნიც უთმობენ ამ ორ ოლქს. მოვალენი არიან განაცხადონ პროტესტი, რათა თავისი ხალხის წინაშე თავი გაიმართლონ. ჩვენ არაერთარი საერთო არა გვაქვს ანტანტასთან. მაგრამ თუ თურქეთი მხარს არ დაგვიჭერს, ამით იგი ჩვენ გვიბიძგებს ინგლისისა და საფრანგეთის ხელში-თქო. ს. მდივანი მას ყველაფერში ეთანხმება და პირდება, ხვალეე წავალ ქემალთანო.



ჩვენ კი ს. მდივანმა გვითხრა. ინგლისელები არავითარ როლს არ თამაშობენ. არის მხოლოდ ერთი — სტოქსიო. და დაუმატა. უნდა ვაჩვენოთ ქემალს. ვითომ საჩარტველო ძალიან სუსტია და ქემალი. ვითომ. ყველაფერს გააკეთებსო.

დღეს ლონდონიდან დევიშაა. კონსტანტინოპოლის მთავრობის წარმომადგენელმა ლონდონის კონტორენციისზე თითქო განაცხადა. თურქეთში მხოლოდ ერთი მთავრობაა და ეს ანგორისაო. ანგორასთვის ეს განცხადება უეჭველად არსებითია.

## 26 თებერვალი.

დღეს ს. მდივანმა გაუგზავნა საბახტარიშვიოს დეპეშა შემდეგი შინაარსით — ანატოლიის სააგენტო აჭიკყინებს. — ფეფზი-ფაშამ დასმულ საკითხზე უპასუხა. არდაგანი და ართვინი დაკავებულ იქმნა ოფიციალურად ჩვენი ჯარების მიერ. რაც ბათუმს შეეხება. ფეფზი-ფაშამ განაცხადა. ზავი ვერ კიდევ არაა ჩამოგდებული საჩარტველოსთან და ჩვენ ვართ მასთან კოოპერირებული ზავის მოგომარეობაშიო. ზავის დადების შემდეგ ჩვენ მივმართავთ პლებისციტს ამ ქალაქშიო.

დღეს 1 საათზე მოვიდა ჩვენთან სადარბაზოდ ჩიმალ-ფაშა. გზაზე ყოველანაირად იცხენოსანი მილიციონერები. ქემალ-ფაშა დარჩა ჩვენთან დაახლოებით ერთი საათი. იცხა იგი ს. მდივანთან და გენერალ ერისთავთან კაბინეტში. იმუხბარი თა მე იესაუბრებოდით მის ალიოტანტს. ანჩაბაძეს. იგი მეტად სიმპატიური ახალგაზრდაა, ასე 27 წლის.

ჩიმალ-ფაშამ აღბათ. თაამეცა ს. მდივანი. რაოდენ იგი კმაყოფილი დარჩა. საერთოდ ქემალ-ფაშას ჩვენთან მოსვლა კარგი ნიშანია. ჩიმალს უთქვამს სე. მდივანსათვის: არადაწიში ვარი არ შეგვიყვანია, არამედ დემონსტრაციითა მარტო თა ვაჩივებთ განცხადება შემკვირდაო. არ იცი. როგორ შეიუთხანხმო ამას თურქი-ფაშას განცხადება. აღბათ. მთ არ შეჰყავთ იქ ჯარები. რაოდენ არა ჰყავთ საკმაო ძალი ამ რაიონში. რაც შეიხება ართვინის რაიონს. მათ არამც თუ ვარი არ შეიყვანიათ იქ. არამედ არც ადმინისტრაციით. ის მოხდა იმიტომ, რომ გზები არაა და ამის გამო დაუგვიანდათ. სე. მდივანი თქვით, ართვინის საიხთხი მოგვარდობაო შემოვიანირად — ანგორის მთავრობამ დაათმო საზოგადოებრივ აზრს. ანუ უთბო სწორით, ერთი-ნული ყრილობის იმ პარტიას. რომელიც მომხრე იყო ამ ოლქების ანექსიისა და თურქეთთან შეერთებისა. ართვინში არ შეჰყავთ თავისი ადმინისტრაციითა უგზოობისა გამო თა ამ მხარეს დანაგებენ ადგილობრივი ორგანიზაციები და კომიტეტები როცა აქედან არაფერი გამოუვათ. ამ რაიონს ისე ჩვენ დაგვიტომბენო. ასე იქნება თუ არა. ჩემი აზრით. ძალიან საეშოა.

ქემალ ფაშა. მგონია. არასასიამოვნოდ იყო გაკვირვებული სე.

მდივანის ნოტიო. სვ. მდივანმა მას უბასუხა: თუ თურქეთში არსებობს საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს, რატომ ფიქრობთ, რომ საქართველოში ასეთი არ არსებობსო? ქემალი მას დაეთანხმა.

ქემალ ფაშას ნახვის შემდეგ, სვ. მდივანი ფიქრობს, ჩვენი საქმეები არ გამოკეთდებაო და სურს პარასკევისათვის ვილაც-ვილაცეები დაპატიოს.

რაც შეეხება ართვინს, თუ ახლა არ დაგვიბრუნდება, ეს მაინც მოხდება მერმე, რადგან ართვინი რამდენიმე თვით უგზოობის გამო მოწყვეტილია თურქეთს, და ისეთ ბლოკადას მოეუწყობთ, არ შევიტანთ საქართველოდან იქ არავითარ საქონელსა და სურსათს და ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე მოისურვებენ ჩვენ დაგვიბრუნონო. გენერალ ერისთავის აზრით, არდაგანისა და ართვინის დაკარგვა საქართველოსათვის დიდი უბედურება არ არის. ეს ოლქები არავითარ შემოსავალს არ იძლევიან და ზემეტყველ უნდა დაახარჯონ კიდეც. არდაგანის ოლქის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არაქართული წარმოშობისა არის და იქაური ქართველებიც ქართულს აღარ ლაპარაკობენ, თავის თავს თურქებად სთვლიან და ჩვენთან საერთო არაფერი სურთო. ასე რომ ამ მხრივ სატირალი არაფერიაო.

სვიმონ მდივანი მოგვიყვანა: ბათუმში ბეჰირ-სამი-ბეიმ მიმედ-ბეგ აბაშიძეს უთხრა: აჭარლებმა არ წარუდგინოთ ახლა საქართველოს განსაკუთრებული მოთხოვნანი, იყავით წყნარად და ამით თქვენ მოუტანთ მას მხოლოდ სარგებლობასო. ჩიენებს კი ურჩია: დაპირდით აჭარლებს ავტონომია, თუმცა, ამის ღირსი არ არიანო, რათა წყნარად იყვნენ და ზიანი არ მოგაყენონო.

საერთოდ, ბეჰირ-ბეის სწორად ესმოდა, მგონია, ამიერკავკასიის მდგომარეობა და იმ ვიწრო პოლიტიკას არ მისიძევდა, რომელსაც აქ, ანგორაში, მომხრეები ჰყაენ მთავრობაში და პარლამენტში.

ოლეგანოვლ ბიულეტენში გაზეთიდან „თან“ 23 თებერალისა, ბეჰირ-ამი-ბეიმ განაცხადა: — ბოლშევიზმი თურქეთში შეუძლოდელია, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება თურქთა რელიგიას და მთელ ცხოვრებასო.

ქართულ ჯარების მთავარსარდალად დაუნიშნაით კინიტაძე, სარტერესოა ვიცოდეთ, რამ გამოიწვია ეს, ყოველ შემთხვევაში ამით ჩვენ, ღმერთმა ჩნას, მხოლოდ მოივებთ.

ტელიგრაფი აქ ძალიან ცუდად მოუშაობს. საშინელი ქარების გამო მათოლოები სწყობენ და ირთმანეთში იხლოართება საშინლოდ. მათ გახსნაზე და გასწორებაზე დიდი დრო სჭირდებათ. ეს ჩვენ ურთიერთობასა და კავშირს საქართველოსთან ხელს უშლის. სადამოზი ტელიგრაფი ამოუადა. წაიღინენ იქ ჰუმბაძი და ემოხვარი. თამის ორ საათზე დაბრუნდნენ და მოგვიტანის სამწუხარო ამბავი. ემოხვარი ოთახში არ შემოვიდა, შვიკოთხე, მიპასუხა: დღეშიაში სწერია: ქართული ჯარები მათთვის წარმატებით ბრძოლების შემდეგ, რაც დღემდე გაგრძელდა, იძულებული გახდნენ ცოცხალი ძალების შესა-

ნახად, 25-ის დილით თბილისი რაიკოეგებიანთ. ბოლშევიკები შე-  
ნიდნენ ქალაქში (25 თებერვალს) საღამოს. მთავრობა გადავიდა  
გორს, უცხო სახილმწიფოთა წარმომადგენლები კი — ქუთაისს.  
ჯარს, რომლის განწყობილობა შესანიშნავია, მცხეთასთან უკავია  
პოზიციები. კონ. საბახტაროვილი სთხოვს სიმიონ მდივანს: კვლავ  
ინახულოს ქემალ-ფაშა და მოაგონოს მას, რომ საქართველოს და-  
ცემით თურქეთს უახლოვდება საშიშროებაო. ამ ბრძოლაში ჩვენ  
სრულიად მარტოდ ვართ. ჩვენი გადაჩენა მხოლოდ ინგლისს შეუძ-  
ლიათ. ჩიჩერინმა გაუგზავნა ნოტა, რუსეთმა საქართველოს მთელი  
ტერიტორია უნდა დაიკავოს.

27 თებერვალი, 1921 წ.

დილით სე. მთიანმა ტელეფონით სთხოვა ქემალ-ფაშას პაიმანი.  
ქემალმა გამოუგზავნა მდივანს ავტომობილი: მთიანმა მეც თან წა-  
მიყვანა. ქემალმა მიიღო კიანში ბეისაგან დიპლომა. ჩართული ჯარები  
იძულებული გახდნენ თბილისი რაიკოეგებიანთ. მათ (ბოლშევიკებ-  
მა) მოუარეს მარცხენა თრთისანო. თუმცა, ის ძალიან ძნელი იყო.  
მაგრამ ჩართელებმა შესძლეს გაეხიდათ თბილისიდან მთელი სამ-  
ხირო მასალაო. ჩართულ ჯარებს უკაოთ პოზიციები მცხეთასა და  
თბილისს შუა. ჯარის განწყობილობა მშვენიერია. ბათუმს მოვიდა გე-  
გეჟორი და მოიტანა სამხედრო მასალა. გამოცხადდა მობილიზაცია  
40 წლამდე. დაწყოლოთ აიარაობენ გეგეჟორის მიერ მოტანილი  
იარაოთ. ბოლშევიკები შივიტინი თბილისში. გაგრის ფრონტზე  
ქართოლებს უკაოთ პოზიციები ბზიდზო.

ქემალ-ფაშამ თქვა, სანამ არ გათავდება ლონდონის კონტარენ-  
ცია თა არ გამოთრკვივა თურქეთის მოგომარობა. არათერი შემიძ-  
ლია გააკეთო. მაგრამ მინც ახლავი მიკვიმ ბრძინბას ჩვენ ჯარებს,  
დაკავებული იქმნას პირველი სარკინიგზო სადგოროო (ბაქოს გზაზე).  
ამას გართა. გათავაენით იმისრიბს აზირბაიჯანშიო.

ამ ლაზარას მე არ თავსწრიბივარ თა ის გათავე გმუხვარისაგან.  
რომლის თინდასწრიბით გათავაენა თიბეშა გორს. სე. მთიანი თი-  
ბრბს. ახლა გათავებულია ბოლშევიკების საქმე კავკასიაში. მათ  
დაპარტგს ახლა აზირბაიჯანი და ჩრდილო კავკასიაყო. მისი აზრით,  
ახლა მათ უნდა უკავთონ ხელსაყროო წოთს, რათა მოახტინონ ათა-  
ტრილობა. როგორც სომხეთშიო. სხათა შორის, ომამდისაც, ამბობ-  
და იგი, ბოლშევიკებმა სათრბხემ ჩავიარა თა ბოლშევიკში საქარ-  
თილოში არ იქნებოთ. საერთოდ იგი თავის თავს ცოტა იმინალომ-  
მთიება ხლომი. ქემალისაგან წავიღოთ ტოლიგრაფიე. შეიუგრთდით  
გორს. & საბახტაროვილი დაწერს. მოგომარობა უკავოელიათ. გა-  
თავაენოთ საიდუმლო დიპლომა. სანამ გორთან შეთავაერთებდნენ ს.  
მთიანი წავიდა თინანსთა მინისტრ თირიდ-ბისთან. რაზე ილაპარა-  
კის არ იციე. მანამ შეთავაოთ მიუომაროთ. საბახტაროვილისათვის  
გაგზავნიოთ დიპლომა. ეცნობებენა, თუ რა თასშია ხელსაყრელი პუ-  
რის მიღება საქართველოსთვის. აღბათ, ს. მდივანმა მოავგარა პურის



საქმე. პასუხს არ მოვუცადეთ, ვინაიდან დასჭირდება რამდენიმე საათი. წავედით შინ.

როგორც იქნა, მოგვიტანეს დღეს მაგიდები, რომელიც საგარეო სამინისტრომ ჩვენთვის დაუკვეთა. ტელეფონი ჯერ კიდევ არ არის, ვითომ საწერი მაგიდებია. რალაც საშინელია! ნასადილევს წავედით ისევ ტელეგრაფზე: ვაგვიგო. მოვიდა თუ არა პასუხი. დავრჩით იქ რვის ნახევრამდე. მაგრამ ამაოდ. მათული გაფუჭებულია ერზერუმსა და ყარსს შორის. სალამოს ს. მდივანი გვიყვება თბილისში ხან-ხოისკის მოკვლის შესახებ. როცა ხან-ხოისკი მოკლეს, ხან-მამედოვი, იქვე, მსუბუქად დაიჭრაო. მკვლელთა მოძებნისათვის ლორთქიფანიძე შეაქთანა ხან-მამედოვს, რომ იგი ყოველდღიურად გამოვიდოდა სახლიდან განსაზღვრულ დროზე. ის დიჭრობდა ხან-მამედოვი სახლიდან გამოდიოდა, მას თვალყურს ადევნებდნენ განსაკუთრებული რაზმის წევრები. მეორე დღეს უკვე შენიშნეს, რომ მას აედევნა ვიღაც სამი ახალგაზრდა. მიუგზავნეს მას ერთი თავისი აგენტი და გამოარკიეს, თავდასმა მოხდება ამა და ამ დღეს ყაიხანაშიო, სადაც ხან-მამედოვი ყოველდღე იარებოდა. იმ დღეს მივიდა ყაიხანაში არა ხან-მამედოვი, არამედ ლორთქიფანიძე და დააპატიმრა ეს სამი ახალგაზრდა ისე, რომ არავის ამის შესახებ არაფერი გაუგია. მათი დააპატიმრების შესახებ სრული საიდუმლოება იყო დაცული. კომისარიატში მიაყარეს შეკითხვები, ხომ არა იცით რა, რა დაემართა ამა და ამ პირებსო. კომისარიატი უპასუხებდა, არაფერი არ ვიცით, ისინი დაჭრილი არ არიან და საერთოდ მათ შესახებ უფიცი ვართო. ისინი აღმოჩნდნენ სომეხი სტუდენტები, დაშნაკცუტინის პარტიის წევრები. ეხლა საჭირო იყო რაიმე საბუთი. პარტიის ამ მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. მიუგზავნეს პარტიას ერთი განცხადებით, მე ვიცი სად იმყოფებიან ისინი: ისინი თათრებმა დაჭრეს და დამალული ჰყავთ ერთ ადგილზეო. პოლიციას არ გაეხუცხადოთ, ეს საქმეს ვერ უშველის და მათ კი მოჰკლავენო. დეი პარტიამ მისწეროს მათ წერილი და მე მათ გადავცემო. გადასცეს ეს წერილი სტუდენტებს. მათ უპასუხეს და წერილით დაწვრილებით აუხსნეს, თუ როგორ ჩავარდნენ და სად იმყოფებიან. წერილი დაწერილი იყო შეცვლილი ხელით. როცა ნახეს, აქიდან არაფერი გამოვიდა, უნდოდან დაეწერინებინათ კიდევ ერთი წერილი და მათ უთხრეს. მშობლები ღელავენ და მისწერეთ წერილიო. მათ დასწერეს მეორეთ. მაგრამ ახლა სხვა ხელით. თუ საქმეს სასამართლოს გადასცემდნენ. აქედანაც არაფერი გამოვიდოდა. რადგან პირდაპირი საბუთი ვერ იშოვნეს და მთავრობამ გადასწყვიტა აღარ გადაეცა საქმე სასამართლოსათვის. ამ მკვლელობის საქმეში ჩარეულნი იყვნენ აგრეთვე დამფუძნებელი კრების დაშნაკცუტინის პარტიის ზოგი წევრი. რამიშვილმა დაიბარა მათი პარტიის კომიტეტი და უთხრა სომეხებს: მე ვიცი ხან-ხოისკის მოკვლა თქვენი მოწყობილიაო. კომიტეტის წევრებმა პროტესტი განაცხადეს. მაგრამ რამიშვილმა მათ ყველაფერი უთხრა. ისინი დაიბნენ. შემდეგ რამიშვილმა უთხრა მათ:

პირდაპირი საბუთი არა მაქვს, მაგრამ ირიბული კი ბევრიო. მთავრობას არ სურს გაამწვავოს ეროვნული მტრობა. ამიტომ ამ საქმეს არ გადაცემთ სასამართლოს. მკვლელობის ჩამდენი იმ საღამოსვე დაიჭირეს. ერთი სომეხი სტუდენტია, რომელსაც გასდიეს. მკვლელობის ადგილიდან იგი თეატრში წავიდა, სადაც იმყოფებოდა მკვლელობის ხუთი წუთის შემდეგ. მგონია მის წინააღმდეგ არ იყო პირდაპირი საბუთი და იგი მალე გამოუშვეს.

კიაზიმ-ბეის დეპეშაში ნათქვამია: სომხეთში დაშნაკები შეუერთდნენ სომეხ კომუნისტებს და ისინი ერთად ებრძვიან (რუს) ბოლშევიკებსო. სვ. მდივანძა და ჭუმბაძემ მაშინვე გამოიცვალეს აზრი სომხების შესახებ. რამდენიმე დღის უკან ისინი გაიძახოდნენ, ჩვენ სომხებმა გამოგვიცხადეს ომი, ამოსაწყვეტი ხალხია; ეს ერია, რომელიც თავის თავის დაღუპვას თვითონვე ეძებსო. ახლა კი ქებადღიდებას ასხამენ სომხებს; ისინი ძალიან ენერგიული და ცოცხალი ერია და უნდა ჩამოვანჩროთ ის ქართველი პოეტები ნმ წლებისა, რომლებიც თესავდნენ განხეთქილებას ამ ორ ხალხს შორისო. და ამბობდნენ: სომხებმა იციან მარტო არშინი და მეტი არაფერი, თოფი თუ საიდახ ისვრის, ამისი არა გაეგებათ რაო. საერთოდ, სვ. მდივანი და არისტო ჭუმბაძე თითოეული ცნობის მიხედვით იცვლიან თავის შეხედულებას. პოლიტიკაში მეტისმეტად მგრძნობიარე არიან.

28 თებერვალი, 1921 წ.

დღის 9 საათიდან დღის სამ საათამდე ვმორიგეობდით ტელეგრაფში და ვუცდიდით პასუხს სვიმონ მდივანის მიერ გუშინ გაგზავნილ დეპეშაზე. მოგვიტანეს საიდუმლო დეპეშა, რომლითაც საბატარიშვილი გვაცნობებს, მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელი არისო. ბოლშევიკებმა კახეთზე გადმოსვლისას ააოხრეს ქართული და თათრული სოფლები (ალბათ, ძალიან გადაჭარბებულია) თბილისში ხელისუფლება სომხებისა და რუსი შოხელების ხელშია; ქართველები გარბიან ქალაქიდან; ბოლშევიკების მოქმედებამ სავსებით გაამწარა ქართველი ხალხი, რომელიც უკანასკნელ საშუალებამდე იბრძოლებს. ანტანტა იარაღს გვაძლევს და ითხოვით: თურქებმა მოგვცენ იგი ყარსიდანო. როგორც კი ეს დეპეშა მივიღეთ, სვ. მდივანს სურდა დაუყოვნებლივ ქემალ-ფაშა ენახა მოსალაპარაკებლად. წავიდა ჟანდარმერიის პოსტზე, რომელიც ჩვენს საწლთან ახლოს არის (ჩვენ ხომ ქალაქის განაპირას ვცხოვრობთ), რათა იქიდან ტელეფონით დაურეკოს, რადგან ჩვენ უფლება არა გვაქვს. ქემალ-ფაშამ უპასუხა: ძალიან დაკავებული ვარ და დღეს ვერ შეგხვდებითო. ხვალ დილით შეგვატყობინებს, თუ როდის მიიღებს. სვ. მდივანი ფიქრობს, ახლა საქართველოს აქვს კიდევ იარაღი, მაგრამ ზრუნავენ მომავალზე, ვინაიდან ყარსიდან იარაღს ორ თვეზე ადრე ვერ მიიღებენო. ყველა ცუდ გუნებაზეა. დღევანდელ ბიულეტენში დაბეჭდილია პროტესტი ბერძნებისა, მათ არ სურთ შეუერთდნენ



სომხებს, ისინი სავსებით თურქებთან დაკავშირებული არიან. არაა რაიმე საფუძველი სხვა. ეს პროტესტი შედგენილია 26 თებერვალს. რამდენიმე ხნის წინად ასეთივე პროტესტი განაცხადეს ტრაპეზონდის ბერძენებმაც. ბერძენებისათვის მართლა არაა ხელსაყრელი, თუ ეს მხარე სომხებს შეუერთდა, ვინაიდან სომხები მათ ვაჭრობაში დიდ მეტოქეობას გაუწევენ და მეორე მხრივ ეს პროტესტები, ალბათ, თურქების მიერ ჩაწყობილია. როგორც არ უხდა იყოს, თურქები ამით მხოლოდ სარგებლობენ ლონდონის კონფერენციაზე.

## 1 მ ა რ ტ ი.

12 საათზე კიდევ დავრეკეთ ქემალ-ფაშასთან, გავგეგო, თუ როდის შეუძლია მას ს. მდივნის მიღება. ადიუტანტმა გვიპასუხა, ქემალ-ფაშას ესლა არ შეუძლია მიღება, რადგან ძალიან დაკავებულია. ხოლო, როცა განათვისუფლდება, დაგინიშნავთ დროსო.

მდივანმა გადაწყვიტა, თურქები რალაცას გვიმზადებენო. უწინ მისი ასეთი სიტყვები და მოსაზრებანი ნერვებზე მოქმედებდა და მალეღებდნენ. ესლა კი მივეჩვიე და ყურადღებას აღარ ვაქციე. ჩვეხთან ისაუბრეს ლაზისტახის დეპუტატებმა ოსმან-ბეიმ და ნაილ-ბეიმ. ოსმან-ბეი საკმაოდ კარგად ლაპარაკობს რუსულად. მან მოგვითხრო. აბდულ-სუფი, რომელიც ერზერუმში დაატუსაღეს, ტრაპეზუნდიდან გადავასახლეთ ტუაპსეშიო. გავაგზავნეთ მოტორიანი ნავით. ნავი დაიღუპა. ჩვენი ბრალი ხომ არ არის — ზამთარია და მღელვარე ზღვაა. მერე არავითარი ცნობა არა გვაქვს. შეიძლება, მატროსები — კარგი მცურავნი, გადარჩნენ. ოსმან-ბეი გვიყვება, თუ როგორ დაიწყო ეროვნული მოძრაობა (ქემალისტური). პირველად ყოვლისა ტრაპეზუნდის ვილაეთში დაარსდა კომიტეტები. 20 მაისს 1919 წელს ტრაპეზუნდში შეიკრიბა ამ ადგილობრივ კომიტეტთა ყრილობა. ამ ყრილობაზე ოსმან-ბეიმ გამოთქვა აზრი, ამ საქმისათვის საკმაოდ არაა მარტო ტრაპეზუნდის ვილაეთი და ამიტომ უხდა მივმართოთ და მოვიხმართ აღმოსავლეთის ვილაეთები, როგორც ყველაზე უფრო საიმედო. გადაწყვიტეთ მოგვეწვია ისინი ერზერუმში 25 ივლისისთვის, სხვების იმედი არა გვქონდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ანატოლიაში მუსტაფა ქემალ-ფაშა, რომელიც გამოეგზავნათ აქ ჯარების საინსპექციოდ. მუსტაფა-ქემალს ვავაცანით აქაური განწყობილება და მდგომარეობა. მან სულთანს დეპეშა გაუგზავნა, გავდივარ სამსახურიდან და ვრჩები აქვე, ანატოლიაში სახალხო საქმის დასაცავადო. ამ დეპეშამ აღამალა იგი აქაურების თვალში და იგი არჩიული იქნა ერზერუმის ყრილობის თავმჯდომარედ; აქედან იწყება მისი აღმავლობა. ერზერუმის ყრილობამ მიიღო დეპეშები არა მარტო დასავლეთი ანატოლიის ვილაეთებიდან, არამედ სხვა ადგილებიდანაც, მაგალითად, ადრიანოპოლიდან, რომ მათაც სურთ შეუერთდნენ ყრილობასო. მაშინვე დანიშნეს ახალი ყრილობა სივასში აგვისტოსათვის. იქ გამოცხადდნენ წარმომადგენლები კიდევ ახალი კუთხეებისა, ხოლო აღმოსავლეთის ვილაი-



თებიდან იქ იყო მხოლოდ პრეზიდენტი, ვინაიდან პროგრამა ერზერუმში გამოიშუშავდა. გვაგზავნებთ ქემალი, რადგან ვიცოდით, იგი ეხვერ-ფაშას მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ ხომ შეიძლება ყოფილიყო ეხვერის წინააღმდეგი და ამავე დროს კარგი პატრიოტი!

დღევანდელ ბიულეტენში დაბეჭდილია; ბექირ-სამი-ბეიმ განაცხადა ლოსდონის კონფერენციაზე, რომ აღმოსავლეთით თურქეთს სურს ჰქონდეს საზღვრები სომხეთის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად. ართვინისა და არდაგანის ოლქების შესახებ ლაპარაკი არ არის. ამას გარდა იუწყებიან, სომხურ დაშნაკებსა და საბჭოთა ჯარებს შორის 26 თებერვალს მოხდა ბრძოლა ერევნის ახლოს, კემერლიშიო. სომხები დაძარცვდნენ და ბოლშევიკებმა დაიკავეს რამდენიმე სოფელიო. პარტიკიან შემდეგ ცნობაა: ქართულ-საბჭოთარი ომი. 25 თებერვალი, 1921 წ. პარიზი. ჰავასი. — ომი გრძელდება ბომჯალისთან (ბორჩალო) ქართველებსა და სომხებს შორის. ახალი ცხოვების მიხედვით თბილისიდან, ქართველებმა მოიგეს ბრძოლა. ქართველებს დავა აქვთ სომხებთანო.

ხასადილევს წავედი ფოსტაში საბახტარიშვილისათვის გორს დეპეშის გასაგზავნად. სვ. მდივანი სთხოვს მას: დაუყოვნებლივ მოგვცეს პასუხი ჩვენს საიდუმლო დეპეშაზე და შეგვატყობინოს ფრობტის მდგომარეობის შესახებ. ფოსტაში მოხელემ მითხრა სრულიად მალულად: მოვიდა ცნობა, ქართულმა ჯარებმა დაიკავესო გავრა. მივიღეთ საბახტარიშვილისაგან დეპეშა, რომლითაც ის მდივანს ატყობინებს: სხვა გზა არა გვაქვს და ვადაეციო საბჭოთა რუსეთის მახდავერ წარმომადგენელს: თუ ბოლშევიკებმა მიმართეს ტერორს ქართველების მიმართ, მაშინ ჩვენ მეტი გზა არა დაგვრჩენია რა, ავიღე ზომები მივიღოთ იმ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენს ხელთ იმყოფებიანო. ეს დეპეშა გამოგზავნილია ხაშურიდან. რამე აიძულა მთავრობა გადასულიყო ხაშურს? შეიძლება გორში არ იყო ბინები, რადგან ამ ერთი წლის წინად მიწისძვრამ ქალაქი ძალზე დაანგრია. ან იქებ, ჩვენმა ჯარებმა კიდევ უკან დაიხიეს? მაშინ ეს დეპეშა გამოგზავნილია გავლით. რადგან თუ უკან დაიხიეს, ჩვენ ჯარებს შეუძლიათ შეჩერება მხოლოდ უღელტეხილზე. ხაშურის იქით. (სვ. მდივანის ძმა, ბუღუ მდივანი იყო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლად ანგორაში). ქარცივაძე რამოდენიმეჯერ იყო მდივნის დავალებით ბუღუსთან (ბუღუ მდივანთან). მერმე მდივანმა ამ მოლაპარაკების შედეგად ჩვენს სამინისტროში საიდუმლო დეპეშა გავგზავნა. რას ეხებოდა ეს მოლაპარაკება, არ ვიცი. მის შესახებ არაფერს ამბობენ და ფარავენ. ქარცივაძე დღეს, ოფიციალურად მიდის ბახარზე ცნობების შესაკრებად. აღმოჩნდა, ქემალ-ფაშამ ს. მდივანი ვერ მიიღო, რადგან პარლამენტში წარმოსთქვამს სიტყვას მიმდინარე საკითხის შესახებ და ამისთვის ემზადება. ს. მდივანმა მიიღო საიდუმლო დეპეშა. იქ ნათქვამია, ბოლშევიკებმა შემოტყვევის დროს განადგურეს ქართული და თათრული სოფლებიო. 10 საათზე ქემალ-ფაშამ შეგვატყობინა, ახლავე მოვალ ბ-ნ მდივანთანო. მოვემზადეთ.

მას ზემოთ შევხვდეთ. ვფიქრობთ, იგი მოდის ან ძალიან კარგად ან ძალიან ცუდი ამბავით.

ქემალ-ფაშა მოვიდა იზმეთ-ფაშასთან და აღიუტანტ ანჯაფარიძესთან ერთად. ქემალმა გვითხრა, მოვიყვანე იზმეთ, როგორც საქართველოს საუკეთესო მეგობარიო. მან სთქვა, ჩვენ გავუზღავნეთ ჩიჩერინს დეპეშა, რომლითაც სხვათა შორის, შევეკითხეთ, რატომ უტყვევენ საქართველოს რუსული ჯარებითო. თურქეთს ეხლა არაფერის ვაკეთება არ შეუძლია აზერბაიჯანში, სახამ ჩვენი ჯარები აღსტაფას არ დაიკავენბენო, მოწინავე რაზმები უკვე გავიდნენო. ს. მდივანმა უთხრა, მივიღე დეპეშა, რომლითაც მეკითხებიან, შეუძლია თუ არა თურქეთს მოგვეცეს იარაღი. ამას გარდა საქართველოში შემოჭრილი ბოლშევიკები აწიოკებენ ქართულ და თათრულ სოფლებსო. იარაღის შესახებ ქემალმა აღუთქვა, დღესვე გავგზავნი დეპეშას ტრაპეზუნდში და გავიგებ, არის იქ რაიმე იარაღი თუ არაო. რაც შეეება თათრული სოფლების აწიოკებას, ამის შესახებ ზვალეე დასწეროთ ოფიციალური ქაღალდი. ეს ჩვენთვის კარგი საბაბი იქნება ჩვენი ჯარები დავძრათო. საერთოდ ისე დასძრავენ თავის ჯარებს იმ საბაბით, რომ რუსულ-ქართული ომის დროს შეიძლება მუსულმანები დაზიანდნენო: იზმეთ-ფაშამ ითხოვა აეხსნათ მისთვის ბრძოლათა მიმდინარეობა და როცა გაიგო თბილისი დასტოვესო, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჯარებმა იქ ბოლშევიკები დაამარცხესო, სთქვა, ქართულ სარდლობას რაღაც შეცდომა ჩაუდენიაო. ს. მდივანი ისე კმაყოფილი იყო ქემალის სტუმრობით, რომ ბრძანა შამპანური მიერთმიათ.

## 2 მ ა რ ტ ი .

გენერალი ერისთავი იყო შტაბში იზმეთ-ფაშასთან და მოიტანა შემდეგი ცნობა — ტრაპეზუნდში იარაღი არ აღმოჩნდა, მაგრამ მიუღიათ ოფიციალური ცნობა, კონსტანტინოპოლში გემს ტვირთავენ საქართველოსთვისო. თურქების ჯარების ერთი რაზმი უკვე გადავიდა აღსტაფის დასაკავენბლად. თურქული კონტრშპიონაჟის ცნობით, რუსული მეთერთმეტე არმიის დასახმარებლად მისულა მეცხრე, და ამით აიხსნება, ნაწილობრივ, ჩვენი ჯარების უკანდახვევაო. იზმეთ-ფაშას ეუშინია ჩვენმა ჯარებმა მცხეთა არ დატოვონ, თორემ ამ შემთხვევაში ყველაფერი გართულდებაო. გენერალმა ერისთავმა ამ საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, თითქო, მათ (თურქებს) სურთ გულწრფელად მოგვეხმარონ, მაგრამ ეუშინიათ ჩვენ თვითონ არ გავაფუჭოთ საქმე და ამით ისინი სულელურ და მძიმე მდგომარეობაში არ ჩავყენოთო. წავედი ტელეგრაფზე. გაუზღავნე დეპეშა საბახტარიშვილს, აღნიშნული ცნობით. ჩვენი მთავრობისათვის ეხლა ძალიან ძნელია ევროპასთან კავშირი, ვინაიდან თბილისის რადიოსადგური უკვე დაკავებულია. სურთ ჩვენით ისარგებლონ, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ჩვენი ევროპული მისიების შიფრები. ჩვენ არ გვაქვს თვით კონსტანტინოპოლში ჩვენი გენერალური კონსულის

შიფრი, რადგან მავთული კვლავ გაფუჭებულია, იძულებული ვაგზდით გვეცადა ტელეგრაფზე სამიდან ცხრა საათამდე. დეპეშა არ წასულა. მავთული გაწყვეტილია ყარსს და არდაგანს შორის. დაგვიბრდნენ ხვალ დილით უთუოდ გავაკეთებთო. ბოლშევიკებისადმი ნოტა ტერორის შესახებ ვეინდოდა გავვეგზავნა თურქული საგარეო საბინისტროს საშუალებით. მუხთარ-ბეიმ, რომელმაც ამ ნოტის შინაარსი არ იცოდა, იკითხა კანცელარიის მმართველ იკმეთ-ბეის პირით, ხომ არაა ეს სახავო წინადადება და სურს თუ არა საქართველოს ამ საქმეში თურქეთის შუაგაცობაო. გენერალმა ერისთავმა დღეს უთხრა იზმეთ-ფაშას: როგორც ჩანს, ინგლისი ორმაგ როლს თამაშობს და სურს საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ აუციცილებლად დაიმორჩილოსო. თურქეთისათვის ეს სრულებით გამოსადეგი არ იქნება — „რადგან კავკასიაში დამკვიდრდება ინგლისური გავლენა და თუ თურქეთს სწადია ეს თავიდან აიცილოს, თვითონ უნდა დაეხმაროს საქართველოსო“. იზმეთ-ფაშამ უთხრა კიდევ გენერალ ერისთავს: ქართველებმა ააფეთქესო დარიალის ხიდი.

რვა საათზე მივიღეთ დეპეშა კონსტანტინე საბახტარიშვილისაგან შემდეგი შინაარსისა: ბოლშევიკები გზაზე ძარცვავენ მოსახლეობას, ართმევენ მას ოთხფეხა საქონელს, რაც თან მიყავთ, ანადგურებენ ყველაფერს გზა და გზა; შეუძლებელია აღწერა იმისა, რასაც ისინი სჩადიან. შეწუხებული და შეშინებული გლეხები სოფლებიდან გარბიან და აწყობენ რაზმებს ბარბაროსებთან საბრძოლველადო. ფრონტის მდგომარეობა უცვლელია.

მეორე საიღუმლო ნაწერით — გეგეჰკორი მოვიდა და მარტო დაპირებები მოიტანაო. ინგლისი სავსებით გულგრილად გვიყურებს; საფრანგეთი გვეხმარება. მისი ფლოტი დგას ვაგრასთან. გვიპირდებიან სულ ახლო მომავალში იარაღი მოგვაწოდონ. ყოველი შემთხვევისათვის ვამაგრებთ პოზიციებს სურამში. ვაგრის ფრონტზე ჩვენები დგანან ბზიფხეო. საერთოდ, ჩვენი სამინისტრო უფრო ცუდად ვგაძლევს ცნობებს, ვიდრე აქაური ხელისუფლება.

3 მარტი, 1921 წ.

დილის 11 საათიდან ტელეგრაფაში ვარ. ორის ნახევარზე ყარსმა შეგვატყობინა, სვ. მდივანის დეპეშა ქუთაისმა მიიღო. სადილობისას ტელეგრაფიდან გვაცნობეს, ქუთაისს სურს თქვენთან ლაპარაკო. მაგრამ ყარსის იქით მავთული გაწყდა და არაფერი გამოვიდა. არ ვიცით, მთავრობა რატომ გადავიდა ქუთაისს; ან იქნებ იგი ჯერ ისევ ხაშურშია, და ქუთაისი იძლევა ცნობებს ყარსში ზეკარის უღელტეხილით! იქ ძველად იყო ხაზი და იქნებ ახლა გაასწორეს! დღევანდელ გაზეთში ცნობაა, ბოლშევიკებმა დაიკავესო სოხუმი. საერთოდ ძნელია ამ ამბებში გარკვევა. ამავე გაზეთში ცნობაა კიდევ: უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ბათუმს გადავიდნენო. თურმე, ოტომანის ბანკის დირექტორი ბ. ტაუბერი საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტებს ფრანგულად რედაქციას უკეთებს. ყოველ შემთხვევაში ასე ამბობს ჭუმბაძე, რომელმაც დღეს ნახა იგი საგარეო სამინისტროში. სვ. მდივანის ნოტის რედაქცია მან გააკეთაო.

4 მარტი, 1921 წ.

ს. მდივანი ჩივის, ჩვენი სამინისტროსაგან ცნობები არ არისო. ანგორა, მგონია, არის ერთადერთი ადგილი, საიდანაც შეიძლება ევროპასთან კავშირი და საბახტარიშვილი სთხოვს სვ. მდივანს. ვადასცეს ცნობები ევროპაში. მაგრამ იგი ჩვენ თვითონ რომ არაფერს გვატყობინებს?! ჩვენ დღემდე არ ვიცით, თუ რატომ მიატოვეს თბილისი. სვ. მდივანი, რომელსაც ამ ბოლო დროს ნერვები საშინლად აეწეწა, ამბობს, თუ ჩვენი საქმე ძალიან ცუდაა, აუ მიჩვევნიათ დროებით დაუთმო ბათუმი თურქეთს, ვიდრე იქ ბოლშევიკები შემოვლენ.

დღეს ქალაქში შეგხვდი ერთ აზერბაიჯანელს. მასთან ერთად წავედი მეჩეთისაკენ. მედრესში. მის კედელზე არის მარმარილოს დაფა და მოაჩირი ლათინური და ბერძნული წარწერით. იქვეა კარები და ფეული რომაული კედლის ნაშთი. კედელი ახლოს ვერ დავათვალიერეთ, რადგან კარები დაკეტილი იყო და ვერავის გავაგონეთ ხმა. აზერბაიჯანელი თავის ამბავს მიყვება: მე მოვედიო ანგორაში ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, მაშინ როცა ქემალ-ფაშა დადიოდა პროვინციებში და აჯერებდა ხალხს ხელი მოეკიდათ ეროვნული აღორძინების საქმისათვის. აქ მან შეკრიბა უხუცესნი რჩეულნი; ოცდაათიდან მოვიდა ჩვიდმეტი. ქემალმა მათ უთხრა შეძლები: ფული ჩვენ არა გვაქვს, არაფერი ჩვენ არა გვაქვს, გვაქვს მხოლოდ რწმენა და ამ რწმენით ჩვენ წავალთო. უხუცესნი რომ დაიშალნენ, ამბობდნენ: ვილაც გიყიაო. თვითონვე ამბობს, არაფერი მაქვსო გარდა რწმენისა და მოგვიწოდებს კი ბრძოლისაკენო. მხოლოდ ახლა მიხვდნენ ისინი, რომ ქემალი მართალი იყო და შეიძლება ერთი რწმენით გამარჯვებო. დასაწყისში მთელი ქვეყანა სავსე იყო ავაზაკებით და ახლა კი სრული სიმშვიდეა და შესანიშნავი წესრიგიო.

დღეს პარასკევია და ქუჩაში ბევრი ხალხია. ქემალ-ფაშა შევიდა სახალხო ყავახანაში და მიირთვა ტკბილეულობა. ამას, რასაკვირველია, ჩადის იგი განსაზღვრული მიზნით.

ქარცივაძემ დღეს შეიარა ბოლშევიკების საელჩოში და მოიტანა ცნობა თითქოს ომის დასაწყისში მათ მხარეზე გადასულიყოს ჩვენი მეხუთე და მეშვიდე ბატალიონი, თითქოს საქართველოში ხალხი ცუდ გუნებაზეა, თითქოს იწყება ბოლშევიკური განწყობილება, რომ ფილიპე მახარაძე დანიშნულია თბილისში რეკომადო. დამის ათ საათზე ჭუმბაძე, ემუხვარი და მე წავედით ტელეგრაფში. გავაგზავნეთ დეპეშა სვ. მდივანისა საბახტარიშვილისათვის. ამ დეპეშაში ნათქვამი იყო: სვ. მდივანი გაგზავნის ცნობებს ევროპაში სტეფანის სააგენტოს საშუალებით; მაგრამ თქვენ თვითონ უნდა მოგვაწოდოთ ეს ცნობებიო.

აქაურ გაზეთებში მოთავსებულია ცნობა, თითქოს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი გადავიდნენ ბათუმს. მართალია, ეს თუ არა და ბოლოს ბოლშევიკები არაფერს აქვეყნებენ თბილისის დაკავების შესახებო. ტელეგრაფში მოგვცეს ახლახან მიღებული ოიპე-

შა გეგეჭკორიდან. ხაშურიდან. იქ ეწერა: სარდლის ბრძანებით ჩვენი ჯარები დაიხვეწნო სურამისაკენ. მდგომარეობა შეძლება გამოიცვალოს. ჯარისა და ხალხის განწყობილება კარგია. რასაკვირველია, ჩვენ მარტო არ შეგვიძლია მოსკოვს ვებრძოლოთ; დაე ძლივასმა გაახსენოს ეს მანდაურებსაო.

ეს დეპეშა სამი მარტისაა. მდივანი ძალიან კმაყოფილია. ასე გასაგებად არის ყველაფერი ნათქვამი; ჩანს გეგეჭკორი მობრუნებულა. ყოველ შემთხვევაში აწი გარკვეული მაინც ვიქნებითო.

გავგზავნეთ სვ. მდივანის დეპეშა და სალამოს 3 საათამდე დავრჩით ტელეგრაფზე პასუხის მოლოდინში; მოვეწყვეთ შინაურულად. ტელეგრაფის საპარატოოში იატაკზე დაწვა ჩემი მეეტლე. ჭუმბაძეს და ემუხვარს მორიგი მოხელის ოთახში, სკამზე ეძინათ. მე დავწეპი ძველი დეპეშებით გატენილ ტომრებზე და გადავიხურე ნაბადი. ღამის სამ საათამდე ვერავითარი პასუხი ვერ მივიღეთ და დავბრუნდით შინ. აზერბაიჯანელი ამბობს — აქ მიღებულია ცნობები, უმთავრესად რუსები და სომხები გარბიან საქართველოდან ბათუმის გზით, სადაც ქართული ბონები სამნახევარჯერ დაეცა ფასითო. თურქული ლირა ღირდა 3,200 მანეთი და ახლა ღირსო 12 000 მან. დღეს ოფიციალურად „ხაკიეთი მილეთი“ არის ცნობა, უნტეროფიცერ ლუკა მელაშვილს აღმოუჩინეს ყალბი 25 — ლირიანი ქაღალდის ფული და ხდება გამოძიება, საიდან მიიღო მან ეს ფული. სვ. მდივანი უკმაყოფილოა ასეთი ამბავით. ჩვენ ასეთი საქმეებს ბოლშევიკებს ვუშვრებოდით, რათა მათთვის სახელი ვავეტეხა საზოგადოების თვალში, მაგრამ თურქებმა ეს არ უნდა გვექნანო. ფრანგების მიმართ, რომლებთანაც ჩვენ მეგობრულ განწყობილებაში ვიყავით, ასეთ რამეს როგორ გავაკეთებდითო! თუ თურქები ჩვენდამი მართლა მეგობრულად არიან განწყობილი ეს არ უნდა ჩაიდინონო. ამ ამბავის გამო ჭუმბაძე იყო საგარეო სამინისტროში და გენერალი ერისთავი პრესის ბიუროში. გვთხოვეს ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთო, — ეს ისე დაიბეჭდაო. დღეს, როგორც იქნა, დავგვიბრუნეს ჩვენი პასპორტები.

დღეს ქემალ-ფაშამ მიიღო ბუდუ მდივანი. ჩვენი სვიმონ მდივანი (იმა მისი) ფიქრობს: თურქებმა უკვე გამოარკვეეს თავისი პოლიტიკა ევროპისა და რუსეთის მიმართ და ახლა შეუძლიათ მდივანს გარკვეული პასუხი მისცენო. სანამ ეს მდგომარეობა გამორკვეული არ იყო, ქემალ-ფაშას არ სურდა მდივანის მიღება და ამიტომ აცდევინა ამდენ ხანსო. აზერბაიჯანელი ამბობს კიდევ: აქ ცნობაა, პეტროგრადში მოხდა აჯანყება ბოლშევიკების ხელისუფლების წინააღმდეგ და ქალაქი მუშათა ხელში იმყოფებაო.

### 5 მ ა რ ტ ი.

დღევანდელ ბიულეტენში სამი მარტის ცნობაა: ფრანგულმა და ინგლისურმა ფლოტმა სოხუმს ესროლეს. მთავრობა ბათუმს გადავიდაო. სამ საათზე გენერალი ერისთავი და ემუხვარი წავიდნენ სამხედრო სკოლის დასათვალისწინებლად. ვერ წავყევი, რადგან მდივან-

თან ერთად წავედი საგარეო სამინისტროში, მინისტრ მუხთარ-ბეისთან. სკოლა მათ ძლიერ მოსწონებიათ, საუბეხოო წესრიგია და საქმე კარგად აქვთ დაყენებული. დღეს აქაური საგარეო სამინისტროს საშუალებით გავუზავხვებით ნოტა ბოლშევიკურ მისიას საქართველოში ტერორის შესახებ.

6 მარტი, 1921 წ.

დღეს გვეწვია საგარეო სამინისტროს დირექტორი იქმეთ-ბეი და გვაგრძობიბა, რომ გენერალ ერისთავის წასვლა კონსტანტინოპოლს მათთვის სასიამოვნო არ იქნებაო, რადგან მას შეუძლია აქაური ამბები იქ გაამხილოს. გენერალი უნდა წასულიყო, რათა იარაღის გაზავება კონსტანტინოპოლიდან ბათუმისაკენ უნდა დაეჩქარებინა და ჰქონოდა აგრეთვე სხვა საქმეებიც ინფორმაციისა და სხვ.

დღეს სვ. მდივანი იყო ფინანსთა მინისტრთან. მან უთხრა მდივანს, ჩვენი ცნობით, ქართველებმა დაახვეწინეს ბოლშევიკებს გაგრასთან, აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა მტკიცეა, სომხეთში ხელისუფლება ისევ დაშინავენ და დაიპყრეს, რომლებმაც ყველა ფრონტზე დაამარცხესო ბოლშევიკები. 26 თებერვალს თვითონ დაამარცხდნენ და ახლა ისევ ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლებაო. ჩვენ არა გვაქვსო ცნობები, ქართველებმა დაიბიეს მცხეთიდან თუ არა.

სალამოს ექვს საათზე ემუხვარი და მე წავედით ფოსტაში, გეგე-ქორისათვის დეპეშის გასაგზავნად, ხაშურს. დეპეშამ მიალწია მხოლოდ ყარსამდე. იქით უკვე მავთული გაფუჭებულია. ტელეგრაფში აგზავნიდნენ ბოლშევიკური მისიის დეპეშას. შოიტანა იგი თურქმა. მისივე სიტყვით, იგი ბოლშევიკი გახდა და ახლა მოვიდა აქ ბოლშევიკურ მისიასთან ერთად. ტელეგრაფის მოხელენი კი ამბობენ: იგი თურქეთის ოფიცერია სამსახურში და იმყოფება ბოლშევიკების მილიასთან საკავშიროდო. ეს თურქი ამბობდა: ბოლშევიკები ეომებიან საქართველოს. მათ დაიკავეს თბილისი ხალხისა და მუშების მოწვევით, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ მთავრობითო. მოსახლეობა და მუშები დარჩნენ თბილისში და მიესალმნენ ბოლშევიკების მოსვლასო. რევკომი ელიავა არის და არა მახარაძეო. თბილისში იყო აღლუმი. მერმე თქვა, ქართველებს ეომებიან არა რუსები, არამედ სომხები და აზერბაიჯანელებიო. და მერმე ასეთი რამ თქვა — საქართველოს არაფერი არ შეუძლია რუსეთის წინააღმდეგო. საქართველომ მიიწვია ინგლისი დასახმარებლად და თუ ინგლისი დაეხმარა შეიძლება რუსეთმა ველარაფერი ქმნას, როგორც ეს პოლონეთში მოხდაო. ახლა ბრძოლაა ინგლისსა და რუსეთს შორისო. როცა ემუხვარმა მას უთხრა: ჩვენ გვაქვს უფლება ვითხოვოთ დახმარება, სადაც ჩვენ გვსურს, რადგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, და ჩვენ თავს დაგვესხნენო, მან ღიმილით უპასუხა: ბოლშევიკები მივიდნენ იქ თვით ქართველების მიწვევით და არავითარი განსხვავება ქართველებს და რუსებს შორის არ არსებობსო.



კვამის სტრინგები



ვრეკენ იულია

მოქმედი პირნი:

ფრეკენ იულია, 25 წლის

უანი, ლაქია, 30 წლის

კრისტინა, მზარეული 35 წლის

მოქმედება მიმდინარეობს გრაფის სამზარეულოში ითანე ნათლისმცემლის ღამეს.

დიდი სამზარეულოს გვერდითა კედლები და ჰერი დაფარულია ფარდებით. სამზარეულოს უკანა კედელი მარჯვნიდან მარცხნივ ირიბად კვეთს სცენას. ამ კედელზე მარჯვენა მხარესვე ორი თარო ჰქვია, რომლებზეც სპილენძის, რკინისა და თუთიის ჭურჭელი აწყვია. თაროების კედლები ქალაქის არსებობითაა გაწყობილი. ცოტა მოშორებით მარცხნივ, დიდი თაღოვანი შემოსასვლელის ნაწილია. შემოსასვლელს შემინული ორი კარი აქვს, საიდანაც ამერიკის შადრევანი, აყვავებული იასამნის ბუჩქი და ალვის შრამულები ჩანს.

მარცხნივ დიდი შორეკეცის ღუმელის კუთხე და კვამლსადენის ნაწილია. მარჯვნივ სამზარეულოს დიდი, თეთრი ფიქვის მაგიდის ბოლო და რამდენიმე სკამია.

ღუმელზე არყის ხის ტოტებია მოფენილი, ვაჭაჭე — ღვიისა.

მაგიდის ბოლოში იასამნის ყვავილებიანი დიდი იპონური ლარნაკი დგას.

ჩანს საყინულე, ჭურჭლის სარეცხი პატარა მაგიდა, წყლის ბაქანი.

კარის თავზე დიდი ძველებური საათი ჰქვია, კარის მარცხენა მხარეს ტელეფონის ყურბილი.

კრისტინა ღუმელის მარცხნივ დგას და რალკის წიგნს ტაფაზე. ღია ფერის ჩითის კაბა ღიცია და წინსაფარი უყვითა.

შემინული კარიდან შემოდის ეანი, ლივრეა აცვია, მხედრის დეზებიანი ერთი წყვილი ჩექმა შემოაქვს და სცენის უკანა მხარეს, გამოსაჩენ ადგილას იატაკზე დებს.

უანი. ფრეკენ იულია ისევ გაგიჟდა. მთლად გაგიჟდა.

კრისტინა. აჰ, შენ უკვე დაბრუნდი?

უანი. გრაფი სადგურში მივაცილე და უკან გამობრუნებულმა არდგმულში შევიარე, ვიფიქრე, წავიცავებ-მეთქი. ვხედავ, ფრეკენი მეთქვევსთან ციკვავს. თვითონაც შემამჩნია, მომვარდა და ვალსის საცეკვაოდ გამოიწვია. მერედა როგორ ციკვავდა! ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მინახავს. ღმერთმანი, გიჟია!

კრისტინა. რა გასაკვირია, ყოველთვის ასეთი არ იყო? თუმცა, ბოლო ორი კვირა, მას შემდეგ, რაც ქორწილი ჩაიშალა, მაგრად აურია.

უანი. კი, მაგრამ განა რა მოხდა? ის უმარტივო ხომ კარგი კაცია, თუმცა მდიდარი არაა. ისე, ამათ დიდი უცნაურობანი სჭირთ! (მაგიდის ბოლოში ჭდებია.) მიუხედავად ამისა, მეტად საკვირველია, რომ ფრეკენი შინამოსამახურებთან დარჩა და მამას ნათესავებში არ გაპყვა.

კრისტინა. ალბათ, რცხენია საქმროსთან გადახდენილი ამბის შემდეგ.

უანი. შეიძლება! მაგრამ საქმრო მინც კარგი უმარტივო ყოფილა. იცი, რა ამბავი დატრიალდა მაშინ? მე ყველაფერი დავინახე, მათ კი ვერ შემამჩნიეს.

კრისტინა. როგორ, ყველაფერი დაინახე?

უანი. მაშ! იმ საღამოს ფრეკენი და მისი საქმრო თავლაში იყვნენ და ფრეკენი, როგორც თვითონ უყვარს თქმა, საქმროს „ავარჯიშებდა“. მერედა იცი, რას უშვრებოდა? აიძულებდა, ფინიასავით გადახტომოდა შოლტს. საქმრო ორჯერ გადაახტა შოლტს, ფრეკენმაც ორჯერე დააპტა შოლტი, მესამეჯერ კი საქმრომ გადახტომა ალარ ინება, ფრეკენს შოლტი გამოგლიჯა, დაამტვრია და იქაურობას გაეცალა.

ქრისტიანა, მართლა ასე იყო მი-  
თხარი, თუ ღმერთი გწამს!

უანი. ჰო, ასე იყო! აბა, ახლა რით  
გამიხსენებდები?

ქრისტიანა. (შემწვარი ტაფიდან  
თეფშზე გადმოაქვს და წინ უდებს უანს.)  
აბა, ცოტა თირკმელებია, შემწვარ ხბოს  
მოვაკერი.

უანი. (საქმელს ყნოსავს.) დიდებუ-  
ლია! ჩემი საყვარელი საქმელია! (ხელს  
ახებს თეფშს.) მაგრამ კარგი იქნებოდა,  
თეფში გაგეთბო.

ქრისტიანა. ო, შენ გრაფზე უფ-  
რო პირველი ხარ. (თმას სიყვარულით  
უჩეჩავს).

უანი. (მწყურალად) აბ, ასე ნუ მქა-  
ჩავ. ხომ იცი, რა მგრძნობიარე ვარ.

ქრისტიანა. კარგი, კარგი, მე ხომ  
სიყვარულით გიჩეჩავ! (უანი უამას იწყებს.  
ქრისტიანა ლუდის ბოთლს ხსნის).

უანი. იოანეს დამეს ლუდი ვის  
გაუგონია! არა ბატონო, უღრმესი მად-  
ლობა. მე უკეთესი რამ მომძებრება (მა-  
გიდის უკრას ადებს და წითელი ღვი-  
ნით სავსე ბოთლი გამოაქვს. ბოთლს ყვი-  
რული თავი აქვს) ხედავ, ყვითელთავია-  
ნია: აბა, ქიქა მომეცი! მაღალფეხიანი,  
რომლითაც შუმი ღვიწხოს სვამენ.

ქრისტიანა. (ისევ ღუმელთან მი-  
დის და ზედ პატარა ქებას დგამს). ღმერ-  
თანა მოთმინება მისცეს, ვინაც შენის-  
თანა ქმარი შეხვდება! შენისთანა ჯუღღუ-  
ნა!

უანი. აბა, გეყოფა ლაქლაქი! ძა-  
ლიანაც გაგიხარებოდა ჩემისთანა ბი-  
ჭის ხელში ჩაგდება, და არა მგონია, დი-  
დი რამე გაკლდებოდეს იმის გამო, რომ  
შენს საქმროს შეძახიან! (ღუნოს სინ-  
ჯავს). დიდებული ღვინოა, ოღონდ ცოტა  
ცივია. (ქიქას ხელებით ათბობს.) დი-  
ვროში ვიყიდეთ, ლიტრში უბოთლოდ  
ოთხი ფრანკი მივეციო, თანაც ბაყი გა-  
დავიხადეთ! ნეტა, რას ხარშავ მანდ? სა-  
შინელი მურალი სუნი დადგა!

ქრისტიანა. ოჰ, ათასნაირ ნებს.  
ფრეკენ იულიამ მიბრძანა, დიანას მოუმ-  
წადლო.

უანი. ცოტა უფრო თავაწიანად ილა-  
პარაკე, ქრისტიანა. კი, მაგრამ დღესას-  
წაულის წინადღეს ფეხზე რატომ უნდა  
იდგე და ძუქნას სალაფავს უმზალებდე?  
აეაღ ხომ არაა!

ქრისტიანა. ჰო, ავადაა. ეზოს ქოფაკ-  
თან გაიპარა და უწესოდ იქცეოდა — ამ-  
ძუნებულაია, ფრეკენს კი არაფრის გა-  
გონება არ უნდა.

უანი. ფრეკენი ზოგჯერ მეტისმე-  
ტად ამაჟია, ზოგჯერ კი სიამაყის ნატამა-  
ლი არ გააჩნია, მთლად განსვენებულ  
გრაფწინას ჰგავს. გრაფინია კი თავს ყვე-  
ლაზე უკეთ სამწარეულოში და თავლაში  
გრძნობდა, სამაგიეროდ ნიადაგ წყვილ-  
ცხენა ეტლით დადიოდა, ქუჩუყიანი სამა-  
ჭეები ეკეთა, ხოლო საკინძებზე აუცი-  
ლებლად გრაფის გვირგვინები ჰქონდა.  
ფრეკენი, სიტყვამ მოიტანა და, თავს ყუ-  
რადღებას მაინცდამაინც არ აქცევს. აი,  
ახლა, არდგულში ანას მერყევე გამოს-  
ტაცა და აიძულა მასთან ეცეკვა. ჩვენ  
ხომ ასეთ რამეს არასდროს ვკადრებთ!  
როცა ბატონები უბრალოობას იგუნებ-  
ბენ, მაშინ ნამეტანი უბრალონი ხდები-  
ან! მაგრამ რა აღნაგია ფრეკენი! პირუ-  
პირ საოცრებაა! რა მხრები აქვს! და  
სხვა და სხვა!

ქრისტიანა. ჰო, კარგი ახლა! ვი-  
ცი, რასაც კლარა ლაპარაკობს... ის ხომ  
ფრეკენს ჩაცმაში ეხმარება.

უანი. ოჰ! კლარა! თქვენ, ყველას  
ნიადაგ ერთმანეთის გშურთ. მე აკი ფრე-  
კენთან ერთად ცხენით დავდიოდი... ცეკ-  
ვითაც როგორ ცეკვავს!

ქრისტიანა. უან ერთი მითხარი,  
ჩემთან იცეკვებ, როცა ქაპურობის მი-  
ლაგებას მოვრჩები?

უანი. რა თქმა უნა.

ქრისტიანა. აღმიოქვამ?

უანი. აღგიოქვამ? როცა ვამობო,  
ამას და ამას ვიწამ-მეთქი; ვასრულებ კი-

დევა. აბა, ახლა ძალიან დიდი მადლობა ვაზმშობათვის. ჩინებულად გამოიასპინძლდი! (ბოთლს საცობს ახურავს).

იულია. (კარბში დგას და გარეთ იძახის). ახლავე დავბრუნდები! მოითმინეთ! (ქანი ბოთლს მაგიდის უკრაში ინახავს და მოწიწებით დგება. იულია ღუმელთან მდგარ კრისტიანასთან მიდის.) რაო, მზადაა? (კრისტიანა ანიშნებს, ქანი აქ არისო).

ქანი. (თავაზიანად). ბანოვანებს, ალბათ, საიდუმლო აქვთ, არა?

იულია. (ქანს სახეზე ცხვირსახოცი გაჰკრა). თქვენ ძალიან ცნობისმოყვარე ხართ!

ქანი. აჰ, იაიების რა საამო სუნი შეცა!

იულია (კეკლუცად). უსინდისო! იცნ სუნამოების ფასი! ცეკვაც ეხერხება, ჩემკენ გამოხედვა არ გაბედოთ! დაიკარგეთ აქედან! (მიდის მაგიდასთან).

ქანი. (ცოცხლად, მაგრამ თავაზიანად). ბანოვანები ჭადოსნურ სასმელს ხომ არ ამზადებენ იოანეს ღამისთვის? და ხომ არ დავებმარება ეს სასმელი, ვარსკვლავების მიხედვით მომავალი გამოვიცნოთ, ანდა საბედო დავინახოთ?

იულია. საბედოს დასანახავად მახვილი თვალებია საქირო. (კრისტიანას.) ეს ბოთლში ჩაასხი და თავი კარგად დაუცავი. ახლა კი ჩემთან ერთად ეკოსეზი იცეკვეთ, ქან.

ქანი. (დაყოვნებით). არ მინდა უზრდელობაში ჩამომერთვას, მაგრამ ეკოსეზის ცეკვას კრისტიანას დავპირდი...

იულია. ო, კრისტიანა სხვას იპოვის, არა, კრისტიანა? არ გინდა ქანი დამითმო?

კრისტიანა. ეს განა ჩემზეა დამოკიდებული. რაკი ფრეკენი ასე გულმოდგინდაა, უარი არ უნდა უთხრა, ქან. გაყვივი და მადლობა მოახსენე პატივისათვის.

ქანი. ფრეკენ, არ მინდა შეურაცხყოფა მოგაუენოთ, მაგრამ გულახდილად

გითხრათ, ვფიქრობ, თქვენი მხრივ წინ. დაუხედაობაა ერთ კავალერთან ზედი. ზედ ორჯერ ცეკვა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რა კორიკები არიან ადამიანები...

იულია. (ფიცხად). რას ნიშნავს ეს? რა კორებზე მელაპარაკებით? რისი თქმა გინდათ?

ქანი. (თვითნებურად). თუ ფრეკენს არ ნებავს გამოგოს, იძულებული ვიქნები, უფრო ნათლად მოვახსენო სათქმელი. ხალხზე მთლად კარგ შთაბეჭდილებას არ ახდენს ის, რომ ერთ თქვენს მსახურთაგანს გამოარჩევთ სხვებისგან, რომლებიც ასეთივე პატივს მოელიან.

იულია. გამოვარჩევ! ეს რამ გაფიქრებინათ! პირდაპირ გაცეცხული ვარ! როცა მე, სახლის დიასახლისს, თავად მსურს ცეკვა და ჩემი მსახურების ცეკვებს ვესწრები, რითაც მათ პატივს ვდებ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ვირჩევ იმას, ვინც ეს საქმე კარგად იცის და სასაცილოდ არ გამხდის.

ქანი. როგორც მიბრძანებთ, ფრეკენ, ისე მოვიქცევი, მიმსახურეთ!

იულია. (მშვიდად). ბრძანებას დაეხსენით! ამ საღამოს ჩვენ ყველამ წოდებების მიუხედავად, როგორც თანასწორებმა, ისე უნდა ვიმხიარულოთ! გამომიწოდეთ ხელი. მშვიდად იყავი, კრისტიანა, საქმროს არ წაგართმევ! (ქანი ფრეკენს ხელს უწვდის და გაჰყავს).

(მუჩურტი ცეკვა ისე უნდა შესრულდეს, თითქოს მსახიობი მართლა მარტოა. თუ საქირო იქნება, მსახიობი მაცურებლებისკენ ზურგით შებრუნდება, ოღონდ დარბაზს არ გახედავს. ასევე არ უნდა იჩქაროს იმის შიშით, რომ პუბლიკას მოთმინება გამოეღევა.

შორიდან ვიოლინოს სუსტი ხმა ისმის. ვიოლინოზე ეკოსეზს უკრავენ.

კრისტიანა მარტოა, მუსიკას ხმას აყოლებს, ალაგებს მაგიდას, რომელზეც ქანი ვახშობდა, თევშებს რეცხავს ქურჭლის სარეცხ მაგიდაზე, ამშრალავს და

კარადაში აწყობს. შემდეგ წინსაფარს იხსნის, მაგიდის უკრიდან პატარა სარკეს იღებს. მაგიდაზე დადგმულ ისამწებთან ლარნაკს აყრდნობს, სანთელს ანთებს, ალზე აცხელებს ჩხირს, რომლითაც შუბლზე თმას იხვევს. ამ საქმეს რომ შორჩება, შემინულ კართან მიდის და აყურადებს. შემდეგ ისევ მიდის მაგიდასთან, ზედ ფრეკენის დარჩენილ ცხვირსახოცს პოულობს, იღებს და ყნოსავს. ამის შემდეგ ფიჭობში იძირება და დაბნეულად შლის ცხვირსახოცს, ასწორებს, ოთხად კეცავს და ა შ.)

**უ ა ნ ი.** (მარტო ბრუნდება). არა, ღმერთმანი გიჟია! ასე ცეკვა გაგონილა! ხალხი კიდევ კარებში დგას და სასაცილოდ იღვებს! ჰა. შენ რას იტყვი ამაზე, კრისტინა?

**კ რ ის ტ ი ნ ა.** რა უნდა ვთქვა, თვითონი აქვს. მაგრამ ისედაც ყოველთვის უცნაურობა სჭირს, ახლა წამომყვები საცეკვაოდ?

**უ ა ნ ი.** შენ კი არ მიწყრები, რომ დაგტოვე?

**კ რ ის ტ ი ნ ა.** არა! სულაც არა. ხომ იცო, როგორი ვარ, ჩემი ადგილი არ მესტემა.

**უ ა ნ ი.** (წელზე ხელს ხვევს). ო, შენ საზრიალი ქალიშვილი ხარ, კრისტინა, შენგან დიდებული დიასახლისი დადგება.

**ი უ ლ ი ა.** (შემინულ კარებში შემოდის. სახეზე უსიამოვნო გაცემა, ნაძალადევი სიხალისე ეტყობა). თქვენ ის მომბიზღველი კვალერი ბრძანდებით, ვინც უცებ ტოვებს თავის ბანოვანს.

**უ ა ნ ი.** პირიქით, ფრეკენ, როგორც ხედავთ, ვიჩქარე, მიტოვებული ბანოვანი მომეძებნა.

**ი უ ლ ი ა.** (კილოს იცვლის). იცით, რომ თქვენსავით ვერავინ ცეკვავს! აჰ, დღესასწაულის წინ ლივრეა რად გაცივიათ? ახლავე გაიხადეთ!

**უ ა ნ ი.** მაშინ ფრეკენს უნდა ვთხოვო, წუთით დავტოვო, ვინაიდან ჩემი სერთუკი აქ ჰკიდია. (ანიშნებს მარჯვნივ და მიდის).

**ი უ ლ ი ა.** ჩემი თანდასწრებით სერთუკის ჩაცმა გრცხვენიათ! მაშ, თქვენს ოთახში წადით და მალე დაბრუნდით. თუმცა, შეგიძლიათ აქ დარჩეთ, მე შევტორიალდები!

**უ ა ნ ი.** თქვენის ნებართვით, ფრეკენ. (მიდის მარჯვნივ და სერთუკს იცეკვას).

**ი უ ლ ი ა.** (კრისტინას). ერთი მისმინე, კრისტინა. უანი მართლა შენი საქმროა, რაკი ასე ახლო ხართ ერთმანეთთან?

**კ რ ის ტ ი ნ ა.** საქმრო? რასაკვირველია! ჩვენ აგჩე ვამბობთ.

**ი უ ლ ი ა.** ამბობთ?

**კ რ ის ტ ი ნ ა.** ფრეკენსაც ხომ ჰყავდა საქმრო...

**ი უ ლ ი ა.** მერედა, ჩვენ ნამდვილად ვიყავით დანიშნულნი.

**კ რ ის ტ ი ნ ა.** და მაინც ამ საქმიდან არა გამოვიდა რა...

(შემოდის უანი. შავი სერთუკი აცვია და შავი შლაპა ახურავს).

**ი უ ლ ი ა.** რა კარგი ხართ, მუსიე უანი! რა კარგი!

**უ ა ნ ი.** მეზუმრებით, ქალბატონო! **ი უ ლ ი ა.** თქვენ ფრანგულად ლაპარაკობთ! სად ისწავლეთ?

**უ ა ნ ი.** შვეიცარიაში, როცა კელნერად ვმუშაობდი ლიუცერნის ერთ-ერთ სასტუმროში!

**ი უ ლ ი ა.** სერთუკში ნამდვილი ჭენტლმენი ხართ! დიდებულია! (ჭდება მაგიდასთან).

**უ ა ნ ი.** ო, მე თქვენ მეფერებით.

**ი უ ლ ი ა.** (შეურაცხყოფილია). გეფერებით? თქვენ?

**უ ა ნ ი.** თანდაყოლილი მოკრძალება ნებას არ მაძლევს დავიჭირო, რომ ჩემისთანა კაცს გულწრფელ ქათინაურებს



მეუბნებით, ამიტომაც თავს უფლება მი-  
ვიცი მეფიქრა, რომ აწვიადებთ, ანუ, რო-  
გორც იტყვიან, მეფერებით!

იულია. საღ ისწავლეთ ასეთი და-  
ლაგებული ლაპარაკი? ხშირად ხომ არ  
დადიოდით თეატრში?

ჟანი. რა თქმა უნდა! მე ბევრი აღ-  
გალი მაქვს მოვლილი.

იულია. კი, მაგრამ თქვენ ხომ აქ  
დაიბადეთ?

ჟანი. მამაჩემი აქაური ოლქის პრო-  
კურორის შიკრიკი იყო და ფრეკენი ჭერ  
კიდევ პატარა გოგონა მინახავს, თუმცა,  
იგი ურადლებას არ მაქცევდა.

იულია. მართლა?

ჟანი. დიახ. მესხიერებაში შემომ-  
არჩა ერთი ამბავი, მაგრამ არ შემიძლია  
მოვეყვი.

იულია. აჰ, არა! მოჰყევით. აბა!  
როგორც გამოხაკლისი.

ჟანი. არა, მართალი გითხრათ, ახ-  
ლა არ შემიძლია. სხვა დროს მოგიყვებით.

იულია. მე კი სწორედ ახლა მინ-  
და მომიყვეთ. განა ასეთი საშინელებაა?

ჟანი. საშინელება არაა, მაგრამ  
აჭობებს, მისი მოყოლა სხვა დროისთვის  
გადავდოთ. აბა, ერთი ამას შეხედეთ!  
(კრისტინაზე მიანიშნებს, რომელიც ღუ-  
მელთან სკამზე თვლემს).

იულია. მხიარული ცოლი კი გეყო-  
ლებათ! მგონი, ხვრინავს კიდევაც, არა?

ჟანი. არ ხვრინავს, მაგრამ ძილში  
კი ლაპარაკობს.

იულია. (ცინიკურად). მერედა რა  
იცით, რომ ძილში ლაპარაკობს?

ჟანი. (თავხედურად). თვითონ მო-  
მისმენია. (ღუმელი. ერთმანეთს აკვირდებ-  
იან).

იულია. რატომ არ დაჯდებით?

ჟანი. თქვენ რომ აქ ბრძანდებით,  
დაჯდომა მესამუშება.

იულია. თუ გიბრძანებთ?

ჟანი. მაშინ უნდა დაგემორჩილოთ.

იულია. დაჩქვით! მაგონი...  
დეთ! არ შეგიძლიათ, რამე დამალევი-  
ნოთ?

ჟანი. არ ვიცი, მოიძეება თუ არა  
რამე საყინულეში. მგონი, ლუდის მეტი  
არაფერია.

იულია. ამასაც არა უშავს რა! მე  
გემოვნება არ მივარგა, ღვინოს ლუდი  
მიჩვენია.

ჟანი. (საყინულედან ლუდის ბოთ-  
ლი გამოაქვს და ხსნის. შემდეგ კარადი-  
დან ჭიქას, ლანგარს იღებს და იულის-  
თან მიაქვს). ინებეთ!

იულია. გმადლობთ. თქვენ კი არ გნ-  
ბავთ?

ჟანი. ლუდი დიდად არ მიყვარს,  
მაგრამ თუ ფრეკენი მიბრძანებს...

იულია. გიბრძანებს? მე მგონი, რო-  
გორც თავაზიან კავალერს შეშვენის,  
თქვენი ბანოვანის სურვილს უნდა დამყ-  
ვეთ.

ჟანი. სწორია. (მეორე ბოთლს  
ხსნის და ჭიქას იღებს).

იულია. დალიეთ ჩემი სადღეგრძე-  
ლო! (ჯანი აყოვნებს.) რას ნიშნავს ეს?  
ვერ ბედავთ?

ჟანი. (ხუმრობით იჩიქებს და ჭი-  
ქას მალა სწევს). დღეგრძელი იყოს  
ჩემი მბრძანებელი!

იულია. ყოჩაღ! ახლა ფეხსაცმელ-  
ზე უნდა მაკოცოთ და ყველაფერი რიგ-  
ზე იქნება (ჯანი თავდაპირველად ყოყ-  
მანობს, შემდეგ თამამად ჰკიდებს ხელს  
მის ფეხს და აჩქარებით კოცნის.) ღი-  
დებულა! თქვენ მსახიობი უნდა ყო-  
ფილიყოვით.

ჟანი. (წამოდგება). ფრეკენ, ასე  
ალარ შეიძლება! უცებ ვიღაცები შე-  
მოვლენ და დავგინახავენ!

იულია. მერე რა?

ჟანი. წავლენ და უბედობას მოჰყ-  
ვებთან. ფრეკენმა რომ იცოდეს, რა ჭო-  
რებს ავრცელებენ, მაშინ...

იულია. მაინც რას ამბობენ? მო-  
მიყვით! დაჩქვით!



უანი (ჯდება). არ მინდოდა თქვენთვის საწყენი მეთქვა, მაგრამ ისინი ისე ლაპარაკობენ და ისეთ რამებს ფიქრობენ... ალბათ, თვითონ მოგესხნებათ! უკვე ბავშვი არა ხართ, ხოლო როცა მანდილოსანი დამით კაცთან მარტოა და სვამს, თუნდაც ის კაცი მსახური იყოს, მაშინ..

იულია. რა მაშინ? თანაც რატომ ვართ მარტონი. კრისტინა აქვეა.

უანი. ჰო, მაგრამ მას სძინავს.

იულია. მაშ, გავაღვიძებ. (დგება.) კრისტინა, გძინავს?

კრისტინა. (ძილში). ბლა-ბლა-ბლა-ბლა!

იულია. კრისტინა! ამ ძილისგულადს უყურეთ!

კრისტინა (ძილში). გრაფის ჩექნები გაწმინდილია, ყავა მოდულბეზულია, ახლავე, ახლავე. ო, ო!.. ფაჰუ.

იულია (კრისტინას ცხვირზე ჰკიდებს ხელს). გაიღვიძებ, თუ არა ბოლოს და ბოლოს?..

უანი (მკაცრად). არ შეიძლება მძინარის შეწუხება!

იულია (მკვახლად). რაო?!

უანი. ვინც მთელი დღე ღუმელთან დგას, უფლება აქვს საღამო ხანს დაჯლილი იყოს. ძილს კი პატივს უნდა ვცემოდეთ...

იულია (სხვა კილოთი). ეს კარგად მოიფიქრეთ და ღირსებას გმატებთ. გმადლობთ! (უანი ხელს უწვდის.) წამოდით ბაღში და ცოტა იასამანი დამიკრიფეთ! (კრისტინა ამ ლაპარაკის დროს დგება, ძილ-მღვიძარე მიდის მარცხნივ, სათა ლოგინში ჩაწვეს).

უანი. თქვენთან ერთად წამოვიდეთ?

იულია. ჩემთან ერთად!

უანი. შეუძლებელია! არაფრით არ შეიძლება!

იულია ვერ გამიგია, რა აზრები გიტრიალებთ თავში. რატომ გეჩვენებათ რალა-კრალაცემები?

უანი. მე არა, მაგრამ ხალხს — კი.

იულია. მაინც რა ეჩვენებათ? ლაქია შეუყვარდაო?

უანი. მე ეს არ მჭერა, მაგრამ იყო მაგალითები... ხალხს ხომ წმინდად არაფერი მიაჩნია.

იულია. თქვენ, მგონი, თავი არისტოკრატი გგონიათ!

უანი. ღიახ. ვარ კიდევაც არისტოკრატი.

იულია. ჰო, მე კი ვამჩნობინებ, უფრო დაბალ წრეში დავეშვა.

უანი. ნუ დაეშვებით, ფრეკენ. ყურად იღეთ ჩემი რჩევა! არავინ იფიქრებს, თითქოს თქვენი ნებით დაეშვიო, ყველა იტყვის, დამდაბლდაო.

იულია. \*მე თქვენზე უკეთესი აზრისა ვარ ხალხზე! წავიდეთ და გამოვცადოთ ხალხი! აბა, წავიდეთ! (უანი თვალებით უხმობს).

უანი. იცით, რომ ერთობ უცნაური ხართ!

იულია. შესაძლოა! მაგრამ თქვენც ასევე! თუმცა, ამქვეყნად ყველაფერი უცნაურია! ცხოვრება თუ აღამიანები სინბინძურება, რომელიც წყალში მანამ ტივტივებს, სანამ არ ჩაიძირება. მე რამდენჯერმე მინახავს ერთი და იგივე სიზმარი, რაზეც ახლა ხშირად ვფიქრობ. თითქოს მაღალ სვეტზე ვზივარ და ვერაფრით ვახერხებ ძირს ჩასვლას. რაწამს ქვემოთ ჩავიხედავ, თავბრუ მეხვევა. მინდა ჩავიღე და გამხედლობა არ მყოფნის, რომ ჩავხტე, თავს ვერ ვიმაგრებ, მინდა გადავხტე, მაგრამ ვერ ვხტები. იმავე დროს, ვგრძნობ, რომ მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ მიწაზე არ აღმოვჩნდები! შემდეგ, როგორც კი მიწას მივადწიე, უფრო ღრმად, მიწაში ჩასვლა მომიწდა... განგიცდიდათ ოდესმე ასეთი რამ?

უანი. არა. ჩვეულებრივად მესიზმრება, თითქოს უღრან ტყეში მაღალი ხის ძირას ვწევარ. მინდა მაღლა, ხის კენწეროზე ავიდე და მშით განათებულ შორეთს ვუტყვირო, დავანგრეო ჩიტის ბუდე, რომელშიც ოქროს კვერცხები

აწყვია. პოლა, აი, მიცოცავ, მიცოცავ, მაგრამ ზრო ერთობ მსხვილია, ერთობ სწორი და პირველი ტოტიც ერთობ მაღლა. ის კი ვიცი, რომ თუ პირველ ტოტს მივადწიე, ხეს ისე მოვექცევი კენწეროში, თითქოს ზედ კიბე მქონდეს მიდგმული. თუმცა ჭრჭერობით ვერ ავედი, ოდესმე მაინც ავალ, თუნდაც სიზმარში!

იულია. მე კიდევ აქ, თქვენთან ვდგავარ და ვუბეღობ. აბა, წავიდეთ! წავიდეთ ბაღში (ქანს ხელს უყრის. ორივე კარისკენ მიდიან).

უანი. ფრეკენ, სიზმრები რომ აგვიცხადდეს, იოანეს ღამეს დაგლეჯილ ცხრა სხვადასხვა სახის ბალახზე უნდა დავწვეთ. (კარებში ორივე ტრიალდება. უანი ხელით თვალს ისრესს).

იულია. მოდი, ჩაგხედავთ, რა ჩაგივარდათ თვალში.

უანი. არაფერი! მტვერია, ახლავე ამოვიწმენდ.

იულია. ალბათ ჩემი სახელო შეგეხობთ. ერთი დაჭექით, გიშველით. (ქანს ხელს ჰკიდებს და სვამს. თავს უკან უწევს. შემდეგ ცხვირსახოცის წვერით ცდილობს თვალი ამოუწმინდოს.) ახლა წყნარად იჭექით, არ გაინძრეთ! (ხელზე ხელს ურტყამს.) აბა, ხომ გითხარით, გამიგონეთ-მეთქი! რა არის ეს! ასე მგონია, ჩემი დიდი და ღონიერი კაცი ცახცახებს! (მკლავზე ეხება.) ასეთი ხელეზის პატრონი!

უანი (გამაფრთხილებლად). ფრეკენ იულია!

იულია. რაო?

უანი. ფრთხილად! რაც უნდა იყოს, მაშაყაცი ვარ!

იულია. წყნარად იჭექით!.. აი, ასე!.. მტვერი უკვე ამოვიწმინდე! შეგიძლიათ, ხელზე მემამბოროთ და მაღლობა მომახსენოთ.

უანი (დგება). ფრეკენ! მომისმინეთ! კრიტიკა უკვე დაწვა. გნებავთ, მომისმინოთ?

იულია. ჭერ ხელზე მემამბოროთ. უანი. კარგი, მაგრამ თქვენი ბრალი იქნება!

იულია. რა?

უანი. რა? ნუთუ თქვენ, ოცდახუთი წლის ქალიშვილი, ბავშვი ხართ? ნუთუ არ გესმით, რომ ცეცხლთან თამაში საშიშია?

იულია. არ მეშინია. მე დაზღვეული ვარ!

უანი (კადნიერად). არა, არა ხართ დაზღვეული! ასეც რომ იყოს, თქვენს გვერდით აღვილად აალებადი ნაგებობაა!

იულია. თქვენ ხომ არა ხართ ეს ნაგებობა?

უანი. დიახ! და არა იმიტომ, რომ ეს მე ვარ, არამედ, იმიტომ რომ ახალგაზრდა კაცი გახლავართ...

იულია. მიმზიდველი გარეგნობისა. რა დაუჭერებელი პატივმოყვარეობაა! იქნებ ღონ-უუანი ბრძანდებით! ან მშვენიერი იონებო? სინდისს ვფიცავარ, თავი იონები გგონიათ!

უანი. ასე ფიქრობთ?

იულია. ასე ვფიქრობ! (ქანი თამამად მიდის მასთან, უნდა მოეხვიოს და აკოცოს. იულია სილას აწნავს.) არ მომეკაროთ!

უანი. რა არის ეს? მებუშრეთ თუ სერიოზულად გამაწანით სილა?

იულია. სრულიად სერიოზულად!

უანი. მაშასადამე, ადრეც სერიოზულად იქცეოლით! თქვენ ძალზე სერიოზულად თამაშობთ, ეს კი სახიფათოა! მაგრამ მე მომბეზრდა თამაში და ბოდის გინდით. რომ ჩემს საქმეს უნდა მივხედო. (სტენის სიღრმეში მიდის ჩექმების ასაღებად.) გრაფს ჩექმები ადრე დასჭირდება, შუალამე კი რა ხანია გადავიდა. (იღებს ჩექმებს).

იულია. ჩექმები ადგილზე დახდეთ.

უანი. არა! ვიცი, რა სამუშაოც მაკისრია და იგი უნდა შევასრულო. მე არასდროს ვესწრაფვოდი თქვენი ღობით

ვეოფილიყავი თამაშში, არც არასდროს ვიქნები, ეგ ჩემთვის მეთისმეტად შეუფერებელია.

იულია. თქვენ ამაყი ხართ!

უანი. ზოგჯერ ვარ, ზოგჯერ — არა.

იულია. ოდესმე გეყვარებიათ ვინმე?

უანი. ჩვენ ამ სიტყვას არ ვხმარობთ, ისე, არაერთ ქალიშვილს დავეახლოებივარ. ერთხელ ავად გავხდი კიდევ, იმის გამო, რომ საშუალება არ მქონდა, დავუფლებოდი იმას, ვისთანაც... იცით, ავად გავხდი, როგორც „ათას ერთი ღამის“ მეფისწულები, რომელთაც დიდი სიყვარულის გამო არც ჭამა შეეძლოთ, არც სმა. (ჩექმებს იატაკზე დებს).

იულია. ვინ იყო ის ქალიშვილი? (უანი დუმს.) აბა, ვინ იყო?

უანი. ო, ამის თქმას უკვე ვერ მაიძულებთ.

იულია. მაგრამ თუ გთხოვთ, როგორც თანასწორს, როგორც მეგობარს? ვინ იყო?

უანი. თქვენ ბრძანდებოდით!

იულია. (ჯდება). გაუგონარია!

უანი. დიახ, ასე გახლდათ! სასაცილო ამბავი გახლდათ! აი, ეს ამბავი მინდოდა წიდან მომეყოლა. ჰოდა, ახლა მოგიყვებით! იცით, როგორი გეჩვენებათ სამყარო, როცა მას ქვემოდან უცქერთ? ალბათ, არ იცით! იგი შევარდნებსა და ქორებს ჰგავს, რომელთა ზურგს იშვიათად დაინახავ, რადგან მიწიდან ძალიან მაღლა დაფრინავენ! მე შიკრიკის სახლში ვცხოვრობდი შვიდ დასა და ერთ ღორთან ერთად, ირგვლივ გაშლილიყო უფერული მინდორი, სადაც ხე არ ჰქანებდა! მაგრამ ფანჯრიდან ვხედავდი გრაფის ბაღის კედლებს, ხოლო კედლებს გადაღმა აყვავებულ ვაშლებს, ეს იყო სამოთხის ბაღი, რომელსაც ცეცხლოვანი მახვილებით აღჭურვილი ავი ანგელოზები ღარაჯობდნენ. ავი ანგელოზების მიუხედავად, მე და სხვა ბავშვებმა სიცოცხ-

ლის ხესთან მისასვლელი გზა ვიპოვეთ. გეზიწლებით, არა?

იულია. აჰ, ვაშლის ქურდობას რა უშავს. ყველა ბიჭი ვაშლს იპარავს.

უანი. თქვენ ახლა ამას სასხვათაშორისოდ ამბობთ, თორემ ისე, გეზიწლებით! თუმცა, ჩემთვის სულ ერთია. ერთხელ სამოთხის ბაღში მე და დედა მოვედით ხაზვის კვდობის გასამარგლად. ზუსტად ბაღის კედლის მახლობლად, უახსინების ჩრდილში ცხრატყავას ბურქებით გარშემორტყმული თურქული მავილიონი იდგა. მაშინ არ ვიცოდი, რა დანიშნულება ჰქონდა პავილიონს. იმისთანა ლამაზი შენობა კი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. ხაღხი შიგ შედიოდა და გამოდიოდა. ერთ მშვენიერ დღეს პავილიონის კარი ღია აღმოჩნდა. მეც შევიხედე და რა დავინახე: კედლებზე შეფერების და იმპერატორების სურათები ეყიდა, ხოლო ფანჯრებზე ფორიანი წითელი ფარდები — თქვენ იცით, რაზე ვლაპარაკობ. (იასამნის ტოტს იღებს და ფრეკენის ცხვირთან მიაქვს.) მე სასახლეში არასდროს ვყოფილვარ, არასდროს არაფერი მინახავს ეკლესიის გარდა და ეს პავილიონი ეკლესიაზე გაცილებით ლამაზი იყო. ჰოდა, სადაც არ უნდა ეფრინათ ჩემს ფეხებს, ბოლოს, ნიადაგ უკან, პავილიონში ბრუნდებოდნენ. ასე, თანდათან დამეუფლა დაუოკებელი სურვილი თუნდაც ერთხელ მაინც მენახა მთელი ეს მშვენიერება. ერთი სიტყვით, შევიპარე შიგ, აქეთ-იქით გაკვირვებული ვიციქრებოდი, უცებ ვილაც შემოვიდა ბატონებს, რა თქმა უნდა, პავილიონიდან ერთი გამოსასვლელი ჰქონდათ, ჩემთვის კი მეორე გამოიძებნა. მეც მით ვისარგებლე! (იულია იასამნის ტოტს ართმევს და მაგიდაზე აგდებს.) გარეთ გამოვვარდი, უოლოს სალტეს გადავევლე, ხენდროს კვლებზე გადავირბინე და ვარდებიან ტერასაზე აღმოვჩნდი. უცებ თვალი ვკიდე ღია ფერის კაბას და ორთოთ წინდას — ეს თქვენ ბრძანდებო-



დით. მე სარეველების ბუჩოს ქვეშ შევწევი, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დღეში ვიყავი: ზემოდან ბირკავეები მანვა და ეკლებით მჩხვლეტავდა, ქვემოთ მურალი, ნესტიანი მიწა მეგო. გიცქეროდით. ვარდებს შორის რომ დადიოდით, და ვფიქრობდი: თუ ყაჩაღს მართლა შეუძლია ღვთის სასუფეველში შეაღწიოს და იქ ანგელოზებთან დარჩეს, რატომღა არ შეუძლია შიკრიკის შეიღოს აქ, მიწაზე, გრაფის ბაღში შევიდეს და მის ქალიშვილთან ითამაშოს-მეთქი?

იულია (სეველიანად). თქვენ გგონიათ, თქვენს ადგილას ყველა ღარიბი ბავშვი ასე იფიქრებდა?

უანი (ჭერ ყოყმანით, შემდეგ მტკიცედ). ყველა ღარიბი, დიახ, რასაკვირველია! რასაკვირველია!

იულია. ალბათ, საშინელი უბედურებაა, იყო ღარიბი.

უანი (ღრმა მწუხარებით, გაზვიადებულად). აჰ, ფრეენ იულია! ძაღლს შეუძლია გრაფის დივანზე იწვეს, ცხენს შეუძლია დაელოდოს, როდის მოუთაოუნებს ბანოვანის ნაწი ხელი დრუნჩზე, ბიჭი კი... (კილოს იცვლის.) დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ზოგს შეიძლება საკმარისა აღმოაჩნდეს წყლის ზედაპირზე ამოსაყვინთად, მაგრამ ხშირად ხდება ასე? ერთი სიტყვით, იცით, მაშინ რა მოვიმოქმედებ? ტანსაცმლიანად გადავხტი ნაკაღულში. იქიდან ამომათრეის და გამტყობეს, მეორე კვირას, როცა მამა და მთელი ოჯახი ბებიასთან წასასვლელად გაემზადნენ, შინ დავრჩი. თბილი წყლითა და სახნით ხელ-პირი დავიბანე, ჩემი საუეტესო ტანსაცმელი ჩავიცვი და ეკლესიაში წავედი, ვიმედოვნებდი, რომ იქ განხავდით. გნახეთ და შინ იმ გადაწყვეტილებით წამოვედი, თავი მომეკლა. მაგრამ მინდოდა ლამაზად და უტანჯველად, უმტკივნეულოდ მოვმკვდარიყავი, ამ დროს გამახსენდა, რომ ძალიან სახიფათო იყო იასამნის ბუჩქის ძირას ძილი. ჩვენ ერთი დიდი იასამანი გვექონდა, ერ-

თიანად აყვავებული. სულს დაგვგლიჯე ყვავილები, შვრიის კილობანში ჩავყარე და მეც შიგ ჩავწევი. შეგიმჩნევიათ, შვრია რა გლუვი და რბილია? მთლად აღამიანის კანივითაა! შემდეგ კილობნის სახურავი დავიხურე, რული მომერია, ბოლოს გულის ძილით დავიძინე. როცა გამეღვიძა, მართლა ძალიან ავად ვიყავი, ოღონდ, როგორც ხედავთ, არ მოვმკვდარვარ. რა მინდოდა, თვითონაც არ ვიცოდი. თქვენ ვერაწიარად ვერ მოგწვდებოდით, მაგრამ დავრწმუნდი კი, რომ ჩემს სწრაფვას, დამეღწია თავი იმ წრისთვის, სადაც დაეიბადე, აღსრულება არ ეწერა.

იულია. იცით, რა მომხიზველელად მყვებით? გივლიათ სკოლაში?

უანი. მცირე ხნით, მაგრამ ბევრი რომანი წავკითხე, ხშირად დადვიოდი თეატრში. გარდა ამისა, ყურს ვუგდებდი, როგორ საუბრობდნენ განათლებული ადამიანები და მათგან ბევრი რამ ვისწავლე.

იულია. მაშ, დგახართ და ყურს გვივდებთ, რას ვლაპარაკობთ?

უანი. ო, რა თქმა უნდა! ბევრ რამეს ვისმენ, როცა ეტლის კოფოზე ვჯივარ ან ნავის ნიჩბებს ვუსვამ. ერთხელ მოვისმინე, ფრეენ იულია და მისი მეგობარი როგორ...

იულია. ოჰო, მაინც რა მოისმინეთ?

უანი. ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაცებულნი დავრჩი, ვერ გამეგო, საიდან მოგქონდათ ასეთი სიტყვები. ალბათ, თუ უფრო ღრმად ჩაუუკვირდებით, ადამიანებს შორის არცთუ დიდი განსხვავებაა.

იულია. აჰ, გრცხვენოდეთ! ჩვენ შორის არასდროს ხდება ისეთი რამ, როგორც თქვენს შორის, თქვენს საქმროსა და საცოლეს შორის.

უანი (დავიწვებით უცქერის). მართლა? ისე, ჩემი აზრით, თქვენ სულაც არ გპირდებთ თავის მართლებას...

იულია. ვისაც ჩემი სიყვარული მივუძღვენი, არამზადა აღმოჩნდა...

უ ა ნ ი. თქვენ ყოველთვის ასე ამო-  
ბობთ. შემდეგ?

ი უ ლ ი ა. ყოველთვის?

უ ა ნ ი. ვფიქრობ, ყოველთვის, ვინა-  
იდან ასეთი სიტყვები მრავალჯერ მსმენია  
მსგავს შემთხვევებში.

ი უ ლ ი ა. როგორ შემთხვევებში?

უ ა ნ ი. როგორც ეს-ესაა ზემოთ იქ-  
ნა ნახსენები! თქვენ უკანასკნელად...

ი უ ლ ი ა. (დგება). კმარა! აღარ მიწ-  
და გისმინოთ!

უ ა ნ ი. არც „იმას“ უნდოდა ჩემი  
მოსმენა, საოცარია! ჰო, გთხოვთ, ნება  
დამართოთ, დახაინებლად წავიდე.

ი უ ლ ი ა. (რბილად). იოანეს ღამეს  
ძილი გავიწილა!

უ ა ნ ი. დიას! სულაც არ მექაშნიკე-  
ბა იქ ათასგვარ ვიგინდარასთან ცეკვა.

ი უ ლ ი ა. მაშ, ნავის გასაღები აი-  
ღეთ და ტბაზე გამასიერეთ. მიწა, მზის  
ამოსვლას ვუცქირო!

უ ა ნ ი. განა ეს კეთილგონივრული  
საქციელი იქნება?

ი უ ლ ი ა. ჩანს, საკუთარ რეპუტაცი-  
ას უფროსილდებით!

უ ა ნ ი. ვითომ რატომაც არ უნდა  
გავუფროსილდე? არ ვისურვებდი, სასა-  
ცილო გავმხდარიყავი. არ ვისურვებდი,  
აქედან ცუდი რეკომენდაციით გავეგდეთ,  
როცა სხვაგან სამსახურს მოვიწოდებდი.  
გარდა ამისა, მეგონა, კრისტიანს მიმართ  
გარკვეული ვალდებულებანი მაქირია.

ი უ ლ ი ა. აჰ, ისევ კრისტიანა...

უ ა ნ ი. საქმე თქვენც გეხებათ. და-  
მიჭერეთ, აღით ზემოთ და დაიძინეთ!

ი უ ლ ი ა. ხომ არ გნებავთ დაგემო-  
რილოთ?

უ ა ნ ი. მხოლოდ ამჯერად, თქვენდა  
სასარგებლოდ! გთხოვთ! უკვე ძალიან  
გვიანაა, მეც ძილი მერევა, თავი მიხურს!  
დაიძინეთ! თანაც, თუ არ ვცდები, აქეთ  
მოდიან, ალბათ, ჩემთან. ხოლო თუ აქ  
ერთად გვნახეს, თქვენ დაიღუპებით! (ის-  
მის გუნდის სიმღერა, ჯერ შორს, შემ-  
დეგ სულ ახლოს და ახლოს).

ორი ქალიშვილი ტყვიდან მოდიოდა  
ტრალალა-ტრალალა-ტრალალა.

ერთ-ერთს იმათაგან ფეხი სველი  
ჰქონდა!

ტრალალა-ტრალალა-ტრალალა.  
თქროს ხვავ-გორებზე ოცნებობდნენ

გზა-გზა

ტრალალა-ტრალალა-ტრალალა.  
ჯიბეში კი გროში არც ერთს არ გააჩნდა.

ტრალალა-ტრალალა-ტრალალა.  
მე გვირგვინი, იცი, უკვე მოგიშხადე!

ტრალალა-ტრალალა-ტრალალა.  
ხოლო სხვა რამეზე ფიქრი დამცადე!

ტრალალა-ტრალალა-ტრალალა.

ი უ ლ ი ა. მე ვიცნობ ხალხს, მიყ-  
ვარს ისინი, იმათაც ვუყვარვარ. დეე, მო-  
ვიდნენ, ვნახოთ, რა იქნება!

უ ა ნ ი. არა, ფრეკენ, იმათ არ უყ-  
ვარხართ. თქვენს პურს ჰამენ, მაგრამ  
დაგცინიან! დამიჭერთ, აბა, უსმინეთ რას  
მღერიან! ან, არა, სჯობს არ უსმინოთ!

ი უ ლ ი ა. (აყურადებს). რას მღერი-  
ან?

უ ა ნ ი. ამ სიმღერაში დაგცინიან,  
თქვენც დაგცინიან და მეც.

ი უ ლ ი ა. საზიზღრობაა! ფუი! მერე-  
და ასე ფარულად?

უ ა ნ ი. ეს ვიგინდარები ყოველთვის  
მშისრები არიან, მაგრამ ჩვენ უნდა გა-  
ვიქცეთ!

ი უ ლ ი ა. გავიქცეთ? კი, მაგრამ სად?  
ბაღში შეუძლებელია. ვერც კრისტიანს-  
თან შევალთ!

უ ა ნ ი. მაშასადამე, ჩემს ოთახში უნ-  
და შევიდეთ. სხვა გზა არ დავგრჩენია.  
შეგძლიათ სავსებით მენდოთ — მე  
თქვენი ქემშარიტი, მოკრძალებული და  
გულითადი მეგობარი ვარ.

ი უ ლ ი ა. ჰო, მაგრამ ერთი დაფიქ-  
რდით! თქვენს მოსაძებნად იქაც რომ შე-  
მოვიდნენ?

უ ა ნ ი. კარს ურდულს გავუყრი, ხო-  
ლო თუ კარის შემოშტკვრევა დაიწყეს,  
სროლას ავტებავ! წავიდეთ! (იჩოქებს.)  
წავიდეთ!

იულია. გგონიათ, ამ სახლში გავჩერდები და თქვენი საყვარელი ვიქნები? აღამიანებს საშუალებას მივცემ, თითო მომამწვირონ? გგონიათ, გავბედავ და მამას თვალეში შევხედავ? არა! წამიყვანეთ აქედან. განმარიდეთ დამცირობას და შერცხვენას! ღმერთო, ეს რა ვქენი! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! (ტირის.)

უანო. აჰა, უკვე დაიწყო ჩივილი! რა ჰქენით? ის, რაც ათასებმა ჰქნეს თქვენამდე!

იულია (გამწარებით შეჰკიცვებს). უკვე გეზიზღებით კიდევ; არა! მე ვეცემი, ვეცემი!

უანო. ჩემკენ დაეციოთ და წამოგაყენებთ!

იულია. რა დამღუპველმა ძალამ მიბიძგა თქვენკენ? სუსტს ძლიერისკენ? დაცემულს აღმდგარისკენ? თუ ეს სიყვარული იყო? მერედა, ესაა სიყვარული? არ იციოთ, რა არის სიყვარული?

უანო. მე? ვფიქრობ, არ ვიცი. ხომ არ გგონიათ, რომ თქვენამდე სხვასთან არ მქონია ურთიერთობა?

იულია. რას ლაპარაკობთ! რა აზრები გიტრიალებთ თავში!

უანო. ასე მასწავლეს, ასეთი ვარ მე! ნუ ნერვიულობთ, გეთაყვა, დიდგვაროვან ბანოვანად ნუ მოგაქვთ თავი. მე და თქვენ ერთი ჭურისანი ვართ. აბა, მოდი აქ, ჩემო ძვირფასო, ჭიქა ღვინით გაგიმასპინძლდები! (მაგიდის უჯრას აღებს, ღვინიანი ბოთლი გამოაქვს და ორ ადრინდელ ჭიქას აესხებს.)

იულია. საიდან გაქვთ ეს ღვინო?

უანო. სარდალიდან!

იულია. მამაჩემის ბურგუნდიული ღვინოა!

უანო. თქვენი აზრით, სიძისთვის ეს მეტისმეტია, არა?

იულია. მე კი ყოველთვის ღლდს ვსვამდი.

უანო. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩემზე ცუდი გემოვნება გაქვთ.

იულია. ქურდო!

უანო. გინდათ სახელი გამიტხროთ?

იულია. ო, შინაური ქურდის თანამზრახველი ვარ! მთვრალი ხომ არ ვიყავი, ან ეს ყველაფერი სიზმარში ხომ არ ჩამიდგინა? იოანეს ღამე! უბიწო თამაშების დღესასწაული...

უანო. უბიწო? ჰმ!..

იულია (ბოლთას სცემს). ნუთუ, ამ წუთს დედამიწის ზურგზე ჩემზე უბედური აღამიანი დაიარება?

უანო. რატომ ხართ უბედური? ასეთი გამარჯვების შემდეგ? აბა, ერთი კრიტიკაზე დაფიქრდით! ხომ არ ფიქრობთ, რომ ისიც უგრძობელია?

იულია. ჰო, ადრე ვფიქრობდი, ამიერიდან კი აღარ ვფიქრებ! არა, მონა ყოველთვის მონად დარჩება.

უანო. მრუში კი მრუშად!

იულია (მუხლებზე ეცემა გულხელდაკრეფილი). ო, ღმერთო მოწყალო, შენ განმავიწყდი ამ სიბინძურეს, რომელშიაც ვიძირები! მიხსენი, მიხსენი!

უანო. მართალი გითხრათ, მეცოდებით! მაშინ, როცა ხახვის ცვლებში ვიწეო და გიცქეროდით, ვარდნარში მოსერიანეს გიცქეროდით... თავში ისეთივე უწმინდური აზრები მიტრიალებდა, როგორც ყველა ახალგაზრდა კაცს.

იულია. და მაინც გინდოდათ, ჩემ გამო თავი მოგეკლათ.

უანო. შერიანი კიღობანი? ეს ისე მოუჩხახე!

იულია. მაშასადამე, იტრუეთ?

უანო (ღუნედ). ვიცრუე! გაზეთში ამდავარი რამ წავიკითხე ერთ საკვამურის მწმენდელზე, რომელიც იასამნის ყუთში ჩაწვა. რადგან ბავშვის შესანახი ფულით გადახდა მიუხაჯეს.

იულია. თურმე როგორი ყოფილხართ!

უანო. სხვა რა უნდა მომეფიქრებინა. ქალის გული ყოველთვის პირფერობით უნდა მოიგო.



იულია. არამზადავ!  
უანი. მრუშო!  
იულია. ახლა კი ნახეთ ქორის ზუ-  
რგა?..

უანი. ზურგი მთლად არა...  
იულია. მე პირველი ტოტი უნდა  
ვეოფილიყავი!..  
უანი. მაგრამ ტოტი დამპალი აღ-  
მოჩნდა...

იულია. მე სასტუმროს აბრა უნდა  
ვეოფილიყავი...  
უანი. მე კი სასტუმრო...

იულია. თქვენს დახლს უნდა მიე-  
ჭლომოდო, თქვენი სტუმრები მომეხიბლა,  
ყალბი ანგარიშები მეწერა.

უანი. ანგარიშების წერა ჩემი საქ-  
მეა...

იულია. შეიძლება ადამიანის სული  
ახვ გაბინძურდეს?!

უანი. შეეცადეთ განბანოთ იგი!  
იულია. ლაქიავ, მისაზურო, ადექი,  
როცა გელაპარაკები!

უანი. ლაქიას საყვარელო, მრუშო,  
ენა დაიმოკლედ და აქედან მიბრძანდი!  
ისრა ვაკლია ახლა სისაძაგლე დამწამო!  
ისე საზიზღრად, როგორც შენ ამ საღა-  
მოს მოიქეცი, ვერც ერთი უბრალო ქა-  
ლიშვილი ვერ მოიქეცოდა. გგონია, რო-  
მელიმე უბრალო ქალიშვილი შენსავით  
გადაეკიდება კაცებს? ოდესმე გინახავს,  
რომ ჩემი წრის ქალიშვილი შენსავით შე-  
ჩენოლა ვინმეს? ასეთი რამ მე მხოლოდ  
ცოცხელებისთვის და უზნეო ქალების-  
თვის შემომჩნევია!

იულია (განადგურებულია). მარ-  
თალი ხარ. მცემე, ტალახში გამქეღე,  
უცხოესი არაფერი დამიმსახურებია. უბე-  
დურნი ვარ, მიშველე! მიშველე თუ ოდ-  
ნავ მაინც შეგიძლია შველა!

უანი (რბილად). მე თქვენ გაცდუ-  
ნეთ და არ მინდა უარი ვთქვა თქვენი  
შემცდენლის პატივზე, მაგრამ ნუთუ ფი-  
ქრობთ, რომ ჩემი მდგომარეობის კაცი  
გაბედავდა და თვალს გავისწორებდათ,

თუ თვითონ არ მისცემდით საბაბს? მე  
ახლაც ერთიანად შემცბარი ვარ...

იულია. და ამაყი...  
უანი. რატომაც არა? თუმცა, უნდა  
გამოვტყდე, გამარჯვებას ძალიან იოლად  
მივალწიე და ჩემს თვალში ფასი დაკარ-  
გა.

იულია. თქვენ ბოლომდე გამანად-  
გურეთ!

უანი (ღვება). არა! გთხოვთ, მაპა-  
ტიოთ ყველაფერი, რაც უკვე გითხარით!  
მე არასდროს ვებრძვი უიარაღოს, მით  
უფრო ქალს. უნდა გამოვტყდე, ერთი  
მხრივ, მსიამოვნებს იმის გაგება, რომ ის,  
რაც ჩვენ, ქვემოთ მდგომით, გვაბრმავებ-  
და, ყალბი ოქრო აღმოჩნდა, ქორის ზუ-  
რგი — ჩვეულებრივი ნაცრისფერი, ნაზ  
ლოყას პუდრი ჰქონია წასმული, გალა-  
ქულ ფრჩხილებქვეშ ჩაშვებულნი ზოლი  
ყოფილა, ცხვირსახოცი ქუჭყიანი გამო-  
დგა, თუმცა, ზედ სუნამოები იყო დაპ-  
კურებული. მეორე მხრივ, მწყინს, რომ  
იმას, რასაც ვესწრაფვოდი, არც სიღია-  
დის რამე ეტყობა, არც სიმყარისა.  
მწყინს, რომ ისე დაცივით, თქვენს მზა-  
რეულზე უარესი გახდით. მწყინს, რომ  
შემოდგომის ყვავილები წვიმამ მოსრა  
და ტალახში აწილა.

იულია. ისე შელაპარაკებით, თით-  
ქოს ჩემზე მაღლა იდგეთ.

უანი. ვდგავარ კიდევ: შემეძლო  
გრავინიად მექციეთ, თქვენ კი ვერას-  
დროს შესძლებთ ჩემს გრაფად ქცევას.

იულია. კი, მაგრამ მე ხომ გრაფ-  
მა გამაჩინა, თქვენ კი გრაფი ვერასდროს  
გახდებით!

უანი. მართალი ბრძანებაა, მაგრამ  
მე შემეძლო გრაფები გამეჩინა, თუ...

იულია. მაგრამ თქვენ ქურდი  
ხართ, მე კი ქურდი არასდროს ვყოფილ-  
ვარ.

უანი. ქურდი რომ იყო, განა ცუ-  
დია! ისე, ამაზე უარესი რამაც არის ქვე-  
ყნად. საერთოდ, როცა რომელიმე სახლ-  
ში ემსახურობ, თავი რამდენადმე ამ

ოჯახის წევრად, ერთ-ერთ შვილად მი-  
 მარჩია. მერედა შეიძლება ქურდობა ვუ-  
 წოდოთ იმას, რომ შვილმა მთელ ბუჩქს  
 ერთი ცალი კენკრა მოსწყვიტოს? (უცებ  
 ისევ იგზნება.) ფრეიენ იულია, თქვენ,  
 დიდებული ქალი, ჩემისთანა კაცისთვის  
 მტკისმეტად შეუფერებელი ბრძანდებით!  
 თქვენ თავდავიწყების მსხვერპლი გახ-  
 დით და გინდათ შეცდომა იმით დაფა-  
 როთ, რომ წარმოიდგინეთ, თითქოს გი-  
 ყვარვართ, მაგრამ არ გიყვარვართ, თუ-  
 მცა, შესაძლოა, ჩემმა გარეგნობამ მოგ-  
 ხიბლოთ, მაშასადამე, თქვენი სიყვარული  
 არაფრით სჯობია ჩემს სიყვარულს. მე  
 არასდროს შეეფერიდები იმ აზრს, რომ  
 თქვენთვის მხოლოდ ცხოველი ვიყო, თქვენს  
 ქეშმარიტ სიყვარულს ხომ მე  
 ჩემს დღეში ვერ მოვიხვეჭე.

იუ ლია. დარწმუნებული ხართ?

ჟანი. თქვენ იმის თქმა გნებავთ,  
 რომ შეიძლება მომხვეჭეს! ხოლო მე რომ  
 შემოყვარდებოდით, ო, ეს სულაც არ გე-  
 ეკუთვნოდათ! თქვენ ხომ ასე ლამაზი ბრძა-  
 ნდებით, მომხიბვლელი (უახლოვდება  
 იულიას და ხელზე ხელს ჰკიდებს.) გა-  
 ნათლებული, თავზაინი, (ეხვევა ფრე-  
 ეის.) თქვენ ფუცხუნა სურნელოვან  
 ღვინოს ჰგავხართ და თქვენი კაცაა ერ-  
 თი... (ცდილობს ფრეიენი მარჯვნივ წა-  
 იყვანოს, მაგრამ იულია უსხლტება).

იუ ლია. დამეხსენით! ამ გზით ვე-  
 რაფერს მიადწევთ!

ჟანი. მაშ, რომელი გზით მივალ-  
 წევ? რა გზით! არა ლამაზი სიტყვებითა  
 და ქათინაურებით, არა სამომავლო გეგ-  
 მებით, არა სირცხვილისგან თავის დახს-  
 ნით? მაშ, რით?

იუ ლია. რით? რით? არ ვიცი.  
 სრულდებით არ ვიცი. მეზიზღებით, რო-  
 გორც ვიროგავა, მაგრამ არ შემოძლია  
 გაგვიკეთ!

ჟანი. ერთად გავიკეთო.

იუ ლია (კაბას ისწორებს). გავიქ-  
 ცით? დიახ, უნდა გავიკეთო! მაგრამ  
 ერთობ დავიღალე! მომარბოდეთ ჰქია

ღვინო! (ქანი უსხამს. იულია საათს დას-  
 ცქერის.) მაგრამ ჭერ უნდა მოვილაპა-  
 რაკოთ. ჭერ კიდევ გვაქვს ცოტა დრო.  
 (სვამს ღვინოს და ქანს ჰქიას უწვიდის,  
 რომ მან ისევ დაუსხას).

ჟანი. ასე ბევრს ნუ სვამთ. დაიჯ-  
 რებით!

იუ ლია. მერე რა?

ჟანი. როგორ თუ რა? წესად რომ  
 არ გაიხადეთ დათრობა? მაშ, რაზე გინ-  
 დოდით მოგელაპარაკათ?

იუ ლია. უნდა გავიკეთო! მაგრამ  
 ჭერ მოვილაპარაკოთ, ესე იგი მე ვილა-  
 პარაკებ, რადგან აქამდე მხოლოდ თქვენ  
 ლაპარაკობდით. თქვენ, თქვენი ცხოვრე-  
 ბა მიამბეთ, ახლა მე მინდა ჩემი გიამ-  
 ბოთ, რათა კარგად გავიცნოთ ერთმანე-  
 თი. ვიღრე ერთად ხეტიალს შევუღჯე-  
 ბოდეთ.

ჟანი. ერთი წამით, უკაცრავად!  
 დაფიქრდით, შემდეგ არ ინანოთ, რომ  
 თქვენი ცხოვრების საიდუმლო გამანდეთ!

იუ ლია. განა ჩემი მეგობარი არა  
 ხართ?

ჟანი. დიახ, ხანდახან! მაგრამ ნუ  
 დამენდობით.

იუ ლია. ამას თქვენ მხოლოდ სა-  
 სხვათაშორისოდ ამბობთ, თანაც ჩემი  
 საიდუმლოებანი ყველამ იცის. მოგეხსე-  
 ნებათ, დედაჩემი უბრალო ოჯახის ჩამო-  
 მავალი იყო და არა აზნაურებისა. აღზ-  
 რდილი გახლდათ თავისი დროის სულის-  
 კვეთებით, თანასწორობის, ქალის თავი-  
 სუფლების და სხვა ამგვარი იდეებით.  
 საშინლად ეზიზღებოდა ქორწინება და  
 როცა მამაჩემმა მაქანკალი მიუგზავნა,  
 შეუთვალა არასდროს შენი ცოლი არ  
 გავხდებო, მაგრამ მაინც გახდა. რამდე-  
 ნადაც ვიცი, დედაჩემს ჩემი გაჩენა არ  
 სდომებია. ჰოდა, ისე დამიწყო აღზრდა,  
 როგორც ბუნების შვილს, თანაც უნდა  
 მესწავლა ყველაფერი, რასაც ბიჭები  
 სწავლობდნენ, რათა ნათელი მაგალი-  
 თი ვყოფილიყავი იმისა, რომ ქალი არა-  
 ფრით არაა მამაკაცზე უარესი. მაცმეუღ-

ნენ ვაჟურად, მასწავლიდნენ ცხენის მოვლას, მაგრამ ბაკს არ მკარებდნენ. მე უნდა გამეწმინდა და ეკიბაუში შემება კიდეც ცხენები, მევლო სანადიროდ. მცოდნოდა მიწის სამუშაოები, ჩვენს საჩქოში ყველა ქალურ საქმეს კაცებს ავალებდნენ, ხოლო კაცურ საქმეს — ქალებს, რის შედეგადაც მამული გაგვიჩანავდა, ჩვენ კი მთელი ოქქის სასაცილო გავხდით! ბოლოს მამა გონს მოვიდა, აღშფოთდა და ირგვლივ ყველაფერი თავისი სურვილისამებრ წარმართა. დედა ავად გახდა — რა სქირდა, არ ვიცო, მაგრამ ხშირად კრუნჩხვები ემართებოდა, სხვენზე და ბაღში იმალებოდა, ზოგჯერ მთელი ღამეები რჩებოდა იქ. შემდეგ გაჩნდა დიდი ხანძარი, რომლის შეხახებაც, ალბათ, გსმენიათ. სახლი, თავლა, ბაკი ისეთ ვითარებაში დაიწვა, იფიქრებდით, ხანძარი განგებ გააჩინესო, რადგან უბედურება დატრიალდა სწორედ იმის მეორე დღეს, როცა დაწვდევის დრო ამოიწურა და მსახურის დაუდევრობის გამო მამაჩემის მიერ დაწვდევის ახალი პრემიის გადასახდელად დაგზავნილი ფული თავის დროზე არ იქნა გადახდილი. (ისევ იგებსე პიქას და სკვამს!).

უ ა ნ ი. მეტს ნულარ დაღვეთ!  
ი უ ლ ი ა. აჰ, განა სულ ერთი არაა! დაგრიით უსახლკაროდ და ღამეს ეტლში ვათვედით. მამამ აღარ იცოდა, სად ეშოვა ფული ახალი სახლის ასაგებად. დედამ ურჩია, თავისი ახალგაზრდობის დროინდელი ერთი მეგობრისთვის, მახლობლად მდებარე აგურის ქარხნის მფლობელისთვის სესხი ეთხოვა. დედის მეგობარმა მამას ფული ასესხა, მაგრამ ყოველგვარი პროცენტის გარეშე, რამაც ძალიან გააკვირვა. და აი, მამამ სახლი ააშენა! (ისევ სკვამს.) იცით, ვინ დაწვა სახლი?

უ ა ნ ი. დედათქვენმა.  
ი უ ლ ი ა. იცით, ვინ იყო აგურის ქარხნის პატრონი?

უ ა ნ ი. დედათქვენის საყვარელი.

ი უ ლ ი ა. იცით, ვისი იყო ფული?

უ ა ნ ი. ცოტა დამაცათ, არა, არ ვიცი.

ი უ ლ ი ა. დედაჩემის!

უ ა ნ ი. და გრაფისაც, რადგან მათ საერთო ქონება ჰქონდათ.

ი უ ლ ი ა. არა. დედაჩემს თავისი მცირეოდენი ქონება ჰქონდა, რომელსაც მამას არ ანდობდა, მაგრამ მეგობარს მისცა.

უ ა ნ ი. იმან კი ფული მიითვისა?

ი უ ლ ი ა. სრული სიმართლეა! შეირჩინა! მამამ ყველაფერი გაიგო, მაგრამ პროცენტის დაწყება არ შეეძლო, არ შეეძლო სამაგიერო მიეწლო ცოლის საყვარლისთვის. დაემტკიცებინა, რომ ეს ფული თავისი ცოლისა იყო. დედამ ამით შური იძია, რაკი მამამ ძალაუფლება ხელთ იგდო. იმხანად მამას თავის მოყვლა უნდოდა! ხმა დაირხა, სცადა კიდეცაც, მაგრამ ვერ განახორციელა! იგი ცოცხალი გადარჩა, ხოლო დედაჩემს თავისი ნამოქმედარი უნდა გამოეყვირა. ეს დავიღარაბა კი მე ხუთი წლის სიცოცხლედ დამიჯდა! მე მამა მიყვარდა, მაგრამ დედის მხარეს ვიჭერდი, რადგან მათი ურთიერთობის ამბავი მაშინ არ ვიცოდი. სწორედ დედაჩემმა ჩამინერგა მამაკაცებისადმი უნდობლობა, მათი სიძულელი, ვინაიდან, როგორც თქვენთვის ცნობილია, თვითონაც სძულდა ისინი — და შეეფიცე, არასდროს ვყოფილიყავი კაცის მონა.

უ ა ნ ი. მერედა, ამის შემდეგ აქცივის მოხელეზე დაინიშნეთ!

ი უ ლ ი ა. რომ იგი ჩემს მონად მექცია.

უ ა ნ ი. იმან მოინდომა ეს?

ი უ ლ ი ა. არცთუ წინააღმდეგი იყო, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. მომბეზრდა!

უ ა ნ ი. ჰო, მე ყველაფერი დავინახე თავლამო.



იულია. მე წასვლა არ შემიძლია! არც დარჩენა შემიძლია! მიშველეთ! ძალიან დავიღალე, უწომოდ დავიღალე! მიბრძანეთ! შთამბერეთ სიცოცხლე, რადგან მეთად აღარც ფიქრის თავი მაქვს, აღარც მოქმედებისა...

ჟანი. ხედავთ, რა სუსტი ხართ. მაშ, რისთვის იბღინძებით ასე და რისთვის იბზევთ ცხვირს, თითქოს მთელი სამყაროს დედოფალი იყოთ! კეთილი! მე თქვენ ვიბრძანებთ, წადით და ჩაიცვით, თან სამგზავრო ფული წამოიღეთ და აქ დაბრუნდით!

იულია (ხმადაბლა). წამომყევით ზემოთ!

ჟანი. თქვენს ოთახში? თქვენ ისევ სიგელი გვიღოთ. (წუთით ყოყმანობს.) არა! ახლავე წადით! (ხელზე ხელს ჰკიდებს და შემანულ კარებში გაჰყავს.)

იულია (გასვლისას). ცოტა უფრო თავაზიანად შელაპარაკეთ, ჟან.

ჟანი. ბრძანება ყოველთვის უხეშად ფლერს! იგრძენით ეს, ერთხელ მაინც იგრძენით თვითონ.

(ორივენი გადიან. ჟანი უკან ბრუნდება, შეეხებოთ ამოისუნთქავს, მაგიდას ეჯდება, უბის წიგნაკს იღებს და ხმაბლა ანგარიშობს რაღაცას. მუნჯური, მიმიკური სცენა. მარცხნიდან შემოდის კრისტინა, საგარეოდ აცვია, ეკლესიაში პირებს წასვლას. ხელში პერანგის გულსპირი და თეთრი ყელსახვევი უჭირავს.)

კრისტინა. ღმერთო მაღალო! როგორ გამოიყურები! რა მოხდა აქ?

ჟანი. აჰ, ფრეკენმა ხალხი მოიყვანა. განა ისე გეძინა, ვერაფერი გაიგონე?

კრისტინა. მკვდარივით მეძინა!

ჟანი. უკვე ეკლესიაში წასასვლელად გამოეწყვე?

კრისტინა. ჰო! შენ ხომ დამპირდი, რომ აღსარებაზე წამომყვებოდი.

ჟანი. ჰო, სწორია! შენც, ვხედავ, ჩემთვის საგარეო სამოსელი მოგიტანია. აბა, მოდი აქ. (ჯდება მარჯვნივ. კრისტინა

გულსპირს და ყელსახვევს მარჯვნივ და მათ გაკეთებაში ეხმარება. დუმილი. მოთენთილად.) დღეს რომელ სახარებას კითხულობენ?

კრისტინა. მგონი, იოანეს შეკვიცილ თავს.

ჟანი. მისი კითხვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება! აჰ, ნუ მყარავ! ერთი სული მაქვს დავიძინო!

კრისტინა. მთელი დამე რას აკეთებდი? მთლად მიწისფერი გადევს.

ჟანი. აქ ვიჭევი და ფრეკენ იულიასთან ვლაპარაკობდი.

კრისტინა. მას, ღმერთმანი, არ ესმის, რომ ეს დიდი უწესობაა. (დუმილი.)

ჟანი. მისმინე, კრისტინა!

კრისტინა. ვისმენ. რა გინდა?

ჟანი. პირდაპირ უცნაურია, რომ... ის!

კრისტინა. რაა უცნაური?

ჟანი. ყველაფერი. (დუმილი.)

კრისტინა. (მაგიდაზე ჰქექებს ამჩნევს, რომ მღვდელიც ნახევრად ასხია ღვინო.) აქ თქვენ ერთად სვამდით?

ჟანი. დიახ!

კრისტინა. ფუი! აბა, თვალეში შემომხედ!

ჟანი. დიახ!

კრისტინა. ნუთუ? ნუთუ?

ჟანი (მცირე ფიქრის შემდეგ). დიახ, ასე იყო!

კრისტინა. ვერასდროს დავიჭერებდი! არა, ფუი, ფუი!

ჟანი. ხომ არ ექვიანობ?

კრისტინა. სულაც არა! აქ რომ კლარა ან სოფი ყოფილიყო, თვალეზს ამოგაწრავდი! დიახ, ამოგაწრავდი, მაგრამ რატომ. თვითონ არ ვიცი. უჰ, რა საზიზღრობაა!

ჟანი. უბრაზდები?

კრისტინა. იმას არა, შენ! ცუდად მოიქციე, ძალიან ცუდად! საბრალო ქალიშვილი! არა, იცი რა? აჰ, ამ სახლში, სადაც თავიანთ მსახურებს პატივს არ

სცემენ. ცხოვრება აღარ მინდა!

ჟანი. რატომ უნდა სცენ პატივი?

კრისტინა. ერთი მითხარი, შენ ჩვენს შორის ყველაზე გამოქეპილი ხარ! განა თვითონ არ იტყვოდი უარს იმ ადამიანებთან სამსახურზე, რომლებიც ასე უწყესოდ იქცევიან? ჰა? ხომ შენივე თავის შეგრცხვებოდა?

ჟანი. ჰო, მაგრამ მაინც სანუგეშოდ ისლა გვრჩება, რომ სხვები ჩვენზე უკეთესნი არ არიან!

კრისტინა. მე ასე არ ვფიქრობ. რაკი ჩვენზე უკეთესნი არ არიან, ჩვენ რაღაზე ვეცადოთ, იმაზე უკეთესნი გავხდეთ. თან გრაფზეც იფიქრე: იფიქრე იმაზეც, რამდენი მწუხარება იგემა ცხოვრებაში. არა, აღარ მინდა ამ სახლში დარჩენა! თანაც შენისთანასთან, აქ ვინმე აქციზის მოხელე რომ იყოს, ანდა შენზე უკეთესი, კიდევ ჰო...

ჟანი. ეს კიდევ რაღას ნიშნავს?

კრისტინა. დიახ, დიახ, შენც, რა თქმა უნდა, კარგი ყმაწვილი ხარ, მაგრამ ადამიანები ხომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან? ო, ამას არასდროს დავივიწყებ! ფრეკენი, ამაყი ფრეკენი, რომელიც ასე უბეშად ექცეოდა მამაკაცებს, როგორ ვიფიქრებდი, რომ რომელიმე მამაკაცს დანებდებოდა! თანაც ამისთანას! თვითონ კინაღამ არ მოკლა საბრალო დიანა, როცა ეწოს ძალთან გაიქცა! წარმოუდგენელია! ამიერიდან აქ აღარ დავრჩები, ოცდაოთხი ოქტომბრისთვის ჩემს გზას გავუდგები.

ჟანი. შემდეგ?

კრისტინა. შემდეგ, სიტყვამ მოიტანა და, დროა, შენთვის რამე ადგილი შეათვალიერო, რაკი უნდა დავკორწინდე.

ჟანი. რა უნდა შევათვალიერო? როცა ცოლიანი ვიქნები, სხვა ასეთ ადგილს ვერ ვიშოვი?

კრისტინა. რა თქმა უნდა, შევიცრობა მოგიწევს ან რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებაში მუშაობა. სახელმწიფო სამსახური დიდი ვერაფერი შეილია, სამაგიეროდ ნაღვლია და ცოლ-შვილი პენსიას მიიღებს.

ჟანი (იკმუხნება). ეს ძალიან კარგია, მაგრამ მთლად არ შეესაბამება ჩემს შეხედულებებს. თავიდანვე ვერ ვიფიქრებ იმაზე, რომ ცოლ-შვილისთვის მოვკვდე. უნდა გამოგიტყუდე, მე უფრო დიდი გეგმები მაქვს.

კრისტინა. რა გეგმები? შენ ხომ ვალდებულებანიც გაკისრია? ამაზე იფიქრე!

ჟანი. ნუ გამაბრაზებ ვალდებულებებზე ლაპარაკით! თვითონ ვიცი, რა უნდა ვაკეთო (კარიდან გარეთ იხედება.) ჩვენ ბევრი დრო გვექნება ამაზე საფიქრელად, მანამდე კი წაად და მოემზადე. ეკლესიაში წავიდეთ.

კრისტინა. ვინ დააბოტებს შენით?

ჟანი. არ ვიცი, შეიძლება კლარა.

კრისტინა. გრაფი ხომ არაა? ნუთუ დაბრუნდა და მისი მოსვლა ვერაფერს გაიგო?

ჟანი (შეშინებული). გრაფი? არა, არა მგონია. დიდი ხნის წინათ დარეკავდა.

კრისტინა. დმერთია მოწმე, ჩემს ცხოვრებაში ამის მსგავსი არაფერი განმიცდილია.

(კრისტინა მარცხნივ გადის. ამისობაში მზე ამოდის და ბაღში ხეტოა კენწეროვანად ანათებს. სინათლე სულ უფრო მაკულობს, ბოლოს ირიბი სხივი ფანჯრიბს ეცემა. ანინ შეშინულ კართან მიდის და ნიშანს იძლევა. შემოდის სამგზაუროდ გამოწყობილი იულია. ხელში ცხვირსასოცკვადფარებული გალია უჭირავს. გალის სკამზე დგამს.)

იულია. მზად ვარ.

უანი. წყნარად! კრისტინა ადგა!  
იულია. (მთელი მომდევნო სცენა  
ძლიერ აღზნებულია). მიხვდა რამეს?

უანი. არაფერი იცის! მაგრამ, ღმერთო, როგორ გამოიყურებით!

იულია. რა იყო?

უანი. მთლად მიწისფერი გადავთ, გარდა ამისა, მომიტყვევთ და სახე დასვრილი გაქვთ.

იულია. მაშ, დაბანა მადროვე. (მიღის ხელსაბანთან, ხელ-პირს იბანს.) მომწოდეთ პირსახოცი! აჰ, მზე უკვე ამოვიდა!

უანი. და მთელი თილისმა გაქრა!

იულია. ჰო, ლამის ვიფიქრო, რომ წუხელ აქ მართლა ჯადოქრები ბატონობდნენ. მაგრამ მისმინე, უან! წამოწყვი, მე ფული მაქვს.

უანი (ნელა). საკმარისი?

იულია. დასწყისისათვის საკმარისი. წამოწყვი, რადგან დღეს მარტო გამგზავრება არ შემიძლია. წარმოგიდგენია — იოანეს დღეს ხალხით გაქედილი დასუთული ვაგონი, მგზავრების მოსტერებული თვალები, ლოდინი სადგურებში. როცა გაქცევა ვინდა! არა, არ შემიძლია, არ შემიძლია შემდეგ დაგესვევა მოგონებანი: გაგახსენდება იოანეს დღე ბავშვობაში, არყის ხის ტოტებითა და ისახმნებით მორთული ეკლესია, დიდებული სადილი, ნათესავები და მეგობრები, ბაღში სადამოს სეირნობა, მუსიკა, ყვავილები და თამაშები! ჰო, შეიძლება გაქცევი, გაქცევი უკველივით ამას, მაგრამ საბარგო ვაგონში მოგონებანი, სინანული, სინდისის ქეჩნა არ მოგახსენებს.

უანი. წამოგყვებით, მაგრამ ახლავი, ვიდრე ჭერ ვიან არაა, ამ წუთში!

იულია. მაშ, ჩქარა მოემზადეთ! (იღებს გალიას).

უანი. ოღონდ უბარგოდ, თორემ დავიღუპებით!

იულია. მე არაფერი მაქვს! მხო-

ლოდ ის მომაქვს, რის შეტანაც შეიძლება კუბეში.

უანი (იღებს ქუდს). ხელში რა გიპირავთ? რა არის ეს?

იულია. ჩემი პატარა კივიკავია. არ მინდა აქ დაგტოვო!

უანი. ერიპა! როგორ შეიძლება გალიის წამოღება! გაგიჟდით! დატოვეთ გალია!

იულია. სახლიდან ამის მეტი არაფერი მომაქვს. კივიკავი ჩემთვის ერთადერთი ცოცხალი ერთგული არსებაა მას შემდეგ, რაც დინამ მიღალატა. ასეთ სიმკაცრეს ნუ გამოჩინებთ! ნება მომეცით, წამოვიყვანო!

უანი. გიმეორებთ, გალია დატოვეთ-მეთქი და ასე ხამაღლა ნუ ლაპარაკობთ, შეიძლება კრისტინამ გაიგონოს.

იულია. არა, მე მას სხვას არ დავუტოვებ, სჭობს მოკლათ!

უანი. მაშ, მომეცით, ახლავი კისერს მოეუტარებ!

იულია. კარგი, ოღონდ არაფერი ატყინო! არა... არა, არ შემიძლია.

უანი. სამაგიეროდ, მე შემიძლია!

იულია (გალიიდან ჩიტი გამოკყავს და კოცნის). ოჰ, ჩემო საბრალო ნატარა, შენი პატრონის ხელით უნდა მოკვდი.

უანი. გთხოვთ, ერთ ამბავს ნუ ტყობთ. საქმე ეხება თქვენს ცხოვრებას, თქვენს კეთილდღეობას! აბა, ცოცხლად! (იულიას ხელიდან ჩიტს გამოგლეცს, ბოძთან მიიყვანს და სამზარეულოს დანას იღებს. იულია ზურგს იბრუნებს.) თქვენ რევოლვერის სროლის მაგიერად, წიწილების დაკვლა უნდა გესწავლათ. (კლავს ჩიტს.) ჰოდა, წვეთი სისხლის დანახავზე გული არ შეგიღონდებოდით!

იულია (შეჭკივლებს). მეც მომკალით! მომკალით, რაკი უტოლდებით ქმნილების მოკლელს! შეგძლიათ ასე, რომ ხელი არ აგეკანაუდეთო! ო, მძულბარტ, შენიშნებთ! ვწყველი იმ წუთს, როცა მე



თქვენ დაგინახეთ, ვწყევლი ჩემი გაჩენას საათს!

ჟანი. რა შეუძლია თქვენს წყევლას წავიდეთ!

იულია (ბოძს ძალისძალიად უახლოვდება). არა, ჭერ არ შემიძლია წახვდა, არ შემიძლია, უნდა ვნახო. წყნარად! მესმით, ეტლი მოდის. (აყურადებს, იმავე დროს ბოძსა და დანას უყურებს.) მაშ, თქვენ გგონიათ, სისხლის დანახვა არ შემიძლია! გგონიათ, ასე სუსტი ვარ! აჰ, ვისურვებდი, შენი სისხლი და შენი ტვინი მენახა ამ ბოძზე დანახული, ვინსურებდი მთელი შენი მოდგმა ამ ზღვაში ჩანებჩხო... ალბათ, შევძლებდი შენი თავისუფალიდან სისხლი დაშვლია, შენს გულმკერდში ფეხები დამებანა და შენი ფული შემეგვამა! გგონია, სუსტი ვარ. გგონია მიყვარხარ, გგონია, ვინდომებ ნუცელში ვატარო შენი ნაშიერი და ჩემი სისხლით ვკეცხო, ვჟა შენი შვილი და შენი სახელი მივიღო! მაშ, მისმინე, შენ, რაო, რა გეკვია? არასდროს მსმენია შენი სახელი, ვფიქრობ, არცა გაქვს, რამ ეს მოწერი საწინდარი სახელი ვატარო. შენ ძალი ხარ, რომელსაც ჩემი საყუდლო ვიკეთია, მონა ხარ, რომელსაც დიდებზე ჩემი გერბი გაქვს. და მე ჩვენს მზარეულს უნდა ვუწიარო შენი თავი, ჩემს მსახურს ვაუწყებო მეთოქეობა? აჰ, აჰ! აჰ! გგონია მეშინია და გაქცევა მინდა? არა, მე აქ დავრჩები და დავ; ატყდეს ტექა-ქუხილი! მამჩემი დაბრუნდება და ნახავს, რომ თავისი მავალი გატეხილია, რომ ოქრო მოპარეს! ორჯერ დარეკავს ზარს, რომ მსახური მივიდეს, შემდეგ პოლიციის მოსაყვანად გაგზავნის და მაშინ მე ყველაფერს მოვუწყობ! ყველაფერს! ო, რა დიდებული იქნება, რომ ყოველივე დასრულდება, ოღონდაც დასრულდეს! შემდეგ მამას დამბლა დაეცემა და მოკვდება! ჰოდა, მაშინ ყოველივე დასრულდება და დაისადგურებს სიმშვიდე.. სიწყნარე.. მარადიული სიწყნარე! მამის კუბოზე დაამ-

სვრევენ ჩვენს გერბს, ბოლო მოედება გრაფის მოდგმას, ბოლო ლაქიას ნაშიერი თავშესაფარში გაიზრდება... დიდებას ღობას ძირას მოიხვევს და ცხოვრებას ციხეში დამთავრებს!

ჟანი. დახე, მეფის სისხლი ალბათ რაყდა! ყოჩაღ, ფრევენ იულია ოღონდ სჯობდა ციხეში გაგენელებინა.

იულია (გარბის ახლახან შემოსული კრისტინასკენ, რომელსაც სადღესასწაულო კაბა აცვია და ხელში ლოცვასი უჭირავს, თავს მკერდზე აყრდნობს, აითქოს მის შველას ელისო). დამეხმარე, კრისტინა! დამიდავი ამ კაცისაგან!

კრისტინა (უძრავად და ცივად). ეს რა დაჭიდარაბა ასტეხეთ დღესასწაულის დიღას. (უტკერის ბოძს.) ეს რა სიხამაძღვე ჩაგიდენიათ! რას ნიშნავს ყოველივე ეს? თანაც ყვირით და აურზაურს მართავთ!

იულია. კრისტინა, შენ ქალი და ჩემი მეგობარი ხარ! მოუკრე ამ არამზადს!

ჟანი (ცოტა არ იყოს შემცბარად და მფრთხილად). თუ ქალებს რაიმეს განსჯა ნებაავთ, მაშინ მე წავალ და პირს გავიპარსავ. (მარჯვნივ გასსლტება.)

იულია. შენ მე გამიგებ. შენ მე უნდა მომისმინო!

კრისტინა. არა, არაფერი მესმის... საით აპირებთ წახვლას ასე საგზაოდ გამოწყობილი? იმანაც შლაპა დაიხურა... რას ნიშნავს ყოველივე ეს?

იულია. მომისმინე, კრისტინა. მომისმინე. ყველაფერს მოგიყვები!

კრისტინა. მე პოფრის გაგება არ მინდა...

იულია. შენ უნდა მომისმინო...

კრისტინა. რა მოვისმინო? თქვენი და ჟანის მიერ ჩადენილი სულელური ამბავი? იცით, ამაზე სულაც არ ვწუხვარ და არ მსურს თქვენს საქმეში ჩავერიო. ხოლო თუ მის გატყუებას ფიქრობთ, ვიზრუნებ, გზა გადაგდობოთ!

ი უ ლ ი ა (მლიერ აგუნებელი). ეცადე, დამშვიდდე და მოინახინო აქ დარჩენა არ შეიძლება, არც უნან შეუძლია, მასხადადამე, ორივენი უნდა წავიდეთ...

კ რ ი ს ტ ი ნ ა, ჰმ, ჰმ!..

ი უ ლ ი ა (უცებ ახალი აზრი ებადება). იცი, რა აზრი გამიჩნდა — სამივენი წავიდეთ ხაზღვარგარეთ, შვეიცარიაში და ერთად გავხსნათ იქ სასტუმრო, მე ფული მაქვს, უანი და მე სასტუმროს მივხედავთ, შენ კი სამზარეულოს საქმეს ითავებ... განა ეს დიდებული არ იქნება? მითხარი ბო-თქო! წამოდი ჩვენთან და ყველაფერი კარგად აეწყობა, მხოლოდ თქვი — მო! აბა! (კრისტინას ეხვევა და ხელს ნაზად უთათუნებს მხარზე.)

კ რ ი ს ტ ი ნ ა (ცვიად და ეჭვით). ჰმ, ჰმ!..

ი უ ლ ი ა (სულ უფრო სხაპასუხებით). შენ არასდროს გიმგზავრია და გიმოგზაურია, კრისტინა, შენ უნდა წამოხვიდე და ქვეყანა ნახო, ვერ დაიჭერებ, რა საინტერესოა რკინიგზით მგზავრობა — სულ ახალ-ახალ ადამიანებს ხედავ, ახალ ქვეყნებს, ჩავალთ ჰამბურგში, დავათვალიერებთ ზოოლოგიურ ბაღს. შენ ხომ გიყვარს ზოოლოგიური ბაღი? შემდეგ წავალთ თეატრში, მოვისმენთ ოპერას, ხოლო, როცა მიუნჰენში ჩავალთ, დავათვალიერებთ მუზეუმებს, სადაც გამოფენილია რუბენსისა და რაფაელის სურათები. ხომ გსმენია იუნჰენზე, სადაც მეფე ლიუდვიგი ცხოვრობდა, მეფე, რომელიც შემდეგ გაგიჟდა. ვნახავთ მის ციხე-დარბაზებს, თითქმის ზღაპრულად მოწყობილ ციხე-დარბაზებს, იქიდან კი ორ ნაბიჯზეა შვეიცარია, სადაც ალპებია. წარმოგიდგინია ალპები, სადაც ფორთოხლები და დღენის ხეები იზრდება. მთელი წლის განმავლობაში მწვანე ხეები... (მარჯვნიდან უანი გამიჩნდება. იგი სამართებელს ქამარზე ლესავს. ქამარი კბილებით და

მარცხენა ხელით უჭირავს. საუბარს სიამოვნებით უსმენს და მოწონების ნიშნად დროდადრო თავს აქნევს. იულია უფრო სწრაფად განაგრძობს.) სწორედ იქ ვიჭირავებთ სასტუმროს. მე სალაროს მივუჭდები, უანი კი ფეხზე იქნება, შეხვდება სტუმრებს, გავა საყიდლებზე... დაწერს წერილებს. აი, ეს იქნება ცხოვრება, მერწმუნე — ხან მატარებელი კივის, ხან ომნიბუსი მოდის, რკავენ ხან სასტუმროში, ხან რეტორანში, შემდეგ მე ანგარიშების წერას ვიწყებ და ჩვენს სტუმრებს ჯიბეს ვუცარიელებ. ვერ წარმოიდგენ, როგორ კანკალებენ მოგზაურები, როცა ანგარიშების მიხედვით ფულის გადახდა უწევთ! შენ კი, სანზარეულოში დიასახლისივით ზიხარ. რა თქმა უნდა, საპირო არ იქნება დუმელთან შენი დგომა, ღამაზად და მოხდენილად გეცმევა, როცა ხალხთან გამოსვლა მოგიწევს, ხოლო შენი გარეგნობის პატრონი, ო, არა, არ მინდა მოგეპირფერო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეგიძლია გათხოვდე! რომელიმე მდიდარ ინგლისელს გაჰყვე! იცი, კაცების გამოკერა (ნელა ამბობს.) ძალიან ადვილია. შოდა, გავხდებით მდიდრები, კომოს ტბაზე ავიშენებთ ვილას. იქ, რა თქმა უნდა, ხანდახან წვიმს, მაგრამ (სულ უფრო ხმადაბლა.) დროდადრო მზეც ანათებს, თუმცა, საკმაოდ იცის ნისლი. შემდეგ, შემდეგ შეგვეძლება ისევ შინ დავბრუნდეთ... (პაუზა.) აქ, ან კიდევ სხვაგან..

კ რ ი ს ტ ი ნ ა. მისმინეთ! თვითონ გკერათ, რასაც ლაპარაკობთ?

ი უ ლ ი ა (განადგურებული). მჭერა? კ რ ი ს ტ ი ნ ა. მო!

ი უ ლ ი ა (დაღლილად). არ ვიცი. მე უკვე აღარაფერი მჭერა. (სკამზე ეცემა, ხელებს მაგიდაზე აწყობს და ზედ თავს დებს.) აღარაფერი! აღარაფერი!

კ რ ი ს ტ ი ნ ა (მეტრიალდება მარჯვნივ, სადაც უანი დგას). ჩინებულია! შენ მართლა ფიქრობდი გაქცევაზე!



უანი (შემებარია, სამართებელს მაგიდაზე დებს). გაქცევა! ძალიან მკაცრადლა ნათქვამი! შენ ხომ მოისმინე გრაფინიას გეგმა. მართალია გრაფინია ძალიან დაიღალა უძილო ღამის შემდეგ, მაგრამ გეგმა სრულიად ადვილად შეიძლება განხორციელდეს.

კრისტინა. ერთი მისმინე, ძვირფასო! მართლა ფიქრობდი, რომ მე მზარეული უნდა ვყოფილიყავი ამ...

უანი (მკვახედ). თუ შეიძლება უფრო წესიერი გამოთქმები იხმარე, როცა შენი ქალბატონის წინაშე ლაპარაკობი გასაგებია?

კრისტინა. ქალბატონის?

უანი. დიახ.

კრისტინა. არა, ერთი ამას უსმინეთ, ერთი უსმინეთ!

უანი. არა, შენ მოისმინე! შენთვის ეს ძალზე სასარგებლო იქნება და ენას კბილი დაჰქირე! ფრეკენ იულია შენი ქალბატონია. და თუ იგი გძულს, მაშასადამე, შენი თავიც უნდა შეიძულს.

კრისტინა. ჩემს თავს უოველთვის იმდენ პატივს ვცემდი..

უანი. რომ უფლება გაქვს სხვები გძულდეს!

კრისტინა. რომ თავი არახდროს დამიმტკირებია. აბა, ვინმე თუ იტყვის, გრაფის მზარეული მეჩინიბესთან ან მწყემსთან დაძვრებოდაო.

უანი. ჰო, შენდა საბედნიეროდ, უფრო ზრდილ კაცთან გქონდა საქმე.

კრისტინა. უფრო ზრდილ კაცთან.. რომელიც თავლიდან გრაფის შვრიას ჰყიდდა..

უანი. იმაზე რატომ არ იღებ ხმას, როგორ ღებულობდი პროცენტებს ბოსტნეულის სავაჭროდან და ყასაბს ქრთამს ართმევდი!

კრისტინა. რაო?

უანი. ამიტომაც საჭიროდ აღარ მიგაჩნია პატივი სცე შენს ქალბატონს! შენ, შენ, შენ!

კრისტინა. წავიდეთ ეკლესიაში იმის შემდეგ, რაც მოიმოქმედო, კარგი ქადაგება ძალიან გარგებს!

უანი. არა, დღეს ეკლესიაში არ წამოვალ. შეგიძლია მარტო წახვიდე და საკუთარი ცოდვები მოინანო.

კრისტინა. ასეც ვიწამ. იმედი მაქვს, ღმერთი ცოდვებს მომიტყეებს, შენს თავსაც შევავედრებ. მაცხოვარი ჩვენი ცოდვების გამო ეწამა და ჭვარს გაეკრა. როცა რწმენითა და მონანიებით მივერახლებით, ყველა ჩვენს ცოდვას იტვირთებს.

იულია. შენ ეს გწამს, კრისტინა?

კრისტინა. ეს ჩემი ცოცხალი რწმენაა, ბავშვობის დროინდელი რწმენა; იგი სიურმიდანვე შემომჩრა, ფრეკენ. ხოლო სადაც ცოდვა დიდია, ღვთის მოწყალებაც განუსაზღვრელია..

იულია. აჰ, ნეტავ მე მომცა შენი რწმენა. ნეტავ მე..

კრისტინა. რწმენას, იცით, ვერ ისეხსებთ, იგი უშენაისს განსაკუთრებული წყალობაა, თანაც მასზე ყველას როლი მიუწვდება ხელი.

იულია. მაინც ვის მიუწვდება?

კრისტინა. ეს ღვთის წყალობის უდიდესი საიდუმლოა და ღმერთი არ არჩევს ადამიანებს, მხოლოდ წინანი უკანანი იქნებიან.

იულია. მაშასადამე, არჩევს, რომელნი უნდა იყვნენ უკანანი..

კრისტინა (განაგრძობს). და აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში. ახე ეს, ფრეკენ! ახლა მე მარტო წავალ ეკლესიაში და გზად მეჩინიბეს ვეტყვი, რომ გრაფის ჩამოსვლამდე ცხენები არავის მისცეს, ვინმესაც რომ დასჭირდეს. ნახვამისი! (გაღის.)

უანი. დასწავლოს ღმერთმა! ყველაფერი ამ ჰივჭავის გამო მოხდა!

იულია (დაღლილად). ჰივჭავს თავი დანებეთ! ისა თქვით, რაიმე გამოსა-

ვალს თუ ხედავთ, ყოველივე ამის და-  
ხასრულს თუ ხედავთ.

უანი (მწყრალად). არა!

იულია. ჩემს ადგილზე თქვენ რას  
იზამდით?

უანი. თქვენს ადგილზე? დამაცა-  
დეთ, როგორც გრაფის ჩამომავალი, რო-  
გორც ქალი, როგორც ცოდვილი ან ვი-  
ცი. თუმცა... ვიცი!

იულია (სამართებელს იღებს და  
შეჰკანებს). ასე გააკეთებდით?

უანი. დიახ! მაგრამ მე, მე არ გა-  
ვაკეთებდი, დაიხსოვთ ეს სწორედ ამით  
განვსხვავდებით ერთმანეთისგან!

იულია (სამართებელი ისევ უჭი-  
რავს). მე მინდა გავაკეთო, მაგრამ არ  
შემიძლია ვერც მამარქმემა შესძლო, რო-  
ცა უნდა გავაკეთებინა.

უანი. არა, არ უნდა გავაკეთებინა.  
ჭერ შური უნდა იქნას!

იულია. ახლა კი ისევ დედაჩემი  
იძიებს შურს ჩემი მეშვეობით!

უანი. განა მამათქვენი არ გიყვარ-  
დათ, ფრეცენ იულია?

იულია. დიახ, უსაზღვროდ მიყ-  
ვარდა, მაგრამ იმავე დროს მძულდა!  
უნდა მძულებოდა. აკი თვითონ ისე აღ-  
მწარდა, რომ ჩემი სქესი შემწიზღებოდა,  
ნახევარქალი და ნახევარკაცი შემწიზღე-  
ბოდა. ვინაა დამნაშავე იმაში, რაც მოხ-  
და? მამაჩემი, დედაჩემი, თვით მე, თვი-  
თონ მე? განა საკუთარი რამე მაქვს? არ  
გამაჩნია არც ერთი აზრი, რომელიც მა-  
მაჩემისგან არ მომდინარეობდეს, არც-  
ერთი გრძობა, რომელიც დედაჩემისგან  
არ მქონდეს გადმოცემული. ხოლო სულ  
ბოლო აღმოჩენა — რომ ყველა ადამი-  
ანი თანასწორია — ვაოვე საქმროსგან,  
რისთვისაც იგი არამზადად მიმანია!  
როგორ შეიძლება ეს ჩემი საკუთარი  
დანაშაული იყოს? დანაშაული გადავუ-  
ლოცო იესო ქრისტეს, როგორც ამას  
კრისტიანა შვრება? არა, მე მეტად ამაყი  
ვარ და მეტად ჰკვიანი მამაჩემის დამო-  
ძღვრის წყალობით და ამას არ ვიზამ.

ხოლო ის, რომ მდიდარი ღვთის სასუ-  
ფველში შესვლას ვერ შესძლებს, სიც-  
რუთა. იქ ალბათ, თვითონ კრისტიანა, რო-  
მელიც შემნახველ საღაროში ფულს ინა-  
ხავს, ვერ მოხვდება. ვინაა დამნაშავე?  
რა ჩვენი საქმეა, ვინაა დამნაშავე? მარ-  
ტო მე უნდა ვავო პასუხი ცოდვაზეც და  
შედეგებზეც...

უანი. ბო, მაგრამ... (ზარი ორჯერ  
ძლიერ დაკრეს, იულია შეკრთება. უა-  
ნი სწრაფად იცვამს ლივრებს.) გრაფი  
შინაა! წარმოვიდგენიათ, კრისტიანა რომ...  
(სცენის სიღრმეში მიდის ყურმილთან,  
აკუუნებს და ისმენს).

იულია. მამა, ალბათ, უკვე თავის  
საწერ მაგიდასთან იყო.

უანი. მე ვარ, უანი თქვენო ბრწყინ-  
ვალეზავ! (უსმენს. გრაფის სიტყვები  
არ ისმის.) სწორედ ასეა, თქვენო ბრწყინ-  
ვალეზავ! (კვლავ უსმენს.) გისმენთ,  
თქვენო ბრწყინვალეზავ! ამ წუთში! (უს-  
მენს.) გისმენთ, თქვენო ბრწყინვალეზავ!  
(უსმენს.) დიახ! ნახევარ საათში.

იულია. (მიშენულად). რა თქვა?  
ღმერთო, რა თქვა?

უანი. ნახევარ საათში ჩექმები და  
ყავა მომართვით.

იულია. მამასადამე, ნახევარ სა-  
ათში! აჰ, როგორ დავივალდი. არაფერი  
შემიძლია, არც მონანიება, არც გაქცევა,  
არც ღარიჩენა, არც სიცოცხლე, არც სიკ-  
ვლილი მიშველეთ! მიბრძანეთ და თქვე-  
ნი გამაგონე ვიქნები ძალღვივით! უკანასკ-  
ნელი სამსახური გამიწიეთ, იხსენით ჩე-  
მი პატრონება, იხსენით მამაჩემის სახე-  
ლი! თქვენ ხომ იცით, რა უნდა მინდო-  
დეს, მაგრამ აღარ მინდა... თვითონ მოი-  
სურვეთ, რა ვქნა და მიბრძანეთ, თქვენი  
სურვილი შევასრულო!

უანი. არ ვიცი, რა გიბრძანოთ, ახ-  
ლა არც მე შემიძლია... არ მესმის... თი-  
თქოს ამ ლივრის წყალობით არ შემიძ-  
ლია რაიმე გიბრძანოთ, ხოლო მას შემ-  
დებ, რაც გრაფი მელაპარაკა, ზუსტად  
ვერ აჯიხსნით, რატომ, მაგრამ აჰ, ამ

თანდაყოლილ ლაქიაობას, სულში ჩამკ-  
დარ ლაქიაობას თავს ვერ ვაღწევ! მე  
მგონი, ახლა რომ გრაფი შემოვიდეს და  
მიბრძანოს, ყელი გამოიჭერიო, მაშინვე  
გამოვიჭრიდი.

იულია. მაშ, წარმოიდგინეთ, რომ  
თქვენ ისა ხართ, მე კი — თქვენ. თქვენ  
ხომ სულ ახლახან ასე კარგად თამაშობ-  
დით თქვენს როლს, როცა ჩემ წინ მუხ-  
ლებზე იდებოთ, მაშინ თქვენ რაინდი  
იყავით, ანდა — არახდროს ყოფილხართ  
თეატრში და არ გინახავთ ჰიპნოტიზირ-  
რი? (ქანი თანხმობის ნიშნად თავს უქ-  
ნევს.) იგი მედიუმს ეუბნება, ცოცხი აი-  
დუო, და ისიც ხელს ჰკიდებს ცოცხს,  
ეუბნება, გაგავეო და ისიც ჰგვის.

უანი. ჰო, მაგრამ მედიუმს უნდა  
ცმინოს!

იულია (აღტაცებით). მე უკვე მძი-  
ნავს! მთელი ოთახი თითქოს ჩემ წინ  
ღამღგარი კვამლია, თქვენ კი — რკი-  
ნის ღუმელი, რომელიც ცილინდრიან  
შავ ბატონს ჰგავს... თქვენი თვალებიც  
ნაკვერჩხლებივით კვესავენ, როცა ალი  
ჭრება. ხოლო სახე ნაცრის თეთრ ლაქას  
გეგავთ. (მზის სხივი ქანს ანათებს.) ო,  
როგორ თბილა და რა კარგია (იულია  
ხელებს ისრესს, თითქოს ცეცხლზე ით-  
ბობს.) რა სინათლეა და რა სიწყნარე!

უანი (იღებს სამართებელს და იუ-  
ლიას ხელში უდებს). აჰა, შენ ცოცხი  
წადი, ვიდრე არ დადამებულა... წადი  
არდგმულში და... (უფრო ჩასჩურჩუ-  
ლებს.)

იულია (გონს მოდის). გმადლობთ!  
ახლა მე მოსასვენებლად მივდვარ, მა-

გრამ კიდევ ერთხელ მითხარით, რომ წი-  
ნანიც ღირსი იქნებიან ღვთის წყალობი-  
სა. მითხარით, თუნდაც არ გჯეროდეთ  
ეს.

უანი. წინანი? არა, არ შემძლია!  
მაგრამ მოცადეთ, ფრეკენ იულია, ახლა  
მე ვიცის! თქვენ უკვე აღარც წინანებს  
ცაუთვინით და აღარც უკანანებს, რადგან  
თქვენ უკანასკნელთა შორისა ხართ.

იულია. მართლა! მე ყველაზე უკა-  
ნასკნელთა შორისა ვარ. მე უკანასკნელი  
ვარ! აჰ, მაგრამ წასვლა უკვე არ შემძ-  
ლია. კიდევ ერთხელ მიბრძანეთ, წადიო!

უანი. არა, ახლა აღარც მე შემძ-  
ლია! არ შემძლია!

იულია. წინანი კი უკანასკნელი  
იქნებიან!

უანი. ნუ ფიქრობთ, ნუ ფიქრობთ  
ამაზე! თქვენ მეც მთელ ძალას მართ-  
მევთ და შეიშარა ვხდებით! რა არის ეს?  
მომეჩვენა, თითქოს ზარის ხმა იყო! არა!  
ჩვენ ახლა ვას ქაღალდით ხმას ჩავაწყვე-  
ტინებთ! ზგონილა, ასე გაძრწუნებდეს  
ზარი! მაგრამ ეს უბრალოდ ზარი კი  
არაა... ვიღაც ზის მის უკან, ვიღაცის  
ხელი აქვრევს. დაისმეთ ყურები, და-  
იხშეთ ყურები! იგი უფრო ძლიერი, და-  
კავს! და მანამ არ შეწყვეტს რევას,  
სანამ არ უკასუხებენ, მაგრამ გვიან იქ-  
ნება! ლეჩენი მოვა და... აი... (ორჯერ  
ძლიერ რეკვენ. ქანი კრთება და წელში  
იმართება) საშინელებაა! მაგრამ სხვა  
გზა არაა! წადით! (იულია მტკიცედ გა-  
დის კარში.)


თარგმნა აკაკი ბრეგაძემ

მხატვარი სოფიო სალუქვაძე







«ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА» («ТЕАТР И ЖИЗНЬ»)   
№ 1 (179) 1991 г. Тбилиси

Редактор ГУРАМ БАТИАШВИЛИ

ვარეკანის მესამე გვერდზე:

სცენა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლიდან „დილოგები ორმოქმედებანი პიესისათვის“. ბატონი ნოე — მ. ჯინორია, ქალბატონი ვერიჩკა — ზ. ბოცვაძე, ბატონი ვასილი — ტ. ყველაიძე.

ტექნიკური რედაქტორი  
შადიშან ბიჭიაძე

მხატვარი  
სოფიო სალუქვაძე

კორექტორები:

თამარ ციხაჭურუძე, გულნარა გოგოლაძე

გადაეცა წარმოებას 31. 10. 90 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII-90 წ.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,35  
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 6,5  
ქალაქის ზომა 60X90<sup>1/16</sup>.  
შეკვეთა № 2582  
ტირაჟი 1300.


ფასი 1 მან.

ინდექსი 76143

რედაქციის მისამართი: თბილისი - 380007, გ. ლეონიძის ქ. № 11-ა. ტელ. 99-90-96

საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბა, თბილისი, კლ. ცეტკონის ქ. № 133

Литография Союза театральных деятелей Грузии, Тбилиси  
ул. Кд. Цеткин № 133.



თუ გსურთ იყოთ სპორტული, ჯანსაღი,  
შეიძინეთ თბილისის